

კომენტარი
მარკ გალაცი
მისამართი
მოღიან

გვ. 12

ინტერვიუ
მარიამ გარებაშვილი
სამოქანაკუთხო
სამოქანაკუთხო

გვ. 14

პოლიტიკა
ცავილი
საქართველო
პოლიტიკი

გვ. 22

განვითარება
პროგრამები
აუცილებელი
განვითარების

გვ. 32

ჩა მოხეა "ეკსტარმი"?

სტუდია „მაგისტრო“ სასამართლო დავისა და
მორიგი ინვესტიციების მოლოდინშია

მიზანი:





www.ucnobifm.ge

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკა
მაგდა მეგანიშვილი

რედაქტორი გამოიცია
ნინო ზურაბიშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჭაა

შერნალისტები:
მაია ნიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ
ფარადაშვილი, ცირია გვასალია,
მალხაზ ჭავლუა, ზურა ვარდაშვილი,
ანიტა თვალური, ანი ჭანეოტაძე,
ლიკა ზაკაშვილი, თათია სალიანი,
სალომე ცეცხლაძე

კონცრიბული:

გიორგი ცხადაა, მარკ მალენი, მანანა
ვარდაშვილი, გიორგი მგელაძე, ინალ
ხაშიგა, დანია ჩაჩუა, თოკო ცომანა, კახა
თოლორდავა

რედაქტორი:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დწანი
თორნიკე ლორთქეთანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონდაძე

გამოხვევლება:

დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და პიზნების
განვითარების მინისტრი
რუსულ ბართაშვილი
კლიენტთა მომსახურების და
დისტრიბუტორის მინისტრი
ნათა რუსაძე

გაყიდვების მინისტრი:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ
ზანდარაშვილი, თანა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გეღენიძე

ურნალის გამოწერის მსურველებმა
დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი,
08:00 -16:00 სთ.

ბანათილი



მოხს ჩვენგან!

მალე რთული ქცევის მქონე სკოლის მოსწავლეებს სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში გადაამისამართებენ. ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილება საქართველოს პარლამენტმა გასულ კვირას პირველი მოსმენით მიიღო.

კანონპროექტის დღეს არსებული რედაქციის მიხედვით, გადაამისამართებენ არა მხოლოდ იმ ბავშვს, რომელიც ჩადის სისხლის სამართლის დანამატებს, არამედ, იმ არასრულწლოვანსაც, „რომლის ქცევა აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის განვითარებას, საკუთარი, ან სხვა ადგიმიანის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ან მართლწერიგს და ვლინდება არანაკლებ 6 თვის მანძილზე“.

ლიკა ზაკაშვილი
გვ.38

საოცილან საცსაოცაში

„ამ კანონპროექტის მიხედვით, პრობლემების მქონე ოჯახიდან, სადაც ხშირი კონფლიქტებია, არის ძალადობრივი დამოკიდებულება ბავშვისადმი და ა. შ., ბავშვი გადგევავს დაწესებულებაში, იქ ვრთავთ რაღაც სერვისებში, რაც არ ვიცით რას გულისხმობს და შემდეგ ვაბრუნებთ უკან ოჯახში, საადაც ისევ იგივე პრობლემები ხვდება და რა გამოდის? მას ხომ იგივე რისკები აქვს? ამიტომ ოჯახთან მუშაობა აუცილებელია, კანონპროექტში მშობლის როლი და ჩართულობა მინიმალურია და ოჯახის დონეზე ინტერვენცია საერთოდ არ იგულისხმება“.

ანი ჭანეოტაძის ინტერვიუ ბავშვთა ფსიქოლოგ მაია ცირამუასთან
გვ.14



თოვლიანი ჩიხი

სამხრეთ ოსეტში ვითარება ჩიხში შედის. ალა ჯიოევა და მისი მომხრეები დათმობას არ აპირებენ. რესპუბლიკა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა.

ჯიოევამ კოკოითს არჩევნების შედეგების აღიარებისთვის ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმის



ფოტო ლეიკონ დარიალიშვილი / REUTERS

პარსა ჯიხურების ბახში

„ეკოპალიტრის“ მიხედვით, ინტერნეტაუქციონზე გაიყიდა პრესის გამავრცელებელი ჯიხურებიც. ამგვარად, უურნალისტთა ნაწილის შეშფოთება, რომ პრესის ჯიხურების ადგილას შესაძლებელი იყო საკვები ან სხვა პროდუქცია გაყიდულიყო, გამართლდა. წინასწარი ინფორმაციით, გამარჯვებულ ოთხივე კომპანიას მკაფიოდ გამოკვეთილი სასურსათო ნიშა აქვს.

უურნალისტები ჯიხურების აღების პერიოდებზე მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ ამ საკითხის გააქტიურება საეჭვოდ ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდებს. კოლიციამ „არჩევანის თავისუფლებისთვის“ ნოემბრის ბოლოს სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც წერდნენ, რომ ხელისუფლების მიზანი საარჩევნოდ ბეჭდური მედიის განეიტრალებაა.

თინა ყიფშიძე
83.32

ჩა მოხეა "მარსები"?

გასულ კვირაში განვითარებული დაპირისპირებისა და ურთიერთბრალდების ფონზე, გაჩნდა ვერსია, რომ კინმარიშვილისა და ივანიშვილის ნარმომადგენლებს შორის მოლაპარაკები მიმდინარეობდა.

წყაროები, რომლებმაც ეს ვერსია გაავრცელეს, საუბრობდნენ კონკრეტულ თანხაზე – 12 მილიონ დოლარზე. თუმცა უცნობია, აღნიშნული თანხით რა ტიპის გარიგება შეიძლებოდა დადებულიყო. დიდი ალბათობით, ეს ყდვა-გაყიდვის გარიგება არ იქნებოდა, რადგან კინმარიშვილს არათუ სტუდია „მარსების“, არამედ საკუთარი მართვის კომპანიის უპირობოდ გაყიდვის უფლებაც კი არ ჰქონდა.

მალხაზ ჭეადუა
83.28

თანახმად, კოკოითი უნდა გადამდგარიყო და ინაუგურაციის თარიღი დაენიშნა, ნინაალმდეგ შემთხვევაში, ჯიოევა იხსნიდა პასუხისმგებლობას მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. თუმცა ულტიმატუმის დრო ისე ამოიწურა, რომ კოკოითმა ეს ულტიმატუმი არც კი განიხილა. ვერც ვინოკუროვის ჩამოსვლამ განმუხტა ვითარება. კრემლი დღეს საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების ირგვლივაა კონცენტრირებული და ვერ ხვდება, რომ სამხრეთ ოსეტში ნელ-ნელა ავტორიტეტს კარგავს.

მარია ბესტაევა
83.18

საქართველოს მახთოსაჯილის ობიექტი სტანდარტები

„ცენტრ პოინტ ჯგუფის“ 6 ათასზე მეტი კლიენტი დაზარალებულია – ნაწილს ბინის საფასური წინასწარ და სრულად აქვს გადახდილი, მათი სახლები კი კვლავაც დაუსრულებელია.

დაზარალებულ ათასობით კლიენტს შორის მხოლოდ რამდენიმემ შეძლო კომპანიისთვის სასამართლო პროცესი მოეგო, მათ შორისაა ვალერი ზარდიაშვილის ოჯახი, რომლის სასარგებლოდაც ერთი წლის წინ სასამართლომ „ცენტრპოინტ სითის“ თითქმის 160 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. თუმცა, ზარდიაშვილებმა სასამართლოსვე „დამსახურებით“ კუთვნილი თანხა დღემდე ვერ დაიბრუნეს.

 გივი მგელაძე
83.42

ფოტოები მოხსენენ

ასასის ხილი



 ნინო კუპატაძის ფოტორეპორტაჟი
83.46-51

გაომცემები:

შპს „ლიბერალი“, მისამართი: თბილისი 0183, ულენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემა:

„ცენტრ შოკლი დანართი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ სავტორო უფლებები დაცულია. უსრულაშვილი გამოქვეყნებული მასალების წანილობრივი და/ან მოლისი გამოყენება რედაქციის თანხმობის გრიფშე აკრძალულია.

ჩატვა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოიდის კეირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პრეველი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ასევე მომარში:



ასო გარეანტენა
ლევა დარიალიძე

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 უქმნის თუ არა პრესის გავრცელებას საფრთხეს ჯიხურების იჯარით გაცემა?
- 10 ია მამლაძე VS ბაჩო დოლიძე კომენტარი
- 12 რა უნდა გააკეთონ უურნალისტებმა იმისთვის, რომ მედიის ხარისხი გაუმჯობესდეს?
- 14 გიორგი ცხადაია
- 16 მლიქვნელები მოდიან მარკ მალენი მეზოპლები
- 20 ვინ მოკლა მწერალი?
- 22 უცვლელი საარჩევო კოდექსი ეკონომიკა
- 25 სავაჭრო დეფიციტის ჩაკეტილი წრე ქალაქი
- 52 ოლდენბურგიზაცია ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 54 ქალაქი, მოქალაქე, ქალაქი



უსრულაშვილი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „და საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით. ავტორის /ავტორების მიერ საინცირმაციის მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატვებს ფონდს „და საზოგადოება–საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არის პასუხისმგებელი მასალის მინახებზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

"ეღინაია ჩასია" საკონსტიტუციო კონფერენციას განხილავს



რესეტში 4 დეკემბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ბიუ-ლეტინების 95 პროცენტია დათვლილი. არჩევნების წინასაარი შედეგების მიხედვით, პარტია „ედინაია რასიაშ“ სახელმწიფო დუმაში საკონსტიტუციო უმრავლესობა, დეპუტატთა რაოდენობის ორი მესამედი, ვერ მოიპოვა. არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა 60,2 პროცენტი იყო.

არსებული მონაცემებით, „ედინაია რასიაშ“ არჩევნებზე 48,5 პროცენტი დაგროვა. 2007 წლის არჩევნებთან შედარებით პარტიამ 15,8 პროცენტით დაბალი მხარდაჭერა მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა „კომუნისტური პარტია“ 19,8 პროცენტით. მესამე და მეოთხე ადგილზე კი „სპრავედლივაია რასიაშ“ და „ლიბერალურ-დემოკრატიულმა“ პარტიამ დაიკავეს. არჩევნებში ამ ოთხი პარტიის გარდა, სამი სხვა პარტიაც მონაწილეობდა. კიდევ სამმა პარტიამ, მათ შორის პარტია „იაბლოკომ“, 7-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა.

მიუხედავად იმისა, რომ „ედინაია რასიაშ“ მხარდაჭერამ იყო, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ არჩევნების წინასაარი შედეგები ქვეყანას სტაბილური განვითარების პერსპექტივას უქმნის. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კი პროცესს „დემოკრატიული“ უწოდა.

„პარტია „ედინაია რასიაშ“ მოცემულ მომენტში ლიდერია და, როგორც ჩანს, ყველაზე დიდ პოლიტიკურ ძალას

წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში მოხვდა“, – განაცხადა მედედევმა.

არჩევნების პროცესს თან ახლ-და ბრალდებული დამკვირვებლებზე ზენოლასა და საარჩევნო პროცედურების დარღვევის შესახებ. რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ვლადიმირ ჩუროვის ინფორმაციით, ამ დრომდე კომისიაში 117 საჩივარი შევიდა. როგორც ჩუროვმა განაცხადა, ყველა საჩივარს განიხილავენ და გამოიძიებენ. უფლებადამცველები ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ ჩეჩენეთის ხელმძღვანელს რამზან კადიროვს. ჩეჩენეთში „ედინაია რასიაშ“ 99-პროცენტიანი მხარდაჭერა მიიღო.

ოპოზიციური პარტიების, მათ შორის, „კომუნისტური პარტიისა“ და პარტია „იაბლოკომ“ დამკვირვებლების თქმით, მათ ნორმალური მუშაობის საშუალება არ ჰქონდათ. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „ედინაია რასიაშ“ ნარმომადგენლები ამომრჩევლებს ხმის მიცემის სანაცვლოდ უფასო საკვები პროდუქტების დარიგებას დაპირიდნენ. დარღვევები დააფიქსირეს უცხოელმა დამკვირვებლებმაც. ეუთოსა და ევროპის საბჭოს დამკვირვებლების ცნობით, არჩევნების პროცესი მოკლებული იყო სამართლიანობას, შეზღუდული იყო კონკურენცია და გამოკვეთილი იყო მიკერძობა მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

არჩევნების პარალელურად მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში საპროტესტო აქციები გაიმართა. აქციებზე 150-მდე ადამიანი დააკავეს. მათ შორის მოხვდნენ ოპოზიციის ლიდერები, სერგეი უდალცოვი და ედუარდ ლიმონოვი. რადიოსადგურ „ეხო მასკოვის“ საიტზე კი კიბერშეტევა განხორციელდა.

ევროპა ასიმისის თავისებას სიცილის სიცილის

9 დეკემბერს ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამიტი იმართება. სამიტამდე 4 დღით ადრე პარიზში ერთმანეთს საფრანგეთის პრეზიდენ-

ტი ნიკოლა სარკოზი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი შეხვდნენ. მათ ევროკავშირის სამიტზე განსახილველ თემებზე ისაუბრეს.

ევროკავშირის ლიდერებმა სამიტზე ევროზონის კრიზისიდან გამოსვლის გეგმა უნდა წარმოადგინონ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღნიშნა, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შესარულონ ევროზონის სტაბილური ფუნქციონირებისათვის. ევროპის ქვეყნებისათვის მთავარი გამოწვევა ევროს გამყარება და ევროპის ქვეყნებში ვალის კრიზისის დაძლევა. იგეგმება ევროზონის ქვეყნების მშიდრო საბიუჯეტო კავშირის შექმნა და საბიუჯეტო დისციპლინის დასაცავად საჭირო ზომების მიღება.

„ახალი ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სანქციების ავტომატურად ამოქმედებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გადაჭარბებენ ბიუჯეტის დაშვებული დეფიციტის სამპროცენტიან ზღვარს“, – განაცხადა სარკოზიმ.

თუკი ევროკავშირის ქვეყნები კრიზისიდან გამოსვლის გეგმას დაამტკი-



ცებენ, ევროპის ქვეყნები დამატებით ფინანსურ დახმარებას მიიღებენ ევროპის ცენტრალური ბანკისა და საერთაშორისო საცალუტო ფონდისა-გან. გეგმის დასამტკიცებლად შესაძლოა საჭირო იყოს ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის თანხმობა, თუმცა შესაძლებელია მხოლოდ ევროზონის ქვეყნების მხარდაჭერაც საკმარისი აღმოჩნდეს.



სანქსივები იჩინის ნინალმები

ურთიერთობა დასავლეთსა და ირანს შორის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დაიძაბა. უთანხმოება განაპირობა ირანის ბირთვულმა პროგრამამ. დასავლეთში შიშმბენ, რომ ამ პროგრამას ირანი საკუთარი ბირთვული იარაღის შესაქმნელად იყენებს. ირანში კი აცხადებენ, რომ პროგრამა მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ამ პროგრამის გამო გასულ კვირას ბრიტანეთმა ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. სანქციები გააპროტესტეს თეირანში, რასაც აქციის მონაწილეების მხრიდან ბრიტანეთის საელჩოზე თავდასხმა მოჰყვა. საპასუხოდ ბრიტანეთმა თეირანში თავისი საელჩო დახურა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, უილიამ ჰეიგიმ კი ყველა ირანელ დაპლომატს 48 საათის განმავლობაში ბრიტანეთის დატოვებისენ მოუწოდა. ირანელმა დიპლომატებმა და ირანის საელჩოს თანამშრომლებმა ბრიტანეთი 3 დეკემბერს დატოვეს.

„ბრიტანეთის მთავრობა ცდილობს, ჩვენს ორ ქვეყანას შორის შექმნილი პრობლემა ევროპის სხვა ქვეყნებზეც განავრცის, მაგრამ ევროპის ქვეყნებმა ირანთან კავშირები ამ კრიზისს არ უნდა დაუქვემდებაროს“, – განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა რამინ მეჰმანპარასტმა.

თავის მხრივ, ირანის წინააღმდეგ სანქციებს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის სენატმა 3 დეკემბერს ირანის ცენტრალური ბანკის მიმართ სანქციების დაწესებას დაუჭირა მხარი. ირანის ცენტრალური ბანკი ქვეყნის ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხების გადარიცხვებს აწარმოებს. სენატის მიერ დამტკიცებული სანქციები კი ამ ბანკის გლობალური საბანკო სისტემისგან მოწყვეტას გულისხმობს. დოკუმენტი წარმომადგენლობითმა პალატამ და პრეზიდენტმა უნდა დამტკიცონ.

ამის პარალელურად, ირანმა 3 დეკემბერს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო. ირანული მედიის ცნობით, უპილოტო თვითმფრინავი RQ-170 ირანის შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის აღმოსავლეთით ჩამოაგდეს. ავღანეთში ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედ სამხედრო ძალებში კი განაცხადეს, რომ შესაძლოა საუბრით თვითმფრინავზე,

რომელთან კონტაქტიც ერთი კვირის წინ დაკარგეს.

**ებისტის აჩევნებში
ისლამისტები ციებირბაზ**

ეგვიპტეში 5-6 დეკემბერს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. შედეგად ეგვიპტის მოსახლეობამ 52 მანდატზე სასურველი კანდიდატი

უნდა აირჩიოს. ამ მანდატებისათვის ის კანდიდატები იბრძეიან, ვინც პირველ ტურში მოიპოვა გამარჯვება. მიმდინარე არჩევნებში „მუსლიმურ საძმოსთან“ დაკავშირებული პოლიტიკური პარტიები ლიდერობენ, მათ შორის „თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია“. არჩევნებში მესამე ადგილზე „ლიბერალური პარტია“ გავიდა. „მუსლიმთა საძმოს“ წარმომადგენელმა თავიანთ მეტოქეებს მოუწოდეს, „შეურიგდნენ ხალხის მიერ გამოხატულ ნებას“.

საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური გასულ კვირაში ჩატარდა. საარჩევნო პროცესი იანვრის ბოლოს უნდა დასრულდეს. არჩევნებში ისლამისტური პარტიის გამარჯვება, საერაუდოდ, გააძლიერებს „მუსლიმთა საძმოს“ პოზიციებს დროებით სამხედრო მთავრობასთან ბრძოლაში ეგვიპტის ახალმა პარლამენტმა ახალი კანონმდებლობით ქვეყანა პრეზიდენტის არჩევნებისთვის უნდა მოამზადოს. **█**



რიცხვები, ციტატები

25 ათას დოლარად
თვეში ბიძინა ივანიშვილმა
ვაშინგტონში ლობისტური
ფირმა BGR Government Affairs
LLC დაიქირავა.

1 წელი და 2 თვე გაატარეს
ქართულ ციხეში ეპრაელმა
ბიზნესმენებმა, რონი ფუქსმა
და ზევე ფრენკელმა, რომლებიც
პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2
დეკემბერს შეინყოლა.

110 მილიონი დოლარის
ნაცვლად საქართველო
ეპრაელი ბიზნესმენის, რონი
ფუქსის კომპანიას „ტრამექს
ინტერნეიშნალს“ 37 მილიონ
დოლარს გადაუხდის.

23 მილიონი ლარი დაისარჯება
საქართველოს ეროვნული
უსაფრთხოების პოლიტიკის
განსახორციელებლად 2012 წელს.

49,6 მილიონი ლარით
დაფინანსდება საქართველოს
საზოგადოებრივი მაუწყებელი
2012 წელს.

200 მილიონი ლარი
უნდა დაიხარჯოს 4 წლის
განმავლობაში ახალი ქალაქის
ლაზიკას ასაშენებლად.

500 ათასი ადამიანი
იცხოვრებს ქალაქ ლაზიკაში
პრეზიდენტ სააკაშვილის
ცნობით.

4 დეკემბერს ქართულმა
ჯგუფმა „candy“ ერევანში
გამართულ საბავშვო
ევროვიზიაში გაიმარჯვა.

„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიმდინარე
მოლაპარაკებებისას საქართველო ცივილიზებული
სამყაროს გონიერ და მოქნილ პარტნიორად გამოჩნდა“.
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი
გიგა ბოკერია



„ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა – ფორმას არ
დაგვაკარგვინებს“.
მიხეილ სააკაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი



„[სამხრეთ ოსეთში] არჩევნების პროცესის რამდენიმე
მონაწილეა. ისინი სხვადასხვა კლანს წარმოადგენენ და
ხანდახან უპირისპირდებიან ერთმანეთს. ასეთი ჩხეუბები,
რა თქმა უნდა, აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს,
რომელთაც ჩვენ ყოველთვის ვუჭირდით მხარს და
მომავალშიც გავაგრძელებთ მხარდაჭერას“.
დიმიტრი მედვედევი, რუსეთის პრეზიდენტი



„უკვე დადგენილია, რომ სამხრეთ ოსეთში „ნარინჯისფერ
რევოლუციას“ საქართველოს სპეცსამსახურები
აფინანსებენ“.
ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო
პრეზიდენტი




„რუსეთის პოლიტიკური სისტემა უნდა შეიცვალოს
ისე, რომ რეალურად ხალხის ძალაუფლებას
წარმოადგენდეს“.
მიხეილ გორბაჩიოვი, ყოფილი საბჭოთა კავშირის



პრეზიდენტი

„ძვირფასო ვლად!
არაბული გაზაფხული გიახლოვდება“.
სენატორ ჯონ მაკეინის მიმართვა ვლადიმერ პუტინს
სოციალურ ქადაგ „ტვიტერში“





რადიოკალაქი თარმოგილებით
ყოველ სამუშაო დღის
17:30
გადაცემას
დღის პიზეს სტუმარი
ერთი ჯავახიშვილთან ერთად





ფოტო ლევან ჯავახიშვილი

უძრის თუ ჯა პა საფრთხეს აიხიცბე


დიახ

კამათს აზრი ეკარგება, თუ არ შევთანხმდით ძირულ საკითხზე: ესაა სახელმწიფოებრვი მიღდომა პრესის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ბიზნესისადმი და მას, თავისი არსით გაუუტოლებთ, სწრაფი კვების, პირობითად, შაურმის ბიზნესს. წინააღმდეგი არავინაა, ეს ბიზნესიც განვითარდეს, მაგრამ, საინტერესოა, რატომ გაფერმკრთალდა და დაკარგა აზრი ყველა იმ არგუმენტმა პრესის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ 2004 წლის შემდეგ, როცა მაშინ პაოზიციაში მყოფი, დღეს ხელისუფლებაში მოკალათებული პერსონები თავგამოდებით უჭირდნენ მხარს?!

თუ მერიის ლოზუნები მხოლოდ ლოზუნები არ არის და მიზანი მართლაც ბიზნესის თავისუფლებაა, მაშინ რატომ გვაქვს მოლოდინი, რომ მამასისხლად შეძენილ პატარა ჯიშურებში მეწარმე ნაკლებმომებიან პროდუქციას – ურნალ-გაზეთებს და წიგნებას „თავისუფლების ბიზნესის შემდეგ“ თავისუფლების გაყიდვის და არა მომდინარეობს ეს კამარანია ფორმირებულად? უმეტესად დამით რატომ იღებენ იმ საგაზითო ჯიშურებს, რომლის მებატრონებაც ცველა დოკუმენტი წესრიგში აქვთ, თანაც, იმ ადგილებიდან, რომლებიც ურნალ-გაზეთებისა და წიგნების მყიდველთა ცნობერებაში, ქალაქის ტრადიციულ მესისირებაშია ჩაბეჭდილი; რა არგუმენტია მისი წინააღმდეგ, რომ სწორედაც ათასი ახალი საგაზითო ჯიშურის პროგრამა დავგეგმოთ, რომელიც ამ ბიზნესით დაინტერესებულ ადმინისტრაციაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. რა გვიშლის ხელს, რომ ცივილიზაციულ ეპოქის მსაგასად, საზოგადოებაში სრულად და შეუზღუდვად ისარგებლოს კონსტიტუციური უფლებით მისთვის ხელსაყრელი ფორმით მიღლოს და გაავრცელოს ინფორმაცია! მერიის დანიშნულება ხომ მზოლოდ ხელსაყრელი, ხარისხიანი და საზოგადოებაზე მორგებული სერვისების შეთავაზება! **¤**

ია მამალაძე

საქართველოს
რეგიონული მედიის
ასოციაციის
თავმჯდომარე



სასურველი კრიტიკული მედიაპროდუქციის-გან.

თუ ასე არ არის, რატომ არ სურს ხელისუფლებას, შეხვდეს დანტერესებულ მხარების ფართო სპექტრს? რატომ მიმდინარეობს ეს კამარანია ფორმირებულად? უმეტესად დამით რატომ იღებენ იმ საგაზითო ჯიშურებს, რომლის მებატრონებაც ცველა დოკუმენტი წესრიგში აქვთ, თანაც, იმ ადგილებიდან, რომლებიც ურნალ-გაზეთებისა და წიგნების მყიდველთა ცნობერებაში, ქალაქის ტრადიციულ მესისირებაშია ჩაბეჭდილი; რა არგუმენტია მისი წინააღმდეგ, რომ სწორედაც ათასი ახალი საგაზითო ჯიშურის პროგრამა დავგეგმოთ, რომელიც ამ ბიზნესით დაინტერესებულ ადმინისტრაციაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. რა გვიშლის ხელს, რომ ცივილიზაციულ ეპოქის მსაგასად, საზოგადოებაში სრულად და შეუზღუდვად ისარგებლოს კონსტიტუციური უფლებით მისთვის ხელსაყრელი ფორმით მიღლოს და გაავრცელოს ინფორმაცია! მერიის დანიშნულება ხომ მზოლოდ ხელსაყრელი, ხარისხიანი და საზოგადოებაზე მორგებული სერვისების შეთავაზება! **¤**



ცსის ბაზესის ის იჯახით ბაზარი?

არა

თბილისის მერია ახალ პროექტს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს. ქალაქში არსებული ძველი და უსახური ჯიხურების ნაცვლად, თბილისში ახალი, თანამედროვე დიზაინის ჯიხურები დაიდგმება.

თუკი აქამდე დედაქალაქის მაშტაბით 250-მდე ადგილზე იყო ჯიხურის ნებართვა გაცემული, დღეს ქალაქის მაშტაბით 1 000 ადგილია გამოყოფილი.

ამ საკითხის პოლიტიზირება არასწორია. თბილისის მერიის მიზანია, ყველა დაინტერესებული პირი თანაბარ პირობებში იყოს. საქმე ეხება ქვეყნაში ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და ბიზნესის განვითარებას. ამიტომაც შეირჩა პირიმალური ვარიანტი ინტერეტაუქციონის სახით.

ყველა ფაზიკურ თუ იურიდიულ პირს, ვისაც ნებართვის საფუძველზე უდგას ჯიხური, ხელშეკრულების დასრულებამდე ვიზურის აღება არ ევალება. თუმცა შეუძლია

ბაზის დოლინგი
თბილისის მერიის
პრესსპიკერი



აუქციონის წესით კვლავ მოიპოვოს უფლება.

გამონაკლისის დაშვება და გარკვეული პირებისთვის ჯიხურის ჩადგმის ნებართვის მიცემა ინტერნეტაუქციონის გარეშე, იმ ადამიანების უფლებებს დაარღვევს, რომელებმაც აუქციონში მიიღეს მონანილეობა და გაიმარჯვეს.

აუქციონში მონანილეებისთვის არ არსებობს შეზღუდვები, აქედან გამომდინარე, მსურველებს შეუძლიათ პრესასთან ერთად ჯიხურში განათავსონ სხვადასხვა სახის პროდუქცია, როგორც ეს აქამდეც ჰქონდათ. ამით ისინი ჩვეულებრივ კონკურენტუნარიანები ხდებიან. გაუკვეველია იმაზე საუბარი, რომ ეს ბიზნესი ვერ გაუძლებს კონკურენციას, რადგან

პრესის ჯიხურებში აქამდეც იყიდებოდა თამბაქო, გამაგრილებელი სასმელები, თუ სხვა სახის პროდუქცია. ასევე ამ პირებს შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულებები გამარჯვებულ კომპანიებთან.

დღემდე ჩატარებულია სულ ხუთი აუქციონი, სადაც გამოტანილი იყო 250 ლოტი, აქედან 93 ლოტზე გამოვლინდა გამარჯვებული, 157 ლოტზე კი კონკურენცია არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმ ადამიანების პრეტენზია, ვანც აცხადებენ, რომ კონკურენციას ვერ უძლებენ.


უკვე ჩატარებულმა აუქციონებმა აჩვენა, რომ მასში მონანილეობა მიიღეს პრესის გამაგრცელებელმა კომპანიებმა. ზოგმა შეძლო გამარჯვება, ზოგმა ვერა, თუმცა ესეც კანოზომიერია, რადგან კონკურენცია არის ჯანსაღი და გამჭვირვალე.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია, შევიდეს ვებ-გვერდზე www.iauction.ge, დარეგისტრირდეს, აირჩიოს მისთვის სასურველი ადგილი, გადახადოს 500 ლარი ბე-ს სახით და ჩაერთოს ელექტრონულ აუქციონში. ივარის ნლიური საწყისი ფასი არის 1000 ლარი. **■**

ჩა უნდა განაცხოონ ფუნქციის მიზანის მისაღებად იმისთვის, რომ ის მიზანი სახისები გამოვყოს?

მედიის ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ უურნალისტების კოლექტიური
ძალისხმევით არის შესაძლებელი.

გიორგი ცხადაი
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



„მაესტროს“ გარშემო ატეხილმა სკანდალმა, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ უნდა დაგვაფიქროს იმაზე, თუ რა სტანდარტებს უნდა მოველოდეთ მედიისგან. კინმარიშვილსა და ლლონტს შორის დაპირისპირებამ უურნალისტების საქმიანობას ხელი შეუშალა და სარედაქციო დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დააყენა. დაპირისპირების დეტალებს არ გვყვები, რაკი იურიდიული დავის შესახებ საქმარის ინფორმაციას ვერ ვფლობ. შესაბამისად, სამართლებრივ შეფასებებს დაველოდები.

ამ სტატიაში იმაზე ვაპირებ საუბარს, თუ რას ნიშნავს და რისთვის გვჭირდება მედიის მიუკერძოებლობა, აამაღლებს თუ არა ქართული მედიის ხარისხს სარედაქციო დამოუკიდებლობა და რა შეიძლება იყოს დღევანდელი მდგომარეობიდან ყველაზე ეფექტური გამოსავალი.

ზოგიერთი პატივსაცემი ადამიანის-გან არაერთხელ გამიგონია, თითქოს უურნალისტური ობიექტურობა მითია და უურნალისტები დაბალანსებული ფაქტების ნაცვლად, საზოგადოებას თავიანთ მიკერძოებულ პოზიციას უნდა აწვდიდნენ. ამ მოსაზრების ავტორები იმასაც ამტკიცებენ, რომ ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე მედია, სინამდვილეში, ძალაუფლების მპყრობელთა ინტერესებს ემსახურება, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს თანაბრად აშუქებს და მართალსა და მტყუანს ერთშანებისგან არ არჩევს.

ვფიქრობ, ობიექტურობის საკითხი სცდება უურნალისტიკის ფარგლებს და

ზოგადად, სოციალური და პოლიტიკური თეორიის პრობლემას წარმოადგენს. შევეცდები, ობიექტურობა, პირველ რიგში, ამ პერსპექტივიდან დავინახო. უურნალისტური ობიექტურობის თემა ხშირად სწორედ იმიტომ ხდება გაუგებრობის გამომწვევი მიზეზი, რომ ფართო თეორიული კონტექსტისგან დამოუკიდებლად განიხილება.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ უურნალისტი ობიექტურად აშუქებს? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მოწოდებული ინფორმაცია რეალობის ჭეშმარიტ სურათს ასახავს?

მთავარი პრობლემა ამ საკითხების განხილვის დროს „ჭეშმარიტების“ ცნებასთან გვექმნება. დემოკრატიული პოლიტიკის არსი ის არის, რომ იგი ჭეშმარიტების აბსოლუტისტურ გაგებას ანგრევს და კონვენციური (ის, რაზეც შეთანხმება შესაძლებელი) გაგება შემოაქვს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში შეურყეველი ჭეშმარიტებები არ არსებობს: ყველაფერი შეგვიძლია ეჭვქვეშ დავაყენოთ. ერთი რომელიმე ჭეშმარიტება პოლიტიკურად გარანტირებული არ არის (მაგალითად, როგორც თეორიატიაში, ან ტოტალიტარულ რეჟიმებში).

თავად ქვეყნის უმაღლესი კანონი – კონსტიტუციაც კი არ გამოხატავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც მარადიულად უცვლელია. კონსტიტუციაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა. მაგალითად, საქართვე-

ლოს კონსტიტუციაში მისი მიღების დროიდან, 20-ზე მეტი ცვლილება შევიდა. ამერიკის კონსტიტუციაში კი 27 შესწორებაა შესული (მათ შორის, პირველი ათი შესწორება, რომელიც ცნობილია, როგორც Bill of Rights და მოქალაქეების ძირითად უფლებებს განმარტავს).

თუკი დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველაფერი გადახედვას ექვემდებარება, რა უნდა მივიჩნიოთ ასეთი საზოგადოების „უმაღლეს სიკეთედ“? ასეთი სიკეთეა დემოკრატიული საჯარო სივრცე, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ ჭეშმარიტების, სიკეთის და სამართლიანობის ჩვენებული ცნებები საჯაროდ გამოვიტანოთ და მასზე კამათი შევძლოთ. მედია სწორედ ამ საჯარო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მედია უნდა ცდილობდეს, რომ წაახალისოს დემოკრატიული საჯარო სივრცე, რომელშიც პოლიტიკურ პანონენტებს ექნებათ არგუმენტების წარმოდგენისა და დაცვის საშუალება.

ინფორმაციის გადაცემის დროს, მედია უნდა ცდილობდეს, რომ აქცენტი გაამახვილოს სარმოუნო ფაქტებზე – ისეთებზე, რომლის დადასტურება შეუძლიათ თვითმხილველებს, ან წერილობით, აუდიო თუ ვიდეომასალას (რაზეც შეთანხმების მიღწევის მეტი შანსი არსებობს).

თუ მედია ამ ფუნქციაზე უარის იტყვის, მაშინ დემოკრატიული საჯა-

რო სივრცე ვერ შეიქმნება. ფაქტებისა და დაბალნებული ინფორმაციის გადაცემის გარეშე, შეუძლებელია, რომ ოპონენტებმა ჯანსაღი დისკუსიის გამართვა შეძლონ.

მკითხველი, ალბათ, მისაყვედურებს და მეტყვის, რომ ჩვენ სრულფასოვან დემოკრატიაში არ ვცხოვრობთ, აქ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის ურთიერთობას კანონი ვერ არეგულირებს და ამიტომ, ობიექტური პოზიციის დაცვას აზრი არ აქვს. ამაზე პასუხი ის არის, რომ სხვებს ჩვენი საკუთარი მაგალითით უნდა ვუწევნოთ მაქსიმალური ობიექტურობა და დაბალნებულობა.

იმისათვის, რომ უურნალისტებმა შეძლონ იყვნენ მაქსიმალურად ობიექტურები, ისინი პოლიტიკური და სხვა სახის გავლენებისგან უნდა გათავისუფლდნენ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის რეალური სამართლებრივი მექანიზმები არ არსებობს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებს ქართულ მედიაში წილის ქონას უკრძალავს. ამავე კანონპროექტის მიხედვით, მედიაკომპანიების მფლობელების ვინაობა გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, ამ ნაბიჯმა ქართული მედიის ხარისხი ვერ გააუმჯობესა.

„მაქსტროში“ მომხდარ მოვლენებზე ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ამჯერად პრობლემიდან გამოსავალი სარეალური პოლიტიკის მუშაობაში უნდა ვეძებოთ.

სამწუხაროდ, მედიის ხარისხზე გადამწყვეტ გავლენას ვერც სარეალური პოლიტიკის გამჭვირვალობა იქონიებს, რადგან კომპანიის მმართველებს თავიანთი ხელქვეითების ირაბი კონტროლი მაინც შეუძლიათ – მათ აქვთ უფლება, რომ ისინი ნებისმიერ დროს დაითხოვონ სამსახურიდან.

სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი ერთგვარი უურნალისტური პროფესიონების შექმნაა, რომელიც

უურნალისტური სტანდარტების აღსრულების გარანტია იქნება.

ასეთი ტიპის გაერთიანება უკვე არსებობს „მედიის საბჭოს“ სახით, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მასში გაწევრიანებისგან პროსახელისუფლებო მედიის ნარმომადგენლები თავს იკავებენ. დღესდღეობით, უურნალის-



■ იმისათვის, რომ

უურნალისტებმა შეძლონ იყვნენ მაქსიმალურად ობიექტურები, ისინი პოლიტიკური და სხვა სახის გავლენებისგან უნდა გათავისუფლდნენ.
თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის რეალური სამართლებრივი მექანიზმები არ არსებობს.

პოლიტიკური და სხვა სახის გავლენებისგან უნდა გათავისუფლდნენ.
თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის რეალური სამართლებრივი მექანიზმები არ არსებობს.

ტური ეთიკის ქარტიას სულ 154 ხელმომწერი ჰყავს.

უურნალისტურ ქარტიაზე ხელმოწერა სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ირიბად შეუწყობს ხელს. მართალია, მედიაკომპანიების მმართველებს კვლავ შეეძლებათ მათთვის მისაღები კანდიდატების შერჩევა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა, მაგრამ „მედია საბჭო“ (რომლის ხელმომწერებიც ეს კანდიდატები იქნებიან), მათი საქმიანობის მონიტორინგს უზრუნველყოფს – შეამოწმებს იმას, თუ რამდენად შეესაბამება უურნალისტების საქმიანობა უურნალისტური ეთიკის სტანდარტებს.

ასეთ შემთხვევაში, მედიაკომპანიების მმართველებს ნაკლები შესაძლებლობა დარჩებათ იმისთვის, რომ სარედაქციო პოლიტიკაზე რადიკალური ზეგავლენა იქონიონ. ყოველი ახლად დანიშნული რედაქტორი თავს უურნალისტური სტანდარტების დაცვით გაიმართლებს. თუ რედაქტორი თავად გადაწყვეტს არაკეთილსინდისიერად მოქცევას, მაშინ „მედია საბჭო“ მის მიერ ჩადენილ დარღვევებს (მაგალითად, ფაქტების განზრას დამახინჯებას და ამით მოსახლეობის შეცდომაში შეეყვანას, პირადი ცხოვრების უფლების შელახვას და ა.შ.) გამოაშვარავებს და მას საჯარო საყვედურს გამოუცხადებს.

„მედია საბჭოში“ გაერთიანება ყველა უურნალისტის ინტერესებში შედის – ეს უურნალისტებს დამტკირავებლებთან ურთიერთობებში დამატებით დაცვის მექანიზმებს შეუქმნის. დღევანდელი მდგომარეობიდან გამოსვლა მედიის მუშაკებს მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევით შეუძლიათ. თუ „მედია საბჭო“ საქმარის ნდობასა და ავტორიტეტს მოიპოვებს, პროსახელისუფლებო არხებში დასაქმებული უურნალისტებიც იძულებული გახდებიან, რომ გაერთიანებას შეუერთდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ შეურთდებიან, მათი ტელეარხების ნდობა ნელ-ნელა უფრო მეტად დაიწევს და მათ პროფესიულ კარიერას მეტი ზიანი მიადგება. **■**

მისამართის მოძიება

მარკ მალენი



წინასაარჩევნო პერიოდში დეპრესიის მომგვრელია იმის ყურება, თუ როგორ ირჩევენ კანდიდატებს პოლიტიკური პარტიები. ეს საუკეთესო და ამავე დროს, ყველაზე უფრო სამწერო ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად სუსტია ქართული პოლიტიკური სისტემა და პარლამენტი.

მმართველ პარტიას ჰყავს კონსტიტუციური უმრავლესობა, რის მეშვეობითაც ის პოლიტიკის მარტივად და მოხერხებულად კეთებას შეეჩინა. ამიტომ, მას საშინლად სურს, რომ პარლამენტში კვლავ უმრავლესობით დარჩეს. ახლანდელი საარჩევნო კანონი ისეა მოწყობილი, რომ გარეგნულად რაც შეიძლება დემოკრატიული გამოჩენებს (განსაკუთრებით, უცხოელებისათვის), თუმცა ამავე დროს, კანონის მიხედვით, მმართველ პარტიას ან მასთან დაახლოებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შეუძლიათ საპარლამენტო ადგილების ორი მესამედის მოპოვება, ისე, რომ პროპორციულად გაცილებით მცირე რაოდენობის ხმები დააგროვონ.

სანამ ივანიშვილი გამოჩენდებოდა, იმის დიდი ალბათობა იყო, რომ მმართველ პარტიას კონსტიტუციური უმრავლესობა მოეპოვებინა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ადგილების ორ მესამედს იმ შემთხვევაშიც კი მიღებდა, თუ ამომრჩევლების ორი მესამედი მის წინააღმდეგ მისცემდა ხმას. ამის მისაღწევად მმართველ პარტიას ბევრი საშუალება ჰქონდა, მაგრამ მათი მთავარი უპირატესობა ამჟამნდელი საარჩევნო კანონის ის მუხლი იყო, რომლის მიხედვითაც მაჟორატარი კანდიდატი, რომელიც ხმების 30 %-ზე მეტს აგროვებს, არჩევნებში მეორე ტურის გამართვის გარეშე იმარჯვებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ საარჩევნო ოლქში ამომრჩევლების 70 % მმართველი პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ მისცემს ხმას და ეს ხმები სხვადასხვა იპოზიციონერ კანდიდატზე გადანაწილდება, ხელისუფლების

კანდიდატი მაინც გაიმარჯვებს. ეს საშინელი სისტემაა და პირველ რიგში, იმაზე გვათქიქრებს, თუ რატომ ეშინია მმართველ პარტიას 50 %-იანი ბარიერისა და მეორე ტურის დანიშნის.

გამოდის, რომ ამ სისტემის პირობებში, კანდიდატების უმრავლესობა პარტიული სიიდან იქნება. ამ სიაში მყოფი კანდიდატების სისუსტე კი ის არის, რომ ისნი პარტიამ აირჩია და აქედან გამომდინარე, ეცდებიან, რომ მხოლოდ პარტია ასიამოვნონ, იმის ნაცვლად, რომ ამომრჩევლების ინტერესების დასაკმაყოფილებლად დამოუკიდებლად და მუჟაითად იმუშაონ. ახლანდელ პარლამენტს სწორედ ეს პრობლემა აქვს: იგი, უბრალოდ, მმართველი უნდის ბრძანებებს ასრულებს. პარლამენტი ბიუროკრატიულ საკონტროლო პუნქტად გადაიქცა, რომელსაც მთავრობისგან ნამოსული ინიციატივები გაივლის იმისთვის, რომ კანონებად იქცეს. ამ ინიციატივებზე საჯაროდ ძალიან ცოტას მსჯელობები; საზოგადოებამ არ იცის, თუ რას ნიშნავს და რა უდევს მათ საფუძვლად.

პარლამენტში მოხვედრა ბევრს სურს. ამ ადამიანებისთვის პარლამენტარიბას ბევრი დადგებითი ხმარე აქვს. ისინი იქნენ სტატუსს და იღვებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მათი ბიზნეს ინტერესებისთვის ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს – ისეთ ინფორმაციას, რომელზეც დანარჩენ მოსახლეობას ხელი არ მოუწვდება. მათ ხანდახან კანონმდებლობის იმგვარად შეცვლა შეუძლიათ, რომ თავიანთი ბიზნეს ინტერესები და-აკმაყოფილონ. და ასევე, ინგლისურის

მცოდნე კანონმდებლებს საზღვარგარეთ უფასოდ მოგზაურობის შესაძლებლობაც აქვთ.

ფაქტობრივად, ისეთს არავის ვიცნობ, ვინც ახლანდელი ქართველი პარლამენტარებით მოხიბლული იყოს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხს ხშირად ვეკითხები, იციან თუ არა, ვინ არის მათი მაჟორიტარი დეპუტატი და ამ კითხვაზე თითქმის ვერავინ მპასუხობს. ასეთი მდგომარეობის გამო, მმართველ გუნდს სურს, რომ ახლანდელი მაჟორიტარებისა და პარტიული სიის დეპუტატების გარკვეული რაოდენობა შეცვალოს.

ამ პროცესს თუ დავაკვირდებით, სამწერაო სურათს დავინახავთ. პირველ რიგში, გამოჩენდებიან ამბიციური ადამიანები, რომლებიც ამჟამად გუნდის გარეთ იყოფებიან და რომლებსაც სურთ, რომ ლიდერების კეთილგანწყობა დაიმსახურონ. კლასში მასავლებლებისთვის საჩუქრების მიმრთმევი მოსწავლეებივით, უამრავი ადამიანი ძალაუფლების ქმნეთა სიმპათიის მოპოვებას ერთგულების დემონსტრირებით შეეცდება. ერთ-ერთი გზა ერთგულების დასამტკიცებლად იმათი უმიზეზოდ გაერჩიტიკებაა, ვისაც თავისი ერთგულება საჯაროდ არ გამოუჩენია. ამგვარი კრიტიკის დონე საგრძნობლად მოიმატებს. ასევე, ბევრი განხილვა გაიმართება იმაზეც, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი „ახალი სახეების“ მოზიდვაზე. მაჟორიტარი დეპუტატები, რომელთაც, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებიათ თავიანთი ოლქებისთვის, სოფლებში სიარულს და

იმაზე ლაპარაკს დაიწყებენ, თუ რა გა-
აკეთეს და რას გააკეთებენ მომავალში.
ამავე დროს, ბევრმა მათგანმა იცის,
რომ უნდა წავიდეს და ეს უკანასკნელ-
ნი პოსტის დატოვებისთვის მზადებას
უხალისოდ დაიწყებენ. უხალისოდ იმი-
ტომ, რომ მათი სამსახური ასე მცირე
ძალისხმევას საჭიროებდა.

ფულის ფაქტორიც არ უნდა დაგვა-
უწყდეს. ბოლო კვირუბში მმართველი
პარტია ძალზე შეწუხდა იმის გამო, რომ
ქართულ დემოკრატიას შესაძლოა საარ-
ჩევნო კამპანიების უთანასწორო დაფი-
ნანსებამ საფრთხე შეუქმნას. ამაზე ფი-

ლობრივ პოლიტიკოსებს ექნებათ საშუა-
ლება, რომ საკუთარი შესაძლებლობები
გამოივლინონ და ნაციონალურ დონეზე
მიაღწიონ წარმატებას. სამწუხაროდ,
საქართველოში სისტემა იმდენად ცენ-
ტრალიზებულია, რომ შეუძლებელია, ასე
იმუშაოს.

ფულის ფაქტორზე საუბრისას, ისიც
არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი კან-
დიდატები ოპოზიციამაც უნდა შეარჩიოს.
ჯერჯერობით, ნათელი არ არის, თუ რა-
მდენად ერთიანი იქნება ოპოზიცია, ვისი
სახელის ან სახელების გარშემო გაერ-
თიანდება და რა დონის მხარდაჭერას

მოიპოვებს. ამავე დროს, ნათელია ის,
რომ პირადად ბიძინა ივანიშვილს წარმა-
ტებული ოპოზიციონერი კანდიდატების
დასახელების პროცესზე დიდი გავლენა
ექნება. ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რა-
მდენი გააკეთა მან საქართველოსთვის,
მაგრამ გულწრფელად რომ ვთქათ, მას
ნამდვილად აქვს საკმარისი ფული იმის-
თვის, რომ კანდიდატების შესარჩევ კო-
მიტებში, ამის გარეშეც დამკიდროს
ადგილი.

რაზე დაყრდნობით აირჩევს იგი კან-
დიდატებს? ეს ნამდვილად რთული საკი-
თხია. უამრავი პოლიტიკური პარტიაა,
რომლებიც სინამდვილეში პარტიები არ
არიან, მაგრამ ჰყავთ ისეთი ლიდერები,
რომლებიც უურნალისტების სიზარმაცი-
სა და მოუწესრიგებლობის გამო, ახალ
ამბებში გამუდმებით ხვდებიან. ისინი
ჩნდებიან ახალ ამბებში, რადგან ოპო-
ზიციის ლიდერები არიან და ოპოზიციის
ლიდერები არიან იმიტომ, რომ ახალ
ამბებში ჩნდებიან. ის ფაქტი, რომ მათ
თითქმის არ ჰყავთ მხარდაჭერები ან
არ აქვთ სასარგებლო იდეები, საქართვე-
ლოში არაფერს ნიშნავს. არავინ იცის, რა
არგუმენტებს მოიტანენ ისინი, მაგრამ
მათ ეს არგუმენტები თავიანთთვის მო-
ჰყავთ.

ვინ იქნებიან სხვა კანდიდატები? მხო-
ლოდ სანდო პირები? რამე პრამერის
მსგავსი სისტემა შეიქმნება? ოპოზიცია
პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღე-
ბის პროცესისგან რვა წლის მანძილზე
დაშორებული იყო, როგორ გადაწყვეტიენ
ამ ფონზე იმას, თუ ვის აქვს კარგი იდე-
ები და ამ იდეების განხორციელების
უნარი? რამდენად გამჭვირვალე იქნება
კანდიდატების შერჩევის პროცესი? მათ,
ვისაც პარლამეტრში მოხვედრა სურთ,
რა უნდა გააკეთონ მიზნის მისაღწევად?
ერთ-ერთი რეალური გზა იმის დასადგე-
ნად, თუ სინამდვილეში რას წარმოად-
გენს ახალი ოპოზიციური ძალა, იმაზე
დავირვებაა, თუ რა სისტემას გამოიყე-
ნებს ის კანდიდატების შესარჩევად.
იგივე შეიძლება ახლანდელ მმართველ
გუნდზეც ითქვას. ასე რომ, დავაკვირ-
დეთ პროცესს და იმედი ვიქონიოთ, რომ
მოიქცენლობის დონე ზედმეტად კატას-
ტროფული არ იქნება. **■**

უამრავი პოლიტიკური

პარტიაა, რომლებიც

სინამდვილეში

პარტიები არ არიან,

მაგრამ ჰყავთ ისეთი

ლიდერები, რომლებიც

უურნალისტების

სიზარმაცისა და

მოუწესრიგებლობის

გამო, ახალ ამბებში

გამუდმებით ხვდებიან.



ქრით ისინი აქამდე თავს არ იწუხებდნენ. პოლიტიკურ კამპანიებს დაფინანსება სქირდება და გადაწყვეტილებების მი-
მღებნი კანდიდატებს, აღბათ, ჰეთითხავენ,
თუ რამდენის შენირვა შეეძლებათ მათ
პოლიტიკური მიზნებისთვის. ეს ყველა-
ფერი კი სასიამოვნო სურათს ნამდვილად
არ შექმნის.

არაპუნებრივად ცენტრალიზებული
ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ყვე-
ლაზე სამწუხარო ჩავარდნა ის არის, რომ
ადგილობრივი ტალანტების გამოვლენის-
თვის ნაკლები შესაძლებლობა რჩება. თუ
თელავს, ზუგდიდს, გორს, ქუთაისს, ან
სხვა ქალაქებს მერის პირდაპირი გზით
არჩევა შეეძლებათ, მათ საკრებულოებს
რეალური ძალაუფლება და ფინანსური
რესურსები ექნებათ, გადაწყვეტილებებს
ადგილობრივ დონეზე მიიღებენ და ადგი-



სამიზან სპეციალისტი

ინტერვიუ ბავშვთა ფსიქოლოგ

მაია ცირამუასთან

10-დან 18 წლამდე მოზარდების „დევიანტური“ და მართლწესრიგის საწინააღმდეგო ქცევა შესაძლოა სპეციალური ნორმატიული აქტით დარეგულირდეს. რეგულირებისას გამოყენებულ ერთ-ერთ ნორმად ბავშვების სპეციალიზებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში გადაყვანა იგულისხმება. საქართველოს პარლამენტში შესულია კანოპროექტი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. კანოპროექტი უკვე განიხილეს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებმა.

კანონში ყურადღებას იქცევს ისეთი ტერმინების გამოყენება, რომელთა ინტერპრეტაციაც არაერთგაროვნად შეიძლება. როგორ შეაფასებდით კანონ-პროექტში გამოყენებულ ტერმინოლოგიას?

პირველ რიგში, ტერმინებში და-მატებით განმარტებას საჭიროებს „დევიანტური ქცევა“. ეს ძალიან ფართო ტერმინია. დევიანტურ ქცევაში იგულისხმება არა მხოლოდ დანაშაულებრივი ან ასოციალური, არამედ ისეთი ქცევებიც, რომელსაც ფსიქიური დარღვევები განაპირობებს. ამ ტერმინის დაკონკრეტება აუცილებლივა, რათა გაუთვალისწინებული შედეგები არ მივიღოთ. მაგალითად, ამ კანონის მიხედვით, ბავშვი შეიძლება მოხვდეს სპეცსკოლაში ჰიპერკინეტიკური აშლილობის შემთხვევაში. ჰიპერკინეტიკური აშლილობის შემთხვევაში.

ნინდაუხედაობითა და იმპულსურობით გამოირჩევიან. ხშირად ხდებიან უბედური შემთხვევის მსხვერპლი და სოციალური ნორმების დარღვევის გამო დისციპლინურ სასჯელსაც იღებენ ხოლმე.

ზოგადად, ბავშვებში ჰიპერკინეტიკური დარღვევები ხშირია, მაგალითად, ADHD-ის (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი) მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვები ხშირად ქმნიან პრობლემას სკოლაში, მათ ახასიათებთ ე. წ. მოტორული მოუსვენრობა, ისინი ვერ მართავენ საკუთარ ქცევას, ზეაქტიურები არიან, არ შეუძლიათ დაჯდომა, ამის გამო შლიან სასწავლო პროცესს და თანაკლასელებისადმი აგრესიასაც ამჟღავნებენ, რადგან თანატოლები მათთან ურთიერთობას ხშირ შემთხვევაში გაურბიან და ა.შ. ამ ბავშვებს სპეციალისტის, ფსი-

ქოლოგის მიზანმიმართული დახმარება სჭირდებათ, ამ კანონით კი ისინი შეიძლება არასწორ ადგილას აღმოჩნდნენ, თან მშობლებს და ოჯახს მოწყვეტილები. დიდია იმის ალბათობა, რომ ბავშვების ქცევა კიდევ უფრო გამწვავდება და მდგომარეობა გაუარესდება.

არსებობს სხვა რისკებიც: ტერმინის ბუნდოვანი განმარტება მანიპულირების და თავისუფალი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა და ამ დაწესებულებაში შეიძლება მოხვდე ფანჯრის ჩამტვრევისთვისაც და სერიოზული კრიმინალური ქცევისთვისაც; ასევე, არა მგონია სწორი იყოს კრიმინალური ქცევისა და მარტივი ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვების ერთ სივრცეში ყოფნა, რადგან ცნობილია, რომ მოზარდები ადვილად ექცევიან ერთმანეთის გავლენის ქვეშ. ეს უკვე ახალ რისკებს ქმნის!

ამიტომ, აუცილებელია დაკონკრეტდეს, რა ტიპის ქცევა იგულისხმება „დევიაციაში“ და რაზე ვრცელდება სპეციალური ღონისძიებები.

ვის შეუძლია ქცევის, როგორც დე-
ვიანტურის, კვლიფიკაცია?

ფსიქოლოგს, ფსიქიატრს. არ
მესმის, რატომ უნდა ჰქონდეს ამის შე-
ფასების უფლება მანდატურს. საიდან
შეუძლია მანდატურს იდენტიფიცირება
და ნორმისა და კლინიკური შემთხვევის
განსხვავება? ეს არც ჰედაგოგისა და
სოციალური მუშაკის კომპეტენციაში
შედის.

რა მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცეს-ში ოჯახის ინსტიტუტს?

ოჯახი ძალიან სერიოზული რესურ-
სია, რომლის გამოყენებაც აუცილებე-
ლია რთული ქცევის ბავშვების პრო-
ბლემების მოსაგვარებლად. საჭიროა
მშობლებთან მუშაობა, რადგან მათ
ხშირად არ იციან, როგორ მართონ თა-
ვიანთი შეიღილის ქცევა. აյ შემოდის სო-
ციალური მუშავის როლიც, რომელსაც
ბავშვის გარშემო სკოლის, ოჯახისა და
ფსიქოლოგის გაერთიანება შეუძლია.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ბაში ბაგშევები ოჯახურ სიტუაციაშიც ძალიან დაუცველები არიან. ზოგს საერთოდ არ ჰყავს მშობლები, ან ისინი უცხოეთში არიან წასული სამუშაოდ. ზოგ შემთხვევებში მშობლებს თავად ახასიათებთ ასოციალური ქცევა, წამალდომკიდებულები არიან და ა.შ. ოჯახის დონეზე ასეთი მაღალი რისკების შემთხვევებში ბავშვებისთვის შეიძლება ძალიან კარგი იყოს დაწესებულება, სადაც კარგი სერვისები იქნება და ბავშვი თავისი ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების შესაბამის დახმარებას მიიღოს.

რამდენად არის დაკავშირებული ბავშვის როტულ ქცევასთან ოჯახის ეკონომიკური მოვლენების?

ରତ୍ନଲୀ କୃପେଶ୍ଵରୀଙ୍କୁ
ବିଜ୍ଞାପନ କରିବାକୁ ଆପଣଙ୍କ ମହାନ୍ତରରେ
ଏହାକିମ୍ବାନ୍ଦିରେ କରିବାକୁ ଆପଣଙ୍କ ମହାନ୍ତରରେ
ଏହାକିମ୍ବାନ୍ଦିରେ କରିବାକୁ ଆପଣଙ୍କ ମହାନ୍ତରରେ

ის პრობლემები, რაც მას შინ ხვდება. ამ კანონპროექტის მიხედვით, პრო-ბლემების მქონე ოჯახიდან ბავშვი გადაგვყავს დაწესებულებაში, იქ ვრთავთ რაღაც სერვისებში, რაც არ ვიცით, რას გულისხმობს და შემდეგ ვაძრუნებთ უკან ოჯახში, სადაც ისევ იგივე პრობლემები ხვდება და რა გა-მოდის? მას ხომ იგივე რისკები აქვს? ამიტომ ოჯახთან მუშაობა აუცილებე-ლია, კანონპროექტში მშობლის როლი და ჩართულობა მინიმალურია და ოჯა-ხის დონეზე ინტერვენცია საერთოდ არ იგულისხმება.

როთული ქცევის ბაშვების სპეციალიზმის სკოლებში მოთავსებას რა გავლენა ექნება ბაშვების ფსიქოსოციალურ განვითარებაზე?

ცხადია, ეს დიდი ტრავმა ბავშვის-თვის. განსაკუთრებით 10-11 წლის ასაკში. შეიძლება, ამან მოზარდის პრობლემები კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს. ამას გარდა, ოჯახისგან ბავშვის სეპარაცია და სპეციალიზებულ სკოლაში გადაყენანა გაუებარისა, მით უფრო, რომ ოჯახი ბავშვისთვის მხარდამჭერ ქსელს წარმოადგენს და მშობლები მზად არიან ბავშვის ქცევითი პრობლემების მოსაგვარებლად სპეციალისტთან ითანამშრომლონ.

თუ გვინდა გარკვეული ტიპის სასწავლო პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება, რომლებიც საკუთარ თავსაც და სხვებსაც პრობლემებს უქმნიან, ვთქვათ, სასწავლო პროცესს შეღიან და თანატოლებს რაიმე საშიშროების წინაშე აყენებენ, ამ შემთხვევაში სხვა სახის პრევენციის ამოქმედება ასაჭირო. ეს პრევენცია შეიძლება სკოლის დონეზეც არსებობდეს, თუ სკოლაში ისარგებლობა ეპიზოდების მიზნებაზე.

სპეციალიზებულ სააღმზრდელო
დაწესებულებებს რაც შექება, ჩემი
აზრით, ამ ტიპის დაწესებულებებში
მოთავსება უკიდურესი ზომა უნდა
იყოს და მას შემდეგ უნდა გამოიყე-
ნოთ, რაც ძალიან ბევრი პრევენციუ-
ლი ღონისძიება ამაოდ ჩაიღლს და
ფსიქოლოგს აღარ შექმლება, ადგილზე
განმეობოს სიტუაცია.

კანონში საუბარია სხვადასხვა კუთხის საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართვაზე, რაც ძალიან ბუნდოვანი და არაფრისმთქმელია. ცალკე დოკუ-მენტი უნდა არსებობდეს, რომელიც აღწერს, რა კონკრეტული ღონისძიებები გატარდება, ჩაერთვება თუ არა ამაში ფინანსური და სოციალური მუშაკი და ა.შ. ჩვენ უნდა ვიკოდეთ, სად ამონურა ყველა რესურსი. თუ ამ რესურსების ამონურების შემდეგაც ბავშვი მართლაც საშიშა, მაშინ უნდა გადაიყვანონ სპეციალურ სკოლაში.

ՐՈՅՈՐ ՅՆԾԱ ՇԵՐՋԱԾՏԵՍ ԱՏԵԹՈ ՏԿՈԼՂ-
ԾՈԽ ՄԵՒՄԱԾԸ ՎԻՍ ՇԵՐՋԸՆՈԱ ԳԱԲՆԱՑԸ-
ՎՐՈՆՍ, ՐԱՄԾԵՆԱԾ ՏԵՐՈՐԱԾ ՄՈՒԾՈՆԱՐԵՐՈԾԸ
ՏԿՈԼԱՅԻ ՎՐՈՂԵՐԵՑԸ?

ეს აუცილებლად ფსიქოლოგმა უნდა
შეაფასოს. უნდა არსებობდეს ძალიან
დახვეწილი საკვლევი ინსტრუმენტე-
ბი, რომლითაც გაიზომება ბავშვის
მდგომარეობა სკოლაში შესვლისას
და კონკრეტული პერიოდის გასვლის
შემდეგ ხელახლა უნდა შეფასდეს მისი
მდგომარეობა.

სხვათა შორის, ამ კანონპროექტში
ფსიქოლოგის როლი და მნიშვნელობა
ძალიან მიჩქმალულია და არასათანადო
ყურადღიანია ექცევა.

ისევ ქცევის დეფინიციებს რომ
დავუპრუნდეთ, ზოგადად, რას ნიშნავს
ქცევის ნორმები და როგორ დგინდება
ნორმა ან ნორმითან ვათახურა?

ყველა ასაკს შესაბამისი ნორმა აქვს
კოგნიტური, ემოციური, სოციალური
განვითარების მხრივ. მაგალითად, მო-
ზარდობის ასაკში ნორმაა, რომ ბავშვი
აგრძესიული ხდება. მის თავს ძალიან
სერიოზული ცვლილებებია: ჰორმონა-
ლური რევოლუცია, იდენტობის ძიების
პროცესი და ა.შ. ამ თვალსაზრისით,
მოზარდობა ყველაზე საპასუხისმ-
გებლო ასაკია და ამ დროს ჩნდება
ყველაზე ეგზისტენციალური კიოხვა -
„ონი ვარ მე?“

ნარმობდებინეთ, ერთ სივრცეში, ერთ კლასში 20 მოზარდი ერთად, სადაც ოცივეს თავის დამკვიდრება სურს. ეს საკმაოდ რთულია ამოკა-

ნაა – აგრესიულობა, აგზნებადობა, ოპოზიციური ქცევის ნიშნები უფრო თვალსაჩინო სწორედ ამიტომ ხდება მოზარდობის ასაკში. ანა ფრონდი ამბობდა, რომ იყო ნორმალური ამ ასაკში, ეს უკვე არანორმალურია. საერთოდ, ცნობილი ფაქტია, მთელ მსოფლიოში ყველაზე კრიმინალურ სეგმენტს მოზარდები ნარმოადგენენ. მაგრამ, როდესაც კარგად ორგანიზებული პრევენციული ჩარევა იწყება, მოზარდების 80% კრიმინალურ საქმიანობას წყვეტს.

იმისთვის, რომ ნორმიდან გადახრაზე ვისაუბროთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ბავშვის ქცევის ინტენსიურადა და სიხშირე. ზოგადად, ძალიან როგორ საკითხია იპოვო წყალგამყოფი ნორმასა და გადახრას შორის.

თავად ნორმა აპრიორული მოცემულობაა თუ შეთანხმების შედეგია?

რა თქმა უნდა, ნორმა კონვენციურია. ბავშვის როგორი ქცევა კი იმ რისკების შედეგია, რაც ამ ბავშვის ცხოვრების ყველა დონეზე არსებობს. მაგალითად, სკოლაში გამშირებული ჩებუბის მაპროვოცირებელი ფაქტორი შეიძლება იჯახში ან კლასში იყოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ბავშვს პასუხისმგებლობას ისეთ თემებზე ვაკისრებთ, რაშიც დამნამავეები ჩვენ ვართ, როგორც მშობელი, როგორც მასწავლებელი, მანდატური, უურნალისტი და ასე შემდეგ. თან, პასუხისმგებლობას ვაკისრებთ იმ ასაკში, როცა არც მორალური და არც კოგნიტური განვითარების დონის მიხედვით, ბავშვს არ შეუძლია პასუხი აგოს საკუთარ ქცევაზე.

როგორ უნდა აითვისონ ამ ბავშვებმა საზოგადო ალიარებული წესები და ნორმები?

საჭიროა, რომ ამაზე მუშაობა სკოლებში მიმდინარეობდეს. აյ ბავშვებში პოზიტიური ქცევითი ნორმები და ღირებულებები უნდა განმტკიცდეს.

როგორ უნდა აითვისონ ბავშვის წინაშე არსებული პრობლემები ფრთხილად უნდა მოგვარდეს. ძალიან მნიშვნელოვანია

ამ პროცესში მშობლის მონაწილეობის ხარისხი და როლი, ის პირველი წუთებიდან უნდა იყოს ჩართული. ამ კანონის მიხედვით კი, მშობელმა მხოლოდ არჩევანი უნდა გააკეთოს, მან უნდა გადაწყვიტოს ბავშვს სპეცსკოლაში გაუშვებს თუ 500-ლარიან ჯარიმას გადაიხდის.

თუმცა ჯარიმა დროებითი ზომაა და საბოლოოდ, თუ თვითონ მშობელი ან მეურვე არ წაიყვანს ბავშვს, მას პოლიციის ჩარევით გადაიყვანენ სპეცსკოლაში. როგორ შეაფასებთ ამ პროცესში პოლიციის მონაწილეობას?

■ „ქცევის, როგორც დევიანტურის, კვლიფიკაცია შეუძლია ფსიქოლოგს, ფსიქიატრს. არ მესმის, საიდან შეუძლია მანდატურს იღენტიფიცირება და ნორმისა და კლინიკური შემთხვევის განსხვავება? ეს არც პედაგოგისა და სოციალური მუშაკის კომპეტენციაში შედის.“

ამას სასჯელალსრულებითი ხასიათი აქვს. ბოლოს და ბოლოს, პოლიციას მიჰყავს ბავშვი, რომელიც დედამამამ ვერ გაიმეტა წასაყვანად. კანონპროექტში არანაირად არ ჩანს, რომ ბავშვზე ვინმე რაიმე სახით ზრუნავს, იმიტომ, რომ არ არის აღნერილი ის ფსიქოსოციალური დახმარების ქსელი, რომელიც ბავშვს ან სპეცსკოლაში გადაყვანამდე ექნება პრევენციის დონეზე, ან გადაყვანის შემდეგ.

ამ კანონის მიხედვით, სპეციალიზებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი ბავშვი, მით უმეტეს, რომ ინიციატივების დონეზე მანდატური მონაწილეობს. მანდატურების არაეთიკური და ბავშვის ინტერესებისთვის შეუფერებელი ქცევა არერთხელ დაფიქსირებულა. თუნდაც ის, რაც 53-ე სკოლაში მოხდა, სადაც ორი ბავშვი სკოლიდან გარიცხეს და პოლიცია გამოიძახეს. არადა, ეს იყო ისეთი შემთხვევა, სადაც სკოლას საკუთარი რესურსებით უნდა შეეძლოს ბავშვის საქციელის მართვა.

რეფერალის ლონისძიებების დროს რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ჩართულობას და ამ პროცესის გახსნილობას?

როდესაც მომავალ თაბაზე, ჩვენ შეიძლებზე საუბარი, საზოგადოების ჩართულობა ძალიან მაღალი უნდა იყოს.

მაგალითად, იგივე მულტიდისციონინურ ჯგუფს განათლების მინისტრი ნიშნავს და ამტკიცებს. რატომ უნდა მონაწილეობდეს ამაში მხოლოდ და მხოლოდ მინისტრი? რატომ არ არის თუნდაც ამ მულტიდისციონინური ჯგუფის შემადგენლობის

შერჩევაში ჩართული არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები, ან საერთოდ, ვინ გაუწევს ამ ჯგუფს მუშაობის მონიტორინგს? მე, მოქალაქეები, ხომ უნდა ვიცოდე, ვინ არიან და როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს. ნდობის მანდატი რატომ არის მხოლოდ და მხოლოდ მინისტრის ხელში?!

კანონპროექტი არ შეუფასება არცერთი ექსპერტსა თუ შემუშავებაში მონაწილე ირგანზაფიას. ვისი შეფასებები უნდა ერთვოდეს, რომ კანონი უფრო რელევანტური იყოს?

ძალიან საინტერესო იქნებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის ან ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები. თუკი ჩვენ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები-დან ამოვდივართ, კანონპროექტის ავტორებმა ეს ხმები უნდა გაითვალისწინონ. ■

ესაუბრა ანი ჭანკოტაძე.

სამხრეთ ოსეთი

თომვისინი ჩიხი

სამხრეთ ოსეთში ვითარება ჩიხში შედის. ალა ჯიოევა და მისი მომხრეები დათმობას არ აპირებენ. რესპუბლიკა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა.

მარია ბესტავა

„არავითარი კომპრომისი! სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არჩევნების შედეგების აღიარებაა. მე ათასობით ადამიანმა დამიჭირა მხარი. მე ვარ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი“, – განაცხადა 62 წლის ალა ჯიოევამ თავისი მხარდამჭერების მიტინგზე, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელთან, სერგეი ვინოგრაზოვთან შეხვედრიდან გამოვიდა.

უკვე ათ დღეზე მეტია, ჯიოევა და მისი მომხრეები ცხნივალის ცენტრში ყონვასა და თოვლში დაგნან და არჩევნების შედეგების აღიარებას ითხოვენ.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციონერი კანდიდატის, ალა ჯიოევას გამარჯვების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის უზენაესმის სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა, რამაც რესპუბლიკაში ვითარება უკიდურესად დაძაბა. შეგასწერებთ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მეორე ტურში ალა ჯიოევამ ხედის 57 პროცენტი მოაგროვა, კრიმლის კანდიდატმა ანატოლი ბიბილოვმა კი – 40.

ვითარების განსამუშავად რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სამხრეთ ოსეთში თავისი წარმომადგენელი, სერგეი ვინოგრაზოვი მიავლინა, თუმცა სრულიად უშედეგოდ. „რა აზრი აქვს ისეთ მოლაპარაკებებს, როდესაც ერთი მხარე თავის პოზიციაზე დგას, არ მოდის არანაირ დათმობაზე და მხოლოდ ჩემი მისამართით შეურაცხმყოფელ ბრალდებებს აყენებს? როდესაც რუსი ჩინოვნიკი მე ღაიად მეუბნებიან, რომ არ ვაკმაყოფილებ სახელმწიფოს მეთაურის აღნეს, არ შევეფერები ამ თანამდებობას და რომ თითქოს არჩენებზე იყო ფალსიფიკიციები, ეს რა თქმა უნდა, ძალიან საწყინია“, – განუცხადა ჯიოევამ თავის მხარდამჭერებს ვინოგრაზოვთან შეხვედრის შემდეგ.

ცხნივალში ზამთარი ადრე დაწყო. განუწყვეტლივ თოვს და ყინაეს. თუ მზემ იდნავ გამოანათა, აქაურობა უფრო საშინელი



ალა ჯიოევას და მისი მხარდამჭერების საპროტესტო აკცია, ციხია, ციხიალი, 1 დეკემბერი, 2011

სანახავია – თოვლი ტუქუინ წყლად იქცევა, ირგვლივ იმხელა გუბებია, რომ მანქანებასაც უჭირთ გადაადგილება.

2-3 ათასი ადამიანი ყოველდღე გამოდის ქალაქის ცენტრში ჯიოევას მხარდასაჭერად. აქაიქ დგას დიდი კასრები, რომელშიც ცენტრი უნთათ. ხალხს შეშა მოაქეს, რომ ცენტრი არ ჩაქრეს და ქალებმა ხელის გათბობა მაინც შეძლონ.

„ჩენ ხალხი ვართ და არა ნახირი“, „რუსეთო, მოგვაშორე ტრირანი კოკოითის რეჟიმი!“ – ამ შინაარსის ტრანსპარანტები უჭირავთ აქციაზე. ყველგან თეთრი-ყვითელ-წითელი დროშები ფრიალებს. თავად ქალბაზონ ჯიოევასაც შარფის მაგივრად სამხრეთ ოსეთის დროშა აქვს ყელზე შემოხვეული.

გამოსვლების დროს ჯიოევა მოუწოდებს თავის მომხრებს, ბოლომდე იბრძოლონ.

ხალხი უფრო რადიკალურ ნაბიჯებს ითხოვს, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების შენობაში შეჭრას ან ინაუგურაციის თარიღის დაჩარებას. ინაუგურაცია 10

დეკემბრისთვის იგეგმება. თუმცა, რა იქნება შემდეგ, არავინ იცის, რადგან ჯიოევას კანონირებას სასამართლო არ ცნობს.

ხელისუფლებაც და ოპოზიციაც აღიარებენ, რომ რესპუბლიკა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრიზეა. მიტინგების დაწყის დღიდან ორივე მხარე პროვოკაციების საშიშროებაზე საუბრობდა. პროგნოზები გამართლდა – ხალხს, სადც რესპუბლიგის გენერალური პროკურორი და მისი ოჯახი ცხოვრიბს, უცნობებმა „მუსას“ ტიპის ყუმბარა ესროლეს. პროკურორს და მის ოჯახს, რომლებსაც სახლში ეძინათ, არაფერი დამართიათ. სამაგიტროდ, იმ კორპუსში მცხოვრები ყველა ოჯახი ყინვაში ფანჯრების გარეშე დარჩა. კოკოითიც და ჯიოევაც აცხადებენ, რომ ეს იყო პროკურორისა მათ წინააღმდეგ.

ჯიოევამ კოკოითის არჩევნების შედეგების აღიარებისთვის ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმის თანახმად, კოკოითი უნდა გადამდგარიყო და ინაუგურაციის თარიღი დაენიშნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯიოევა იხსნიდა

პასუხისმგებლობას მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. თუმცა ულტიმატუმის დრო ისე ამონტურა, რომ კოკითმა ეს ულტიმატუმი არც კი განიხილა. ვერც ვინოუროვის ჩამოსვლამ განმსჭტრა ვითარება. კრემლი დღეს საკუთარ ქვეყანაში მიმდნარე საპარლამენტო არჩევნების ოგვილია კონცენტრირებული და ვერ ხვდება, რომ სამხრეთ ოსეთში ნელ-ნელა ავტორიტეტს კარგავს.

კრიზისული სიტუაცია ცხინვალში, შესაძლოა, ძალიან დიდაბანს გაიწელოს. კრემლის გაუაზრებელი პოლიტიკის გამო ვითარება ყველასთვის ძალან უცნაურად წარიმართა: ჯიოევა, რიმელიც თავიდანვე მოსკოვის მიმართ ლოიალური იყო, ახლა მოსკოვისვე გადაწყვეტილებით, ჩიხშია და არ იცის, როგორ მოიქცეს; ბიბილოვი, რომელიც კრემლის კანდიდატი იყო, დისკრედიტებულია ხალხის თვალში და მისი ბევრი მხარდამჭერი ახლა ჯიოევას მიტინგზე დგას; კოკოითიზე საუბარიც არ ლირს, მას კარგა ხანია რესპუბლიკში ბანდიტს უწოდებენ. თუმცა, ყველაზე რომელ მდგომარეობაში კრემლი საკუთარი თავი ჩაიყნა – მოსკოვმა უერ უზრუნველყო საკუთარი კანდიდატის პირველ ტურში გამარჯვება და ახლა აშკარად და ღიად უპირისპირდება თსი ხალხის ნებას, როგორც ეს 2005 წელს აფასზეთქმი გააკეთა და ასევე 2004 წელს უკრაინაში.

„რატომ იქცევა კრემლი ასე, ჯიოევა ხომ პრორუსია?“ – ხშირად გაიგონებთ ამ კითხვას. პროფესიით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ალა ჯიოევა წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად იმეორებდა, რომ იგი „პასპორტითა და სულით“ რუსია.

არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგაც ჯიოევა ძალიან ეცადა მოსკოვის მხარდაჭერის მოპოვებას, თუმცა კრემლიდან უარი მიიღო. როგორც ექსპერტები ამბობენ, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ კრემლის სამხრეთ ოსეთში მხოლოდ ლოიალური პრეზიდენტი კი არ სჭირდება, არამედ ადამიანი, რომელიც ყურმოქრილდა დაემორჩილება ყველა მის ღია თუ ფარულ ბრძანებას.

ასეთი იყო კოკითმა, რომელმაც მოახერხა მილიარდან რუსული დახმარების ისე აორთქლება, რომ ამ ფულის კვალს ვერავინ მიაგნო. რაც უნდა იღაპარაკონ კრემლმა, ცხადია, რომ კოკითმა ამას მარტო, მოსკოველი მეგობრებისა და პარტნიორების გარემო ვერ გააკეთებდა.

ცხინვალში ამბობენ, რომ მართალია, კრემლი გაბრაზებულია კოკითმაზე, რომელმაც ფულის მოპოვების საქმეში აშკარად გადამდაბაშა, მაგრამ არც იმდენად, რომ მის ნაცვლად არაპროგნოზირებად ჯიოევას დაუჭიროს მხარი, რომელმაც შესაძლოა ამ „ფულის კეთების“ სკანდალში ყველაფური თავდაყირა დააყენოს.

ამდენად, მოსკოველი ჩინოვნიკებისთვის, რომელც სამხრეთი თსეთისთვის გამოყოფილი ფულით მდიდრდებია, ცხინვალში სწორი პარტნიორის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია.

მოლაპარაკებებს, რომელებიც მთავრობის სახლში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეო-

„ჩვენ ხალხი ვართ და არა ნახირი“, „რუსეთო, მოგვაშორეტირანი კოკითმის რეჟიმი!“ –
ამ შინაარსის ტრანსპარანტები უჭირავთ აქციაზე. თავად ქალბატონ ჯიოევას
შარტის მაგივრად სამხრეთ ოსეთის დროშა აქვს ყელზე შემოხვეული.

ბდა, სამხრეთ ოსეთის მოქმედი პრეზიდენტი ედუარდ კოკითმიც ესწრებოდა.

თსეთში დარწმუნებულები არიან, რომ ის კიბისი, რომელიც დღეს რესპუბლიკას უდგას, სწორედ კოკითმის ინიცირებულია. „ვიცოდი, რომ ისე არ ნავიდოდა. აუცილებლად კუდი უნდა მოექნია მაგ უნაშესოს,“ – ამბობს ერთ-ერთი მომიტინგები მამაკაცი.

მიუხედვად იმისა, რომ კრემლის პოზიციის გამო აქ ძალიან გაბრაზებულები არიან, სიტუაციის განმსხტების იმედი ისევ რუსეთიდან აქვთ. „რესპუბლიკაში ძალიან ბევრი რუსეთის მოქალაქეა, კრემლს არა აქვს უფლება, ეს რეგიონი გაჭირებაში დატოვოს,“ – ხშირად გაიგონებთ ცხინვალში.

კოკითმისთვის დღეს მნიშვნელოვანია არა იმდენად ბიბილოვის გამარჯვება, რამდენადაც ჯიოევას დამარცხება. ჯიოევას უფრთხის არა მხოლოდ ცხინვალის მმართველ ელიტაში, არამედ კრემლში. ამის მიზეზი ჯიოევას მთავარი მოქავშირ – სამხრეთ ოსეთის თავდაცვის ექს-მინისტრი

ანატოლი ბარანკევიჩია. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა რესპუბლიკაში, რომელიც შედაელიტური კონფლიქტებისა და ქონების გადანაწილების ინიციატორი შეიძლება გახდეს. ეს კი სამხრეთ ოსეთს კიდევ უფრო უმართავს გახდის.

კოკითმის კრემლის ფავორიტთან – ანატოლი ბიბილოვთანაც არ ჰქონდა კარგი ურთიერთობები. ბიბილოვთან მომუშავე რუსი პოლიტკონსულტანტები მანიშნებდებონ, რომ კოკითმის მხრიდან მხარდაჭერამ ბიბილოვს ცუდი საქმე გაუკეთა. არ არის გამორიცხული, რომ კოკითმი, რომელმაც კარგად იცის რამდენად არაპოლუარულია, გამოიწულად დაუჭირა მხარი ბიბილოვს და ამით კრემლს პრობლემები შეუქმნა.

თუმცა, მას შემდგა, რაც ჯიოევამ არჩევნებში გაიმარჯვა, კოკითმისა და კრემლის ინტერესები დაემთხვა.

ექს პერტები ამბობენ, რომ ეს დროებითაა. თუ არჩევნების შედეგების გაუქმება და დაბორციის დაშოშინებების მოხერხდა, კრემლი თავისი კანდიდატის – ბიბილოვის გაპრეზიდენტებას შეცდება, კოკითმი კი, სავარაუდოდ, ისევ არევს ვითარებას და პრეზიდენტად თავისი კანდიდატის გაყვანას მონიდობებს.

დამკირვებლები შიშობენ, სიტუაცია, შესაძლოა, უმართავი გახდეს და სამოქალაქო იმში გადაზიარდოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შევიდობიან მოსახლეობაში ბევრი იარაღია, ეს აღბათობა იზრდება. სამხრეთ ოსეთი პატარა რესპუბლიკა და აქ ძალიან მცირე დაპირისპირებასაც, შესაძლოა, კატასტროფული შედეგი მოჰყვეს.

გარდა ამისა, შეემნილი სიტუაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ ცხინვალის მოსახლეობაში იზრდება პროტესტი მოსკოვისა და კრემლის პოლიტიკის მიმართ. ეს ყველაფური ხანგრძლივ პოლიტიკურ არასტაბილურობას და რუსეთის ავტორიტეტის დაცემას ნიშნავს.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამოქალაქო დამარჯვება

სტატია მოშზადებულია პაინტიკ პიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ ბულლიკაციაში გამოიქმედება შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებლივ გამოხატული ფონდის შეხედულებებს.

აზერბაიჯანი

306 ომალ მნებალი?



აზერბაიჯანში გრძელდება უურნალისტებზე, ბლოგერებზე, მწერლებზე თავდასხმები, დასავლური სამყარო კი ამ ქვეყნის პირველ პირებს საპატიო ორდენებით აჯილდოებს.

ირაკლი კაკაბაძე

„სახელმწიფო სახელად – ირანი, რომელმაც ისლამი მთელ მსოფლიოში გასხმაურა, როგორც რელიგიურ-ფანატიკური ცხოვრების წესი და რომლისთვისაც მეცნიერება მხოლოდ ყურანის განმარტებებსა და კომენტარებს ეყრდნობა, კაცობრობისთვის უკეთ ძალიან აუტანელი გახდა. ეს სახელმწიფო თავისი ისტორიით ომების გროვას ნარმოადგენს, ის დღესაც გამომწვევად იქცევა და საფრთხეს უქმნის ცივილიზებულ სამყაროს.

... ირანული კულტურა შორსაა ჰუმანიზმისაგან და არაფერი იცის მასზე.

თეოკრატიული სახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში მახინჯია და ძალიან საშიში, შარიათის კანონებს კი დისონანსი შეაქვს ცივილურ ნორმებსა და სამართალში.

როდესაც ასეთ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ვიხსენებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები გლობალიზაციის მნიშვნელობასა და გარდაუვალობაში.

... გლობალიზაცია სპობს ასეთ კულტურებს, რომლებიც ბოროტების წყაროს წარმოადგენენ, ის ანადგურებს განვითარების შემაფერხებელ ნაციონალურ-რელიგიურ ფანატიზმს მთელ მსოფლიოში.

მოდით, დავფიქრდეთ და წარმოვაჩინოთ ჩვენი იდეები გლობალიზაციის სასარგებლოდ.“

ეს ამონარიდებია რაფიკ თაღის ბოლო წერილიდან „ირანი და გლობალიზაციის გარდაუვალობა“. აზერბაიჯანელ მწე-

რალსა და პუბლიცისტს, რაფიკ თაღის 19 ნოემბერს, გვიან ღამით საკუთარ სახლთან ახლოს, ავტობუსის გაჩერებაზე უცნობი პირები დაუსხნენ თავს და დანით 7 ჭრილობა მიაყენეს. როგორც თავად მწერალი, გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე, რადიო „თავისუფლების“ აზერბაიჯანული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რამდენიმე ჭრილობა ნიკოლა ბერდიავეის წიგნმა აარიდა, რომელიც თან ჰქონდა და რითაც თავდასხმელებს იგერიებდა.

თაღი 23 ნოემბერს, ბაქოს პირველ კლინიკურ სააგადმყოფოში გარდაიცვა-

■ დღეს ბევრს განიხილავენ, ვინ გამოიყენა სათავისოდ თაღის მიმართ დამოკიდებულება

– ისლამისტებმა თუ

ხელისუფლებამ. პარალელებს

ავლებენ ასევე მის

მკვლელობასა და ანა

პოლიტკოვსკაიას სიკვდილს

შორისაც. ფაქტია, რომ

მწერლის წერილები და

აქტიურობა ორივე მხარეს

აღიზიანებდა და ორივე მხარემ

დიდი თავის ტკივილი მოიშორა.

ლა. ახლობლები საეჭვოდ მიიჩნევენ მის სიკვდილს, რადგან ის უკეთ გრძნობდა თავს და ექიმები მის მდგომარეობას დამაკაყოფილებლად აფასებდნენ. თუმცა, როგორც აზერბაიჯანის ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ: მწერლის გარდაცვალება „პერიტონიტის მწვავე ფორმამ და ინტოქსიკაციამ გამოიწვია“. აზერბაიჯანში ეს პირველი შემთხვევა არ არის უურნალისტებზე, ბლოგერებზე, მწერლებზე თავდასხმისა თუ დაპატიმრების. დღემდე პატიმრობაში იმყოფება 20 წლის ბლოგერი, ჯაბარ საგალანი. იგი სოციალურ ქსელში თავის მეგობრებს ანტისამთავრობო აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა. საგალანის სასამართლომ „ნარკოტიკების შენახვის“ ბრალდებით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. „amnesty internationali“-მა სავალანი და მისი 17 თანამიაზრე სინდისის პატიმრებად აღიარა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის და დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის მოწოდების მიუხედავად, ეს ახალგაზრდები ისევ საპყრობილები რჩებიან.

რაფიკ თაღიც 2006 წელს დააპატიმრეს წერილისთვის „ევროპა და ჩვენ“. დაპატიმრებას წინ უძლოდა მწერალთა კავშირიდან გარიცხვა და ისლამისტების აქცია, რომლის დროსაც ასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და მოითხოვდა მწერლის სიკვდილით დასჯას. სასამარ-

თლომ „რელიგიური შუღლის გაღვიყების“ ბრალდებით თალის 3 წლით პატი-მრობა შეუფარდა, ხოლო იმ გაზეთის რედაქტორს, სადაც სტატია დაიბეჭდა, 4 წლით თავისუფლების აღვეთა მიუ-საჯეს. 8 თვის შემდეგ, საერთაშორისო ზენოლის შედეგად, პრეზიდენტმა ილპამ ალიევმა მწერალი შეიწყალა. თუმცა, ირანში აიათოლა მუჰამად ფაზილმა წინასწარმეტყველ მუჰამადის შეურაცხყოფის გამო თაღიზე ფარვა გამოაცხადა, რამაც რადიკალურად განწყობილი ისლამისტები, ფაქტობრივად, წააქეშა მწერლის განადგურებისკენ.

რაფიკ თალის გარდაცვალებას ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო, აზერბაიჯანის მთავრობისა და მწერალთა კავშირისაგან განსხვავებით, დროულად გამოხმაურა და გააკეთა განცხადება, რომ მწერლის მკვლელობა სიონისტების მიერ მოწყობილი პროვოკაციაა, რომელიც აზერბაიჯანისა და ირანის მეგობრული ურთიერთობის ხელის შეშლას ითავლის წინებდა.

წერილში „ევროპა და ჩივენ“ ავტორი მწვავედ განიხილავდა ისლამის უარყოფით როლსა და გავლენას აზერბაიჯანის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში. იგი მიიჩნევდა, რომ ქვეყანას მხოლოდ დემოკრატიული განვითარება და ევროპასთან საახლოვე მოუტანდა წარმატებას. თაღი აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რომელიც მისი თქმით, მხოლოდ ქონების მითვისებით იყო დაკავებული. ასევე ადანაშაულებდა დასავლეთი იმპერია თამაში და სთხოვდა მეტ აქტიურობას აზერბაიჯანში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

მაშინ, როცა ქვეყანაში იზტუდება პრესის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, როცა სინდისის პატიმრებითაა სავსე ციხეები და კორუფცია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა ასული, დასავლური ქვეყნების მთავრობები მაინც განაგრძობენ ალიევის მთავრობასთან თანამშრომლობას და თვალს ხეჭავენ უამრავ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რომელიც, წესით, არ უნდა დარჩეს მათი კრიტიკის მიღმა.

დასავლეთის მხრიდან აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების

საუკეთესო მაგალითია ის, რომ საფრანგეთის მთავრობა აღშფოთებას გამოხატავს ბლოგერების დაპატიმრებასთან და რაფიკ თალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პარალელურად კი საფრანგეთის პრეზიდენტი აზერბაიჯანის პირველ ლედის, მეჰრიბან ალიევას, საპატიო ლეგიონერის ორდენით აჯილდოებს.

მეტრიბან ალიევა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს – მილი მეჯლისის დეპუტატიცაა, ალიევების მმართველობაში ყველაზე გავლენიან პირადი ითვლება. მისი ახლო ნათესავებით არის დაკომისლექტებული მინისტრთა კაბინეტი, ისინა აკონტროლებენ და ფლობენ აზერბაიჯანში ყველა მსხვილ ბიზნესს. აღსანიშნავია, რომ ალიევას დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიები ბიზნესს საქართველოშიც ანარმობენ. პირველი ლედი გაეროს, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნების ერჩად არის აღიარებული. ის ხელმძღვანელობს ჰეიდარ ალიევის და აზერბაიჯანული კულტურის მეგობართა ფონდებს. პირველ ლედის ბიზნად მოიხსენიებენ ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად, თუმცა მეუღლეს, აზერბაიჯანის ამჟამინდელ ლიდერს, ილპამ ალიევს კონსტიტუციური ცვლილებების მიხედვით, სიცოცხლის ბოლომდე აქვს მინიჭებული არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

რაფიკ თალის მკვლელობასთან დაკავშირებით, საეჭვოდ დაემთხევა ხელისუფლებისა და ისლამისტთა ინტერესები. დღეს ბევრს განიხილავენ, ვინ გამოიყენა სათავისოდ თაღის მიმართ დამოკიდებულება – ისლამისტებმა თუ ხელისუფლებამ. პარალელებს ავლებენ ასევე მის მკვლელობასა და ანა პოლიტკონკურენსას სიკვდილს შორისაც. ფაქტია, რომ მწერლის წერილები და აქტიურობა მხარეს აღიზიანებდა და ორივე მხარემ დიდი თავის ტკივილი მოშორა.

ჯერ უცნობია, რა კვალიფიკაციას მიანიჭებს აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურა მწერლისა და პუბლიკისტის რაფიკ თაღის მკვლელობას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. **ც.**



გამოიცარათ ურნალი „ლიბერალი“



მიიღოთ თქვენი ურნალი ყოველ ხუთახათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ურნალის გამოწერის მსურველებმა
დარეკაეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი
08:00-14:00 ს.თ.

Ապօպան Առաքել Խոչված

ვენეციის კომისიის წინასწარი შეფასებით, საარჩევნო კოდექსის პროექტი საარჩევნო გარემოს მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის.

მაია წიკლაური

1 დეკემბერს ვენეციის კომისაზად საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტთან დაკავშირებით შუალედური რეკომენდაციები გამოაქვეყნა. დასკვნა ორაზროვანია: ერთი მხრივ, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ „საარჩევნო კოდექსის პროექტი ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ბევრი დადებითი თვისება აქვს“, მეორე მხრივ კი, „პროექტის მთელი რიგი დებულებები შემფორთებას იწყებს ან კითხვების ნარმოშობას“.

ვენეციის კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას საარჩევნო სისტემასა და საარჩევნო ოლქების დაყოფაში არსებულ პროპლემებზე ამასვილებს. ქართული საარჩევნო სისტემა შერეულია, რაც პარტიების პროპორციული წესით არჩევასთან ერთად, მაურორიტარული სისტემით არჩევასაც ითვალისწინებს.

„ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საქართველოში, თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქების უზრუნველყოფა, რითაც შერეული სისტემა ხმის მიცემის თანასწორუფლებისანობას განაპირობებდა“, – ნერია ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

ამ პრობლემაზე ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას ადრეც მიუთითობდა. ოლქების დაყოფისა და მაჟორიტარული სისტემის ხარვეზებს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებიც უსვამდნენ ხაზს. 2008 წელს ამერიკის ელჩის, ჯონ ტევტის მიერ თეთრ სახლში გაგზნილ დიპლომატიურ გზავნილში ვერიტეულობთ: „უპირველეს ყოვლისა, სისტემა ამცირებს ქალაქების ხმების ზეგავლენას (სადაც ოპოზიცია უფროძლიერია), რადგან ადგილები პარლამენტში ილქების მეშვეობით ნაწილდება და არა [ამ ოლქებში მცხოვრები] მოსახლეობის ადენობის მიხედვით“.

მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობა ოლქებს
შორის მაინც რჩება. სწორედ ამაზე მიუ-
თითებს გრძელის კომისია.

„ვიკილიქსის“ მიერ 2011 წლის სე-ქტემბერში გაგრცელებული ტეგზე გზავნილიდან ირკვევა, რომ ასეთი სისტემის არსებობა საქართველოს ხელი-სუფლების ინტერესში შედიოდა. ჯონ ტეფტი „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალები მმართველი პარტიის ყოფილ დეპუტატთან, ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან საუბარს აღნერს. ეს ის პერიოდია, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებით, მაჟორიტართა რიცხვი 50-დან 75-მდე გაიზარდა, რასაც ოპოზიციის საპროტესტო აქციები მოჰყვა.

„როცა ჩვენ ვუთხარით [ბოკერიას], რომ ეს წინადადება [საპარლამენტო მანდატების თანაბრად გაყიფვაზე 75 მა- ჟორნიტარს და 75 პროპორციული წესთ არჩეულ დეპუტატს შორის] დიდი აღ- ბათობით პარლამენტში ერთი პარტიის დომინანტობას განაპირობებდა, რაც მთლიანობაში არ იქნებოდა ქართული დემოკრატიის ხელშემწყობი, ბოკერიამ ამის საპასუხოდ თქვა, რომ თუ ოპოზი- ცია მოიპოვებდა პარლამენტში საქამა- რის ადგილებს იმისთვის, რომ მმართვე- ლი პარტიის წინადადებები დაებლოკა, ეს რეფორმებს შეჩერებდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეალუ- რი ოპოზიცია, მისი [ბოკერიას] თქმით, მმართველი პარტიის დამლის შედეგად უფრო შეიძლება გაჩინდეს, ვიდრე არსე-

■ „ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საქართველოში თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქების უზრუნველყოფა, რითაც შერეული სისტემა ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობას განაპირობებდა“, – წერია ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.



ბული ოპოზიციური პარტიებიდან წარმოშვას“, – ნათქვამია ტეფტის ტელეგრამაში.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ვენეციის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საარჩევნო კოდექსში ოლქების დაყოფის წესი დადგენილი არ არის და ოლქების საზღვრებს ცენტრალური საარჩევნო კომისია განსაზღვრავს. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ საარჩევნო კოდექსში ოლქების დაყოფის წესიც უნდა განისაზღვროს.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში საუბარია დავების გადაწყვეტის მოუგვარებელ საკითხზე. ასევე კომისია პარლამენტს ურჩევს, მხოლოდ იმ პატიმრებს აეკრძალოთ ხმის მიცემის უფლება, რომლებიც მძიმე სისხლის სამართლებრივი დანაშაულისთვის არიან გასამართლებული. კომისია მხარს უჭერს ერთმანდატიან ოლქებში დამოუკიდებელი კანდიდატების კრიტიკულას. არსებული კანონმდებლობით ერთმანდატიან ოლქში კუნფისყრა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის და საარჩევნო ბლოკის ნარმომადგენლებს შეუძლიათ.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ვენეციის კომისიის აზრით არ გამოსწორდა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ეხება. 2010 წლის არჩევნებში ყველაზე დიდი პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ ოპოზიციასა და საერთაშორისო დამკვირვებლებს სწორედ ამ ნაწილში ჰქონდათ. 2011 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნებულ ვენეციის კომისიის დასკვნაში წერია: „ეს დებულება თანასწორი შესაძლებლობის პრინციპს იცავს, თუმცა, პრაქტიკულად ამგვარი თანასწორობა სწრაფად შეიძლება შეიღიახოს, რადგანაც სახელისუფლებო პოლიტიკურ პარტიებს უფრო ადვილად მიუწვდობათ ხელი ამგვარ რესურსებზე“.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ნაწილში საარჩევნო კოდექსში არათუ გამოსწორდა სიტუაცია, არამედ პირიქით, გაუარესდა. იმ თანამდებობის პირებს, ვისაც შეუძლიათ

କବିତା

პარტიის წინასაარჩევნო სააგიტაციო პროცესში ჩაერთონ, გუბერნატორებიც დაიმატნენ.

ვენეციის კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია საარჩევნო კოდექსის იმ პუნქტს ეხება, რომელიც უცხოელ მოქალაქეებს საარჩევნო კამპანიაში აგიტაციას უკრძალავს. ეს პუნქტი ახალი არ არის და არსებულ საარჩევნო კოდექსშიც დგენ. ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას უცხოელი მოქალაქეებისთვის ამ შეზღუდვის გაუქმებისკენ ადრეც მოუწოდებდა და ახლაც ურჩების.

“თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ აძვით ხმის მიკუმის უფლება, მათ იმის

■ აღმინისტრაციული რესურსების გამოყენების ნაწილში

საარჩევნო კოდექსში არათუ გამოსწორდა სიტუაცია, არამედ

პირიქით, გაუარესდა. იმ თანამდებობის პირებს, ვისაც შეუძლიათ პარტიის წინასაარჩევნო სააგიტაციო პროცესში ჩაერთონ, გუბერნატორუბიკ დაწმატნენ.

უფლება ნამდვილად აქვთ, რომ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი, შეუერთდნენ და მონაწილეობა მიღლონ პოლიტიკურ დებატებში საარჩევნო კამპანიების დროს. ამგვარი დებულება საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონებირების ფუნდამენტურ უფლებებს ზღვდავს და ადამიანის ძირითად უფლებებს ენინააღმდეგება“, - ვკითხულობთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია მას შემდეგ, რაც პო-
ლიტიკაში საქართველოს მოქალაქეობის
გარეშე დარჩენილი ბიძინა ივანიშვილი
მოვიდა. მოქალაქეობის დაკარგვის შემ-
დეგ ივანიშვილი ვერ შეძლებს პოლიტი-
კური პარტიის შექმნას, ვერ იყრის კენჭს
პარლამენტში და ვერც პრეზიდენტის
თანამდებობაზე, მის კანდიდატურას
ვერ წარადგენენ პრემიერ-მინისტრის
პოსტზე.

თუკი ხელისუფლების კიდევ ერთი

საკანონმდებლო ინიციატივა დამტკიცდა, პიძინა ივანიშვილი ვერც პილიტიკური პარტიების დაფინანსებას შეძლებს.

არადა, ივანიშვილი უკვე ემზადება
მომავალი არჩევნებისთვის, რომელშიც
ის, სავარაუდოდ, „რესპუბლიკულებთან“
და „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერ-
თად ჩართვას გეგმავს. ორი პოლიტიკუ-
რი პარტია და ივანიშვილის გუნდი უკვე
შეთანხმდნენ სხვადასხვა მიმართულე-
ბით, მათ შორის, პოლიტიკას, უსაფრ-
თხოებისა და სოფლის მეურნეობის კუ-
თხით მუშაობაზე.

ინიციატივა იუსტიციის სამინისტროს
ეკუთვნის და პოლიტიკური გაერთია-
ნიბების შესახებ კანონში (პოლიტიკურს

შესაბამის დასკვნას ვენეციის კომისია
გააკეთებს.

ვენეციის კომისიაში ფიქრობენ, რომ კვლავ პრობლემურია ამომრჩეველთა სიების საკითხი. ახალი საარჩევნო კოდექსით ცენტრალური საარჩევნო კომისია აღარ არის ვალდებული ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არჩევნების დღემდე გამოაქვეყნოს. ვენეციის კომისიაში ფიქრობენ, რომ სიების გამოქვეყნება არჩევნებამდე მნიშვნელოვანი საკითხია. ვენეციის კომისიამ მოიწონა სპეციალური კომისია, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩეველთა სიებს გადაამოწმებს. თუმცა აღინიშნა, რომ ამ კომისიის ეფექტურობა საქმეში გამოჩნდება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთივე კომისიამ 2010 წლის არჩევნების დროსაც იმუშავა და მაშინ ოპოზიციურმა პარტიებმა სიების გადასამოწმებლად 12 მილიონი ლარი დახარჯეს, თუმცა უშედეგოდ. ის ხარვეზები, რაც ოპოზიციამ სიების გადამოწმებისას აღმოაჩინა, „ცესკომ“ არ გაითვალისწინა.

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სახელისუფლებო გუნდს წარმატებაში, უამრავ სხვა ფაქტორთან ერთად, დაუზუსტებელი სიები, დაუბალანსებელი მედიაგარემო, უკონტროლო ადმინისტრაციული რესურსები და ფინანსური ფაქტორიც დაეხმარა. ამ არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წინასა-არჩევნო კამპანიაზე 16 მილიონი ლარი დახარჯა, საიდანაც 14 მილიონი ლარი 400-მდე იურიდიული კომპანიისა და ფიზიკური პირებისგან მიიღო.

ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა დეკაბრის შუა რიცხვებში უნდა გამოქვეყნდეს. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში კი დოკუმენტის დამტკიცებას წლის ბოლომდე გეგმავენ. უმრავლესობაში ვენეციის კომისიის დასკვნაზე მისი საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებამდე დეტალურ კომენტარს არ აყეთებენ. თუმცა, აცხადებენ, რომ დასკვნა „დადებითია“ და მიღებული რეკომენდაციების ნაწილს გაითვალისწინებენ. **ც**



სუბურალი ჩინუაცხადი

საქართველოს სამხედრო ძალების განვითარების სამსახური

საქართველოდან ექსპორტის ზრდის ტემპი თითქმის სამჯერ ჩამოუვარდება ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქტის ოდენობას. ამის გამო ჩვენ ქვეყანაში მუდმივი სავაჭრო დეფიციტია. 2011 წლის მონაცემებით, დეფიციტმა, ანუ ქვეყნის უარყოფითმა სავაჭრო სალდომ, თითქმის ოთხი მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

თათია ხალიანი

2011 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვა 7 მილიარდ 322 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გასული წლის მაჩვენებელს 8,8 %-ით აღემატება.

ცალკეული მიზანი

ბოლო წლების მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ ექსპორტი-იმპორტის მოცულობა ქვეყანაში მცირდება. კერძოდ, ამავე პერიოდში იმპორტის მოცულობა 5 მილიარდ 583

მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო ქვეყნიდან გასული პროდუქტის მოცულობა 1 მილიარდ 738 მილიონი აშშ დოლარი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოლო ათ თვეში საქართველოში იმაზე სამჯერ

მეტი პროდუქცია შემოვიდა, ვიდრე – გავიდა. ამ მონაცემებით, ექსპორტი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 76%-ს შეადგინს. სწორედ ამიტომ, სავაჭრო სალდო წელსაც უარყოფითა, მეტიც – დინამიკაზე დაკვირვებით ეს მონაცემი ყოველწლიურად იზრდება. ეს ზრდა, ძირითადად, იმპორტის მატებითაა განპირობებული.

ფაქტია, რომ ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ძალიან ცოტაა. მართალია, მიმდინარე წელს ექსპორტის მოცულობა უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ უფრო ინტენსიურად იზრდება იმპორტიც. ანუ, ამ ორ მონაცემს – ექსპორტსა და იმპორტს – შერჩის სხვაობა მუდმივად მზარდია იმპორტის სასარგებლოდ, ამიტომ სავაჭრო დეფიციტი კი არ მცირდება, არამედ იზრდება. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის, ნინო ევგენიძის თქმით, ქვეყანაში სავაჭრო ბალანსის დარღვევას უმთავრესად იმპორტის და იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების ზრდა იწვევს.

„საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა და მისთვის საჭირო ნავთობისა და ბუნებრივი აიროს წმინდა იმპორტიორია. ნავთობპროდუქტებზე კი ფასებმა 2011 წელს მკვეთრად მოიმატა და შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტიც უფრო მაღალია. თუ სავაჭრო ბალანსი მომავალ წლებშიც უარყოფითი იქნება, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდება, ამ სავაჭრო დეფიციტის დასაფარად უცხოური ვალდებულებები გაზარდოს, ამ ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო გახდება საბიუჯეტო რესურსების მიმართვა. შესაბამისად, სახელმწიფო ამ ვალდებულებების გასასტუმრებლად ან საგადასახადო წესებს გაზრდის, ან – საბიუჯეტო ხარჯებს, მათ შორის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ დანახარჯებსაც შეამცირებს. ორივე ეს გზა, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეუშლის ხელს“.

ლიგენალური სავაჭრო რეზიტი – არის თუ არა ეს გამოსავალი?

საგარეო ვაჭრობაზე გადამწყვეტ გავლენას ქვეყანაში არსებული სა-

ვაჭრო რეზიმი ახდენს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას“.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საიმპორტო ტარიფები შემცირებულია 16%-იდან 3%-მდე, პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე კი, ტარიფები საერთოდ გაუქმდებულია. რაც შეეხება ექსპორტს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი და რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, გარდა ამისა, ექსპორტი არ იძეგრება დღგ-თი.

ასეთი ლიბერალური დაბეგვრის რეზიმშიც კი, არ იცვლება ეკონომიკური სურათი. ამის მიზეზად ექსპერტები რამდენიმე გარემოებას ასახელებენ.

პირველი: ლიბერალურმა საგადასახადო რეზიმმა ქვეყანა მიმზიდველი გახადა იმპორტიორებისათვის. ანუ, ჩვენთან მრავალნაირი დასახელების პროდუქტი შემოდის და ეს პროცესი მზარდია.

მეორე: ლიბერალური საგადასახადო რეზიმი მართალია, ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ექსპორტს, მაგრამ არსებობს ხელის შემშლელი უფრო ძლიერი მიზეზები, რის გამოც ექსპორტის გაზრდა რთულია. მაგალითად, რადგან ქვეყანაში არ არსებობს სურსათის უვნებლობაზე ეფექტური კონტროლის მექანიზმი, ჩვენ საკვები პროდუქტები მხოლოდ დსთ-ის ქვეყნებში გაგვაქვს. გარდა ამისა, ექსპერტების თქმით, საქართველოში წარმოება იმდენად მნირია, რომ ჩვენ სხვა ქვეყნებში „გასატანი“ თითქმის არაფერი გვაქვს. ანუ, მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო რეზიმით ექსპორტი არ იზრდება.

ადგილობრივი ნარმავა

„მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არის ექსპორტის ოდენობა მაღალი, დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. ჩვენთან რეალური სექტორის წილი ეკონომიკაში საქმიან დაბალია, ბოლო წლებში ის საგრძნობლად შემცირდა. რეალურ სექტორში შედის მრეწველობა თავისი მოპოვებით, დამუშავებით, ელექტროენერგეტიკით, ასევე სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მშენებლობა. საქართველოს რეალური სექტორი მოცულობით დიდი არ არის, მაგრამ აღრიცხვის ლოგიკით, წელიწადში დაახლოებით 20-25 მილიონია. ეს კი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 27%-ია, დანარჩენი 73% კი მომსახურეობაზე მოდის“, – აღნიშნავს ექსპერტი სოსო არჩვაძე.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირობო მოთხოვნაა. ქვეყნის რეალური, ანუ მწარმოებელი სექტორი სამუშაო ადგილებისა და დამატებითი დოვლათის შექმნის თვალსაზრისით ბევრად უფრო სტაბილურია, ვიდრე ნებისმიერი მომსახურების სფერო.

საქართველოში კი, ჯერჯერობით იმდენად მწირი სახეობისა და რაოდენობის პროდუქტი ინარმოება, რომ ადგილობრივ ბაზარსაც კი ვერ უზრუნველყოფს. ამის შედეგი კი ისაა, რომ ექსპორტის მაჩვენებელი ვერ იზრდება, და მეორეც – ვერ იკლებს უმუშევრობის მაჩვენებელიც. ეს ქვეყანაში არსებული არანაკლებ მწვავე პრობლემაა.

ქვეყნიდან გასული საექსპორტო პროდუქციის პირველ სამუშალში შედის – ავტომობილების რეექსპორტი, შემდეგ კი ფერომენადნობებისა და ჯართის ექსპორტი. აღსანიშნავა, რომ ავტომობილების რეექსპორტმა წელს პირველად დაიკავა პირველი ადგილი, 2007 წლიდან მოყოლებული ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალში პირველი ადგილი ფერომენადნობებს ეკავათ,

რე-ექსპორტის დროს ის, რაც შემოდის ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ავტომობილები, გადის კიდევ ქვეყნიდან, რადგან როგორც ცნობილია, საქართველო ავტომობილებს არ აწარმოებს.

ავტომობილების რე-ექსპორტის შემდეგ მეორე ადგილი ფერომენადნობების ექსპორტს უჭირავს. მესამე ადგილზე კი შავი ლითონების, ანუ ე.წ „ჯართის“ ექსპორტია, რაც საერთო ექსპორტის 8 % შეადგენს. ათეულში შედის, აგრეთვე, აღკორპორული სასმელები და მინერალური წყლები.

პირდაპირი უცხოური

ინვესტიციები

17 ნოემბერს გაზეთ „ეკონომისტის“ სამიტზე გამართულ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აქტიურად მოუწოდებდა უცხოელინვესტიციებს საქართველოში და ებანდებინათ კაპიტალი. მისი თქმით, მიუხედავად ევროპაში არსებული კრიზისისა, საქართველოს ეკონომიკა იზრდება, გარდა ამისა, ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ინვესტიციებისთვის.

პრემიერ-მინისტრის ეს ბოლო-დროინდელი განცხადება მიუთითებს იმაზე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავრობისთვის კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება და ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უცხოური ინვესტიციებზე. თუმცა რამდენად შეიძლება უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტაბილური წყარო იყოს?

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიმოხილვის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის არასტაბილური წყაროა, რადგან ბევრ ქვეყანაში ინვესტიციების კლებამ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები გამოიწვია. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში კიდევ უფრო გამწვავდა. გარდა ამისა, თავისუფალი კაპიტა-

ლის ხელმისაწვდომობამ იკლო იმის გამო, რომ განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნებს დადი ვალები წარმოექმნათ.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის პირველ ნახევარში საქართველოში 377.1 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ ძირითად სექტორებში: სამთო-მოპოვებითი მრეწველობა (32.3%), საფინანსო სფერო (19.6%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (15.3%); უძრავი ქონება (14.8%) და მშენებლობა (7.1%).

ნების შესახებ“ სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მიიღო, სადაც ინვესტორებს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს, ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს და გადასახადებისგან გათავისუფლებას სთავაზობდა. ამჟამად ქვეყანაში სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არსებობს – ფოთში, ქუთაისსა და თბილისში. თუმცა ჯერჯერობით ისინი ინვესტიციების მოზიდვის და მრეწველობაში საწარმოების შექმნის პროცესში არიან. საგარეო ვაჭრობის საკითხების ექსპერტის, გიორგი ლალანიძის თქმით,

■ „ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, ეს შეგვიქმნის პირობას, რომ ინვესტორი აქ, ამ შეთანხმების პირობებში მოვიდეს, დაიწყოს წარმოება და ახალი საექსპორტო პროდუქტის შექმნა.

ქვეყანას თითქმის არა აქვს საექსპორტო პროდუქცია, რომელსაც გაიტანს და გაყიდის უცხოეთის ბაზრებზე. შესაბამისად, სანამ არ გაიზრდება წარმოება, მანამდე ქვეყნის სავაჭრო სალდო მუდმივად უარყოფითი იქნება“.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებს თუ ხანგრძლივ დინამიკაში განვიხილავთ, ადვილი შესაბამებელი ტენდენცია, რომ მოცულობა წლის მეორე ნახევარში აჭარბებს პირველი ნახევრის სიდიდეს. შესაბამისად, წლის საქართველოში ველოდებით 1 მილიარდამდე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, რაც საკმაოდ კარგი მარტინებელი იქნება მსოფლიოს და, განსაკუთრებით, ეკონომიკური ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით“, – აღნიშნა ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა „ლიბერალთან“ საუბრისას.

საქართველოს მთავრობამ კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზო-

ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა პირდაპირ არის დაკავშირებული უცხოურ ინვესტიციებთან, ამიტომ „ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, ეს შეგვიქმნის პირობას, რომ ინვესტორი აქ, ამ შეთანხმების პირობებში მოვიდეს, დაიწყოს წარმოება და ახალი საექსპორტო პროდუქტის შექმნა“.

მისივე თქმით, ქვეყანას თითქმის არა აქვს საექსპორტო პროდუქცია, რომელსაც გაიტანს და გაყიდის უცხოეთის ბაზრებზე. შესაბამისად, სანამ არ გაიზრდება წარმოება, მანამდე ქვეყნის სავაჭრო სალდო მუდმივად უარყოფითი იქნება. ■

რა მოხევა "მაცხოველი"?

სტუდია „მაცხოველი“ სასამართლო დავისა და მორიგი ინვესტიციების მოლოდინშია.

მალხაზ ჭყაფუა



სამართლდამცველები, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად,
„მაცხოველის“ უურნალისტებს შენობაში არ უშვებდნენ

„მე ვეკითხები „მაცხოველის“ უურნალისტებს და თუნდაც მის ადმინისტრაციასა თუ დამფუძნებლებს: როდესაც ტელევიზიას მართავს ფსევდოპოზიციონერი ეროსი კინმარიშვილის კომპანია, ადამიანის, რომელმაც სხვას რომ თავი დავანებოთ, მისივე აღიარებით, 2008 წელს დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად დაასამარა ხალხის რეალური არჩევანი, შეიძლება თუ არა, ვიღაცას ჰქონდეს ილუზია, რომ ასეთი ტიპის ადამიანი გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი?“

ასეთი შეკითხვა დაუსვა პოლიტიკაში ახლად მოსულმა ბიძინა ივანიშვილმა თავის მეორე წერილობით მიმართვაში ტელეკომპანია „მაცხოველის“ უურნალისტებს. ტელეკომპანიის ირგვლივ 12 ოქტომბერს დაწყებული ეს პროცესი დღეს უკვე ღია დაპირისპირებით გრძელდება.

ივანიშვილი ამავე წერილში „მაცხოველის“ სთავაზობდა: „მზად ვარ, თქვენ წინაშე ავიდო ყველა ის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირი, კაცმა არ იცის, საიდან

მოტანილი დაფინანსებით, ასრულებს (ან არ ასრულებს); გავაფორმო სარედაქციო დამოუკიდებლობის საგარანტიო ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უურნალისტის თავისუფლება, თუნდაც კრიტიკული დამოკიდებულება ჩემს პირად მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

ივანიშვილს იმავე დღეს გამოხემაურა „მაცხოველის“ მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი ეროსი კინმარიშვილი: „მე დღესვე მზად ვარ, ბიძინა ივანიშვილს 1 ლარად გადავცე ტელეკომპანია

„მაესტროს“ მართვის კომპანია. ჩემი მხრიდან მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ ივანიშვილი „მაესტროს“ მენეჯმენტს ინვესტიციებზე შეუთანხმდეს. თუ რას მოიცავს ეს საკითხი, მან, როგორც გამოცდილმა ბიზნესმენმა, უკეთესად იცის. თუ ივანიშვილის მხრიდან ამ შეთავაზებაზე იქნება მზადყოფნა, ჩემი ან ადვოკატების მეშვეობით, მზად ვართ, დავიწყოთ ბიზნეს-ტექნიკური საკითხები“, – განაცხადა 12 ოქტომბერს ეროსი კინმარიშვილმა.

ამ შეთავაზებაზე ივანიშვილს პასუხი საჯაროდ არ გაუცია. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ქართველმა მილიარდერმა კინმარიშვილის შეთავაზება უყურადღებოდ დატოვა. თუმცა, გასულ კვირაში განვითარებული დაპირისპირებისა და ურთიერთბრალ-დებების ფონზე, გაჩნდა ვერსია, რომ კინმარიშვილისა და ივანიშვილის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

მოლაპარაკები კინმარიშვილსა და ივანიშვილს შორის

წყაროები, რომლებმაც ეს ვერსია გაავრცელეს, საუბრობდნენ კონკრეტულ თანხაზე – 12 მილიონ ლიარზე. თუმცა უცნობია, ალნიშნული თანხით რა ტიპის გარიგება შეიძლებოდა დადებულიყო. დიდი ალბათობით, ეს ყიდვა-გაყიდვის გარიგება არ იქნებოდა, რადგან კინმარიშვილს არათუ სტუდია „მაესტროს“, არამედ საკუთარი მართვის კომპანიის უპირობოდ გაყიდვის უფლებაც კი არ ჰქონდა.

შპს-ებს „სტუდია მაესტროსა“ და „რესტავრის მედიის მართვის კომპანიას“ შორის 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, (ხელშეკრულების მე-5 თავი) არათუ მთელი, არამედ 51%-იანი წილის გაყიდვის უფლება არცერთ მხარეს არ ჰქონდა. თუ რომელიმე მხარე 51%-ს, ან მეტს გაყიდდა, უნდა დაეკმაყოფილებინა ორი პირობა:

ა) საკუთრება არ უნდა გაეყიდა 10 მილიონ დოლარზე ზარღვებად; ბ) თუ „მაესტრო“ გაყიდდა საკუთრებას, მმართველი კომპანიისათვის უნდა გა-

დაეხადა გასხვისების შედეგად მიღებული თანხის 25 %-ი და პირიქით – თუ „რესტავრის მედიის მართვის კომპანია“ გაყიდდა საკუთრებას, „მაესტროსთვის“ უნდა გადაეხადა ამდენივე.

საგულისხმოა, რომ ივანიშვილისადმი მიმართვაში კინმარიშვილს სიტყვა

■ ეროსი კინმარიშვილი

დარწმუნებულია, რომ

ამ მოლაპარაკებებზე

მიღების გადაწყვეტილება

„მაესტროსგან“ მისი

ჩამოშორების შესახებ.

სწორედ ამის შედეგია წილების

ის „გადათამაშება“, რაც

შპს „სტუდია მაესტროს“

დამფუძნებლებს შორის

შედგა, მიაჩნია კინმარიშვილს.

საგულისხმოა, რომ

ამ „გადათამაშებას“

კინმარიშვილი „მის ზურგს

უკან გაფორმებულ

„თვალთმაქცურ შეთანხმებას“

უწოდებს.

„მიყიდვა“ არც კი გამოუყენებია, მან თქვა: „მზად ვარ გადავცე 1 ლარად“.

რა ტიპის მოლაპარაკება მიმდინარეობდა კინმარიშვილსა და ივანიშვილის წარმომადგენლებს შორის? ან საკუთოდ მიმდინარეობდა თუ არა რამიტ მოლაპარაკება? ამ შეკითხვაზე, ჯერჯერობით, დადასტურებულ პასუხი არ არსებობს.

მოლაპარაკები ლიონშისა და ივანიშვილს შორის

დღესდღეობით, თავად კინმარიშვილი ადანაშაულებს „მაესტროს“ და-მფუძნებლებს ივანიშვილთან ფარული

ვაჭრობის მცდელობაში. ის „ლიბერალთან“ საუბარში ორ თარიღს ასახელებს: 11 ნოემბერს და 13 ნოემბერს. კინმარიშვილის თქმით, პირველი შეხვედრა ივანიშვილის წარმომადგენლებსა და „მაესტროს“ დამფუძნებლებს შორის ევროპის „ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქში“ შედგა. მეორედ, 13 ნოემბერს, მამუკა ლილონტი უკვე უშუალოდ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა თბილისში.

ეროსი კინმარიშვილი დარწმუნებულია, რომ ამ მოლაპარაკებებზე მიღეს გადაწყვეტილება „მაესტროსგან“ მისი ჩამოშორების შესახებ. სწორედ ამის შედეგია წილების ის „გადათამაშება“, რაც შპს „სტუდია მაესტროს“ დამფუძნებლებს შორის შედგა, მიაჩნია კინმარიშვილს. საგულისხმოა, რომ ამ „გადათამაშებას“ კინმარიშვილი „მის ზურგს უკან გაფორმებულ „თვალთმაქცურ შეთანხმებას“ უწოდებს.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, აღვადგინეთ შპს „სტუდია მაესტროს“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მომხდარი ბოლო ცვლილებები. როგორც ირკვევა, 26 ნოემბერს, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გია გაჩერილაძემ, რომელიც შპს-ს 25%-ს ფლობდა დანარჩენ 4 დამფუძნებელთან „საკუთრების მინდობისა (წილის მართვისა) და შპს-ს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება“ გააფორმა.

ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა (გაჩერილაძემ) მყიდველებს (შპს „სტუდია მაესტროს“ 4 დამფუძნებელთან „საკუთრების მინდობისა და შპს-ს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება“ გააფორმა.

გაჩერილაძემის 25% ჯერჯერობით კვლავ მისია, დღევანდელი მდგომარეობით, გია გაჩერილაძე საკუთარ 25%-ს შეზღუდული საკუთრების უფლებით ფლობს. ხელშეკრულების თანახმად, 2012 წლის 10 დეკემბრამდე მისი წილი „მინდობილი“ აქვს დანარჩენ თხო მესაკუთრეს. კიდევ ერთი პირობის თანახმად, „არაუგვინეს 2012 წლის 10 დეკემბრისა“, გაჩერილაძემ „მინდობილი“ წილი „შესაბამისი ანაზღაურების“, ანუ 400 ლარის სანაცვლოდ საკუთრე-

ბაში უნდა გადასცეს დანარჩენ მეწილეებს. ალსანიშნავია, რომ კინმარიშვილის კომპანიასთან 2009 წელს დადებულ ხელშეკრულებას ვადა 2012 წლის 30 ნოემბერს ეწურებოდა.

29 ნოემბერს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ცვლილების ასახვის თხოვნით საჯარო რეესტრს „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ლევან ჩიკვაძემ მიმართა. 30 ნოემბრის გამთენისას 7 სთ-სა და 30 წუთზე კი, ეროსი კინმარიშვილი ტელეკომპანიის ოფისში ღობიდან გადაძვრა.

„ჩემს ზურგს უკან ახორციელებდნენ თვალთმაქცურ გარიგებას. ამის მიზანი იყო ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეწყვიტათ ჩემთან ხელშეკრულება და კიდევ ის, რომ ჩემთვის არ გადაეხადათ 2.5 მილიონი იმ შემთხვევაში, თუ სტუდია „მაესტროს“ ივანიშვილზე ნამდვილად გასასხვისებდნენ“, – თქვა ეროსი კინმარიშვილმა.

იგი დარწმუნებულია, რომ მთელი ამ „გადათამაშების“ მიზანი „მაესტროს“ წილის გასასხვისებლად გამზადებაა. „ვსაზე გასასხვისებლად?“ – ამ შეკითხვაზე კინმარიშვილი პასუხობს, რომ „მასზე, ვისი დიდი მოლოდინიც აქვთ“, ანუ ბიძინა ივანიშვილზე. სხვა მრავალ ბრალდებასთან ერთად, იგი კვლავაც იმეორებს, რომ „მაესტროს“ „დამფუძნებლებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს“, რომ „მათ სიხარუემ სძლიათ“. გარდა ამისა, იგი დარწმუნებულია, რომ „მაესტროს“ არათუ 51%-იანი წილი, არამედ მცირე წილიც კი არ გასასხვისდება, რადგან მან უკვე მიმართა სასამართლოს კომპანიის წილზე ყადალის დადების მოთხოვნით.

ჩვენ კომენტარისათვის მამუკა ლომინტსაც დავუკავშირდით, თუმცა, მან ადვოკატთან გადაგვამისამართა. ნამდვილად შედგა თუ არა 11 ნოემბრისა და 13 ნოემბრის შეხვედრები? ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ გვითხრა, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ 11 ნოემბერს „მაესტროს“ დამფუძნებლთა ოფიციალური წარმომადგენელი გახდა.

კინმარიშვილის ბრალდებაზე, რომ



სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის ვარაუდით, კინმარიშვილი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს

დამფუძნებლები „თვალთმაქცური გარიგებით“ ცდილობდნენ მასთან კონტრაქტის გაწყვეტას, ადვოკატი პასუხობს, რომ მართვის კომპანიის დამფუძნებელს შეუძლია ისეთი სიტყვათ-შეთანხმება გამოიყენოს, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს, თუმცა „დამფუძნებლები ყველანაირი დავის განხილვას სასამართლოში აპირებენ“.

„მაესტროს“ ივანიშვილზე გასხვისების მცდელობა არაერთხელ უარყო მამუკა ლომინტმა, ბიზნესმენმა კი ამის შესახებ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელიც აღნიშნულია, რომ „ივანიშვილის მიზანია არა ერთი რომელიმე კონკრეტული მედიასაშუალების ინტერესების დაცვა, არამედ, ზოგადად, თავისუფალი ქართული უურნალისტიკის მხარდაჭერა“, იქვეა მითითება იმაზე, რომ ივანიშვილი „მზად არის დაეხმაროს დამოუკიდებელ, თავისუფალ უურნალისტიკისა და ამით დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების პროცესს“.

მოკლედ

დამფუძნებლებს არ მოეწონათ, რომ მასრთველი კომპანიის ხელმძღვანელმა ივანიშვილთან ფინანსური მოლაპარაკებები მათ გარეშე დაიწყო. შესაბამისად,

მათ თავად, ანუ კინმარიშვილის გარეშე არჩევს ტელეკარხის მართვა. რადგან ნებით არ ჩამოშორდა, დამფუძნებლებმა ძალით ჩამოაშორეს იგი მართვის ბერკეტებს.

მასტრის მომავლი

ამ დრომდე გაურკვეველია, მართლა მოიზიდა თუ არა ეროსი კინმარიშვილმა სტუდია „მაესტროში“ 4,5 მილიონი დოლარი. ის ამტკიცებს, რომ ახალი ოფისი სწორედ ამ ინვესტიციების დახმარებით მოეწყო, განახლდა აპარატურა. თუმცა 5 დეკემბერს, „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებლისა და აქციათა 25%-ის მფლობელმა მაკა ასათიანმა ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას მეშვეობით ვრცელი განცხადება გაავრცელა, სადაც ამტკიცებს, რომ 2010 წლის აგვისტოდან „მაესტროში“ ინვესტიციას მხოლოდ თვითონ დებდა. საუბარია 3 მილიონ დოლარზე. მეტიც, განცხადების თანახმად, კინმარიშვილმა ამ თანხიდან 500 ათასი დოლარი მიიტაცა და დაპირების მიუხედავად, დამფუძნებლებისთვის ეს თანხა არ დაუბრუნებია.

„დამფუძნებლებმა და ტელეკომპანიის ადვოკატებმა ეროსი კინმარიშვილს არაერთი წერილი გაუგზავნეს და მოსთხოვეს ნაკისრი ვალდებულებების



ურნალისტები სახალხო დამცველისგან პროფესიულ
კომპანიის ხელმძღვანელმა
ივანიშვილთან ფინანსური
მოლაპარაკებები მათ გარეშე
დაიწყო. შესაბამისად, მათ
თავად, ანუ კინმარიშვილის
გარეშე არჩიეს ტელეარხის
მართვა. რადგან ნებით არ
ჩამოშორდა, დამცველებებმა
ძალით ჩამოაშორეს იგი
მართვის ბერკეტებს.

სრულად შესრულება. წინააღმდეგ შე-
მთხვევაში, ხელშეკრულება ვადაზე
ადრე შეწყდება ამავე ხელშეკრულე-
ბით გათვალისწინებული პირობებით,
25-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. ასე-
თი ვადა გადიოდა 2011 წლის 5 დეკემ-
ბერს“, – ასათიანის ბრალდებებს კინ-
მარიშვილმა იმით უპასუხა, რომ დავას
პროკურატურა შეისწავლის და საბო-
ლოო გადაწყვეტილებას სასამართლო
გამოიტანს.

ასათიანის განცხადებაში არის პირ-
დაპირი მინიშნება, რომ კინმარიშვილი
ხელისუფლებასთან არის შეკრული,
არგუმენტად კი მისი და საპატრულო
პოლიციის ურთიერთშეთანხმებული
ნაბიჯებია მოტანილი. თავის მხრივ,
არც კინმარიშვილი მალაქს, რომ „მაეს-
ტროს“ ხვალინდელი დღე სააკაშვილის
ხელშია“.

„ერთი მარტივი მიზეზის გამო –
აქედან გაცეული დამცველებების ჯგუფი, რომელიც მაუწყებლობას
ახორციელებს, არის არხის ფუნქციის
საწინააღმდეგო. როგორც ჩათვლის ამ
დავაში მონაწილეობას სააკაშვილი, ამა-
ზეა დამოკიდებული, იარსებებს თუ არა
„მაესტრო“. აქ საუბარია იმაზე, რომ ეს
არის საკაბელო სიბჭირის მქონე ტელე-
ვიზია“, – განაცხადა კინმარიშვილმა.

კომუნიკაციების მარეგულირებელ
კომისიაში თქვეს, რომ მაუწყებლო-
ბის ლიცენზია არა მართვის კომპა-
ნიას, არამედ დამცველებებს ეკუ-
თვით, შესაბამისად, მათ შეუძლიათ
მოძრავი სადგურიდანაც კი ვადასცენ
სიგნალი სატელევიზიო ანძას. მაკა-
ასათიანის განცხადების გათვალისწი-
ნებით, სტუდია „მაესტროს“ უახლო-
ეს მომავალში ექნება როგორც ახალი
სტუდია, ისე უახლესი აპარატურა,
ურნალისტებს კი ხელფასებს გაე-
ზრდებათ.

ტელეკომპანია მართლაც ემზადება
ახალ იფისში, ყაზბეგის ქუჩაზე გა-
დასაბარგებლად. ყაზბეგის გამზირ-
ზე არსებული ფართი ჯერ კიდევ
რამდენიმე თვის წინ დაიქირავეს და
გაარემონტეს. დამატებით რა მოცუ-
ლობის ინვესტიციის ჩადებას აპირე-
ბს, ამაზე ასათიანის განცხადებაში არ
უსაუბრია. კინმარიშვილის განმარტე-
ბით, ასათიანის უკან რეალურად მისი
მეუღლე, კოტე გოგელია დგას, რო-
მელიც შექმნის დღიდან აფინანსებდა
„ქართულ პარტიას“.

საზოგადოების ნაწილმა „მაესტროში“
მიმდინარე პროცესები ხელისუფლე-
ბის გეგმად შეაფასა, ტელეკომპანიის
ჭიშკარზე პლაკატიც კი გაჩნდა წარწე-

■ დამცველებლებს არ

მოეწონათ, რომ მმართველი
კომპანიის ხელმძღვანელმა
ივანიშვილთან ფინანსური
მოლაპარაკებები მათ გარეშე
დაიწყო. შესაბამისად, მათ
თავად, ანუ კინმარიშვილის
გარეშე არჩიეს ტელეარხის
მართვა. რადგან ნებით არ
ჩამოშორდა, დამცველებებმა
ძალით ჩამოაშორეს იგი
მართვის ბერკეტებს.

რით: „იმედი“ არ განმეორდება“.

„ბუნებრივია, ამ თამაშში ორი-
ვე მხარე – ეროსი კინმარიშვილი და
ხელისუფლება – თავისას მიიღებდა. ეროსი აიცდენდა მოპარული ფულის
დაბრუნების ვალდებულებას, ასევე
მიიღებდა ახალ თანხებს, ხოლო ხე-
ლისუფლება ირიბად, შენილგვით მია-
ღწევდა ტელეკომპანია „მაესტროს“
მაუწყებლობის პარალიზებას, თუმცა
ბატონმა ერასტიმ ვერ მოახერხა და-
ვალების შესრულება, რის გამოც აღ-
მოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომა-
რეობაში“, – ასათიანის განცხადებამ
პრაქტიკულად შეაჯამა ის განწყობე-
ბი, რაც ნუცუბიდის ქუჩის №93 სა-
ხლის ლობეზე ეროსი კინმარიშვილის
გადამრომით და საპატრულო პოლი-
ციის თანამშრომელთა მოქმედებით
გაჩნდა.

„ის, რაც „მაესტროში“ ხდება, არც
პირველია და, როგორც ჩანს, არც უკა-
ნასწელი“, – ცხადია, რომ საპარლა-
მენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლი-
დერის, მიხეილ მაჭავარიანის
წინასწარმეტყველება, 2012-2013 წლე-
ბის საპარლამენტო და საპრეზიდენტო
არჩევნების გათვალისწინებით, უფრო
მეტია, ვიდრე მორიგი პოლიტიკური
განცხდება. **■**



პეტრ ჭავჭავაძის ბაზარი

პეტრის ჭავჭავაძის ბაზარის ისტორია

თონა ყიფშიძე



ნოემბერში ჯიხურების დაგეგმილი აუქციონი ჩატარდა. გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატებისა, „ეკოპალიტრის“ ინფორმაციით, ჯიხურების, მათ შორის პრესის ჯიხურების უმეტესობა ძირითადად სასურსათო პროფილის კომპანიებმა - „კოდა“, „კუმისი XXI“, „ნუგეში“ და „იოლი“ შეიძინეს. პირველწყაროებთან ამ ინფორმაციის გადამონმება შეუძლებელი აღმოჩნდა. თბილისის მერია ჯიხურებით თავს არიდებს აუქციონში გამარჯვებული კომპანიების ჩამონათვალის გასაჯაროებას. მათი თქმით, გამარჯვებული კომპანიების სია უახლოეს დღეებში მათსაც საიტზე გამოქვეყნდება.

კითხვაზე, მართლა მიღეს თუ არა აუქციონში მონაწილეობა და რის გაყიდვას გეგმავენ ახალ ჯიხურებში, აღნიშნული კომპანიები პასუხის გაცემას თავს არიდებენ.

„ჩვენ ტენდერზე არაფერს ვამბობთ, თუ სად და ვინ ჩადგამს ჯიხურებს ამის შესახებ რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი მედიასაშუალებებისთვის. ჩვენ კომენტარს არ ვაკეთებთ;“ - გვიპასუხეს ქათმის ხორცპროდუქტებისა და კვერცხის მწარმოებელ კომპანია „კოდაში“.

პასუხის გაცემისგან თავს იკავებს კვერცხისა და ქათმის ხორცის მწარმობელი შპს „კუმისი XXI“ -ის დირექტორი თამაზ ედმერაშვილი: „შვებულებაში ვარ, ავად ვარ და უნევარ. მე არაფერი ვიცი, ვერაფერს გიპასუხებთ.“

„ეკოპალიტრის“ მიხედვით, ინტერნეტაუქციონზე გაიყიდა პრესის გამავრცელებელი ჯიხურებიც. ამგვარად, ჟურნალისტთა ნაწილის შეშფოთება, რომ პრესის ჯიხურების ადგილას შესაძლებელი იყო საკვები ან სხვა პროდუქცია გაყიდულიყო, გამართდა. წინასწარი ინფორმაციით, გამარჯვებულ ოთხივე კომპანიას მეტოდ გამოკვეთილი სასურსათო წიმა აქვს.

ჯიხურებისა და კონკრეტულად, პრესის ჯიხურების აღებისა და მათი სხვა პროფილის ჯიხურებით ჩანაცვლების საკითხი რამდენიმე წელია გრძელდება და პერიოდულად ჟურნალისტების შეშფოთების საბაზი ხდება. მათი აზრით, ჯიხურების აუქციონში რამდენიმე საფრთხე იმაღება. პირველი, შესაძლოა

პრესის გამავრცელებელი ჯიხურები სხვა პროდუქციით მოვაჭრე ჯიხურებმა ჩანაცვლონ, რის შედეგადაც პრესას გასავრცელებლად და გასაყიდად მცირე არეალი რჩება. მეორე საფრთხე, პრესის გავრცელების ბაზარზე მონოპოლიის გაჩენაა, რომელიც პრესის თავისუფლად გავრცელებისთვის შესაძლოა დაბრკოლებად გარდაიქმნას.

ძნელების გარეშე მოახერხა.

„ჩვენ ყოველწლიურად ვწერდით მერიას, რომ მოეცათ დამატებითი ადგილები პრესის სარეალიზაციოდ, შეგვერდნა განცხადებები კონკრეტული მისამართების მითითებით, მაგრამ ეს საკითხი ჭიანურდებოდა. მერე გამოჩნდა დიდი ორგანიზაცია „უაიდ დისტრიბუშენი“. იქ, სადაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ჯიხურების ჩადგმა არ

ჯიხურების აღების


პირველი ტალღა

ჯიხურების პირველი წყება 2007 წელს დაიხურა. მაშინ თბილისის მერიამ „ქალაქის იერსახის გაფუჭების“ მოტივით, გარე ვაჭრობის სხვა სუპერებთან ერთად პრესის ჯიხურებიც დახურა.

„საკრებულოდან მოვიდნენ და მითხვეს, ჯიხური ქალაქის იერსახეს ამასინჯებს, სტანდარტებს არ ექვემდებარება და უნდა დახუროთ. შევთავაზე, თქვენ როგორიც გინდათ, ისეთს გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ მაგაზეც უარი მითხვეს,“ - ყვებოდა შარშან „ლიბერალთან“ საუპრისას ვახტანგ ქავთარაძე, შპს „ინფო 2007“-ის დირექტორი, რომლის კომპანიაც საქართველოს რეგიონებს პრესით ამარაგებდა.

ჯიხურების დახურვიდან ერთ წელინადში ჯიხურების ბაზარზე ახალი კომპანია გამოჩნდა - „უაიდ დისტრიბუშენი“. ამჟამად ის თბილისის ცენტრალურ უბნებში პრესის გავრცელების მონოპოლიისტია. კომპანიის 70 პროცენტის მფლობელი ოფშორულ ზონაში, ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ბლექსთაილ მენეჯმენტია“. „ბლექსთაილ მენეჯმენტის“ სრულუფლებიანი ნარმობადგენელი საქართველოში ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანია.

პრესის გამავრცელებლები აღნიშნავდნენ, რომ „უაიდ დისტრიბუშენი“ ბაზარზე გამოჩნდისთანავე შეძლო პრესის გამავრცელებელ ადგილებზე ნებართვის მიღება. თუ მანამდე არსებული გამავრცელებლებისათვის ეს გადაუქრელი პრობლემა იყო, „უაიდ დისტრიბუშენიმა“ ეს ყოველგვარი გაჭიანურებისა და ბიურკორატიული სი-



შეიძლებოდა, რადგანაც ის ტროტუარს ავინწროებდა, მათი ჯიხურები გაჩნდა, “ – საუბრობდა „კვირის პალიტრის“ სახლის სადისტრუბიციო კომპანია „ელვა სერვისის“ დირექტორი რამაზ თეთრუაშვილი.

მეორე ტალღა

„მახინჯ ჯიხურებთან“ ბრძოლის მეორე ტალღა 2009 წლის შემოდგომაზე

დაიწყო, რასაც უურნალისტების პროტესტი მოჰყვა. უურნალისტები აქტიურად ალაპარაკდნენ პრესის გაერცელების მონოპოლიის საფრთხეზე.

პრობლემების მოსაგვარებლად 2009 წელს „საქართველოს პრესის ასოციაცია“ შეიქმნა. ასოციაციამ პრესის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო შეზღუდვის პრევენციისათვის 2010 წლის 23 აპრილს კანონპროექტი წარმოადგინა.

„ეს კანონი არის მცდელობა, რომ შეიქმნას ბეჭდვითი მედიის გავრცელებისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობის პირობები, რათა თვითმმართველობის არცერთ ორგანოს არ მიეცეს საშუალება, შეზღუდოს ბეჭდვითი პროდუქციით ვაჭრობა, “ – აღნიშნავდა მაშინ „ლიბერალთან“ საუბრისას კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, ვახტანგ ხმალაძე.

2010 წლის გაზაფხულზე ინიცირებულ





ფოტო: ლევან ბერიძე/საქართველო

ღი კანონპროექტი ჯერჯერობით პარ-
ლამენტს არ განუხილავს.

გარდა კანონპროექტისა, უურნალის-
ტები და „პრესის ასოციაცია“ მერიას-
თან თანამშრომლობითაც ცდილობდა
პრობლემის მოგვარებას. თბილისის მა-
შინდელი ვიცე-მერი დისტრიბუტორებს
დაპირდა, რომ პრესის არსებულ ქველ
ჯიხურებს ნებართვას 10-15 წლით გაუ-
ხანგრძლივებდა, თუმცა დანაშირები არ
შესრულებულა.

მესამი ტალღა და

უურნალისტების პროტესტი

პრესის ჯიხურების არსებობას საფრ-
თხე წელს შემოდგომაზე ისევ დაემუ-
ქრათ. ამჯერად მერია საზოგადოების
წინაშე მცირე და საშუალო ბიზნესის
ხელშეწყობი პროექტით „1000 ახა-
ლი ჯიხურით“ წარდგა. ამ პროექტის
ფარგლებში თბილის 1000 ახალი და
მოდერნიზებული ჯიხურები უნდა შე-
ემატოს, რომელიც პრესის ქველ ჯი-

ხურებს საბოლოო გაქრობას უქადის.
ჯიხურების აუქციონი იმ ადგილებზეც
გამოცხადდა, სადაც ამჟამად ქველი
ჯიხურები დგას. აუქციონის პირობე-
ბის მიხედვით, მონაწილეებს პრესის
გაყიდვის ვალდებულება არ წაეყინე-
ბათ.

„თუ იქნება მოთხოვნა, ჯიხურების
მეპატრონები პრესას გაყიდიან, ჩვენ
არ გვაქვს უფლება ჯიხურის მეპატრო-
ნის საქმიანობაში ჩავერიოთ და მაინ-
ცდამაინც გაზეთების გაყიდვა მოვთხო-
ვოთ. პრესის გაყიდვის მსურველებს
კი შეუძლიათ ჯიხურებში გაზითების
გარდა სიგარეტები და სხვა მომგებია-
ნი პროდუქციაც გაყიდონ“, – ამბობს
თბილისის ქონების მართვის სააგენტოს
ხელმძღვანელი დავით ჭედია.

მერიის ქონების მართვის სააგენტოს
ხელმძღვანელის ეს განცხადება უურნა-
ლისტების შიშს, რომ ყოფილი პრესის
ჯიხურებში პრესა აღარ გაიყიდება, კი-
დევ უფრო ამტკიცებს. გარდა შიშებისა,

უურნალისტებს სხვა ეჭვებიც აქვთ.

„მიზეზები უფრო ღრმაა და ჯიხურე-
ბის აუქციონის მიზანი მხოლოდ ბიუ-
ჯეტში თანხების შეტანა არ არის. ეს
ანგრევს მედია სივრცეს და მოქალაქეე-
ბს პრესის გარეშე დატოვებას უქადს“, –
ამბობს უურნალისტი ზეიად ქორიძე.

უურნალისტებს ასევე ეჭვი ეპარებათ
მერიის განაცხადში, რომ „1000 ჯიხუ-
რის“ ფარგლებში შესაძლებელია დამა-
ტებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

„ამბობენ, რომ ახალი ჯიხურებში შეი-
ქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები
და მინიმუმ 3 ადამიანი დასაქმდება. ჯიხურებს თუ ნახავთ, დარწმუნდებით,
რომ სამა ადამიანმა შეუძლებელია იქ
მუშაობა მოახერხოს, ასევე ქველ ჯი-
ხურებში მომუშავეები თუ უმუშევრად
დარჩენენ, შესაკრებთა ამგვარი გადანა-
ცვლებით ჯამი არ შეიცვლება“, – ამბო-
ბს გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის
მოადგილე ელისონ ჩაფიძე.

უურნალისტები ჯიხურების აღების

პერიოდებზე მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ ამ საკითხის გააქტიურება საეჭვოდ ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდებს. კოლიციამ „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წოემპრის ბოლოს სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც წერდნენ, რომ ხელისუფლების მიზანი საარჩევნოდ ბეჭდური მედიის განეიტრალება:

„საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ხელისუფლების მიზანი წინასაარჩევნოდ ბეჭდური მედიის განეიტრალებაა, რათა საზოგადოებამდე მივიდეს მხოლოდ და მხოლოდ გაფილტრული ინფორმაცია, რომელიც მოსახლეობას ნაციონალური არხებით მიეწოდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამას ასეულობით წვრილი მოვაჭრისა და ჯიხურის მფლობელის უმუშევრად დატოვებითა და მათი სოციალური განადგურების ფასად აკეთებენ“, – ვკითხულობთ განცხადებაში.

კოლიციამ, რომელიც პრესის გავრცელების თავისუფლებისა და ოპიკეტური ინფორმაციის გავრცელების ხელშესაწყობად 2011 წლის წოემპრიში შეიქმნა, ამ საკითხის მოსაგვარებლად, ხელისუფლებას და საზოგადოებას საკუთარი ინიციატივები გააცნო. მათი აზრით, აუცილებელია, შედგეს შეხვედრა საკითხით დაინტერესებულ პირებსა და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან, რათა მათ განმარტონ მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობა. კოლიცია, აგრეთვე, საკითხის გარკვევამდე აუქციონის შეჩერებას ითხოვდა: „უნდა შეჩერდეს ყოველგვარი აუქციონი და განახლდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიქმნება პრესის გავრცელების მყარი გარანტიები... საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაინყოს მედიაექსპერტების მიერ მომზადებული და პარლამენტში ინიციორებული კანონირეტების განხილვა, რომლებიც ამ და სხვა ძევრი საკითხის მოგვარების მექანიზმს სთავაზობს ხელისუფლებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

აუქციონის შესაჩერებლად და პრესის გავრცელების თავისუფლების დასაცავად უურნალისტებმა 29 წოემპრის, მაშინ, როდესაც თბილისის მერიას ჯიხურების ელექტრონული აუქციონი

ჰქონდა გამოცხადებული, მერიის წინ აქცია „მე ვკითხულობ გაზრდის“ მოაწყვეს. უურნალისტებმა პრესის გავრცელების თავისუფლების ნებისმიერი სახის შეზღუდვა გააპროტესტეს.

მერია არც აქციას და არც კოლიციის განცხადებას გამოხმაურებია.

■ „თუ იქნება მოთხოვნა, ჯიხურების მეპატრონები პრესის გაყიდიან, ჩვენ არ გვაქვს უფლება ჯიხურის მეპატრონეს საქმიანობაში ჩავერიოთ და მაინცდამაინც გაზეთების გაყიდვა“

მოვთხოვოთ. პრესის გაყიდვის მსურველებს კი შეუძლიათ ჯიხურებში გაზეთების გარდა სიგარეტები და სხვა მომგებიანი პროდუქციაც გაყიდოს“.

პისურების მეპატრონები

ჯიხურების აუქციონისა და უურნალისტების პროტესტის პარალელურად, ქალაქში პრესის ძევლი ჯიხურების რაოდენობა იკლებს. „პლანეტა ფორტეს“ დამფუძნებელი მერაბ ჩანჩალაშვილი ამბობს, რომ თუ 5 წლის წინ 80 ჯიხური ჰქონდათ ამჟამად 30-მდე ჯიხურია დარჩენილი. ჩანჩალაშვილმა ჯიხურებზე ნებართვა 2005 წელს ხელახლა აიღო, თუმცა გასულ თვეს ჯიხურების, როგორც უკანონოდ განთავსებულის, აღება მაინც მოსთხოვეს.

„თუ ადრე მოდიოდნენ და პირადად გვაფრთხილებნენ, ამჯერად ოფიციალური საბუთი მოვითხოვეთ. მერიიდან გამოგვიგზავნეს, რომ ჩვენი ჯიხურები უკანონოდა განთავსებული და შესაბამისად, მისი აღება იგეგმება. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ არ ვეთანხმებით ჯიხურების უკანონოდ განთავსების

ბრალდებას, მაგრამ იძულებული ვართ, დავემორჩილოთ,“ – ამბობს ჩანჩალაშვილი.

საქმეს ის ფაქტი ართულებს, რომ არ არსებობს ჯიხურების სარგებლობის მომანესრიგებელი კანონმდებლობა. „პლანეტა ფორტე“ წლების განმავლობაში ითხოვდა საკუთარი ჯიხურების სარგებლობის კანონის ფარგლებში მოქცევას, იხდიდა მინის გადასახადს და მზად იყო ჯიხურების ვიზუალური მხარე თბილისის მერიის წაყენებული სტანდარტისთვის შეეთავსებინა. როგორც ჩანჩალაშვილი ამბობს, მას არათუ ჯიხურით სარგებლობის ნებართვა, არამედ მისი ვიზუალურად კეთილმოწყობის უფლებაც არ მისცეს.

ჩამორთმეული ჯიხურების უმეტესობა თბილისის ცენტრალურ ადგილებშია განთავსებული. „პლანეტა ფორტე“ აუქციონში მონაწილეობას არ აპირებს, რამდენადაც ცენტრალურ ადგილებში მდგომი ჯიხურების ფასი რამდენიმე ათას ლარამდე აღწევს, „ამდენი თანხის ყოველწლიურად გადახდა კი პრესის გაყიდვით შეუძლებელი.“

„პლანეტა ფორტე“ მსგავსად შემცირდა „მაცნეს“ ჯიხურების რაოდენობაც.

„ალმაშენებლის რეკონსტრუქციის დროს სამი ჯიხური აიღეს, 26-27 ნოემბერს – 17“, – ამბობს „მაცნეს“ იურისტი დალი მაჭარაშვილი.

მაჭარაშვილიც გვიყვება, რომ „მაცნეც“ ითხოვდა ჯიხურებისთვის ნებართვას, მაგრამ რადგანაც არ არსებოდა და მინის საიგარო ფასი და შესაბამისი კანონმდებლობა, ნებართვის მიღება წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა. მიმდინარე წლის წოემპრიში კი მათგან უკვე ჯიხურების აღება მოითხოვეს.

ჯერჯერობით პრესის ჯიხურების არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ოფიციალურად უცნობია, ვინ შეიძინა პრესის აღებული ჯიხურების ადგილები. თუ „ეკოპალიტრის“ ინფორმაცია დადასტურდება, პრესა ჯიხურების გარეშე დარჩება. ■

სტატიაზე მუშაობდა თათია ხალიანი.

განათლება



იურიან ამაშუკელი
ფოტოების ერთობენი

შოხს ჩვენბან!

მაღლე რთული ქცევის მქონე სკოლის მოსწავლეებს სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში გადაამისამართებენ. ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილება საქართველოს პარლამენტმა გასულ კვირას პირველი მოსმენით მიიღო. ამ ინიციატივის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ცვლილება ბევრ ბუნდოვან ჩანაწერს შეიცავს. ამ ეტაპზე ისიც კი არ არის ცნობილი, თუ სად, რომელ სპეციალურ დაწესებულებაში უნდა გადაამისამართონ ეგრეთ წოდებული „დევიაციური ქცევის მქონე ბავშვები“.

ლიკა ზაკაშვილი

„კანონის მიზანი დევიაციური, რთული ქცევის ბავშვებზე ზრუნვაა, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაცვას არასრულწლოვნები, არ დატოვოს ისინი თავის პრობლემებთან მარტო. არასრულწლოვანის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეიქმნება“, – განაცხადა 2 დეკემბერს პარლამენტის ადმინის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე კახაბერ ანჯაფარიძემ. იგი კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი და საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა.

მულტიდისციპლინური ჯგუფი დაკამატებულებულება ცხრა წევრისგან, მათ შორის იქნებიან სოციალური მუშავები, იურისტები, პედაგოგები და ბავშვთა ფსიქოლოგები. ცვლილების მიხედვით, სწორედ მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს იმ ღონისძიებათა სახეები და თანმიმდევრულობა, რაც ბავშვის გამოსწორების მიზნით იქნება გასატარებელი.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ მიაჩინა, რომ სკოლა-პანსიონში ბავშვი უნდა გადამისამართდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაიდებს სისხლის სამართლის დანაშაულს“, – ამბობს თაული თოლეუა.

ციის“ საპარლამენტო სპიკერის, თათული თოდებას თქმით, კანონი „ნოვაცია არ არის“. საქართველოში უკვე არსებობს სამტკრედიის სკოლა-პანსიონი. ამ დაწესებულებაში სწავლობენ ბავშვები, რომლებმაც ჩაიდანეს სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების რეკომენდაციით, ისინი (ჩადენილი დანაშაულის შედარებით მსუბუქი ხასიათის გამო) კოლონის ნაცვლად, მოხვდნენ სამტკრედიის სკოლა-პანსიონში.

კანონპროექტის დღეს არსებული რედაქციის მიხედვით, გადამისამართდება არა მხოლოდ ის ბავშვი, რომელიც ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს, არამედ, ის არასრულწლოვანიც, „რომლის ქცევა აშეარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის განვითარებას, საკუთარი, ან სხვა ადამიანის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ან შართლენერიგის და ვლინდება არანაკლებ 6 თვეს მანძილზე“.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ მიაჩინა, რომ სკოლა-პანსიონში ბავშვი უნდა გადამისამართდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაიდებს სისხლის სამართლის დანაშაულს“, – ამბობს თაული თოლეუა.

კანონპროექტის მიხედვით, სპეცია-

ლურ სკოლა-პანსიონში გაგზავნის გარდა არსებობს გადამისამართების სხვა, შედარებით „ლიბერალური“ ფორმები. კერძოდ – ახალ სკოლაში გადაყვანა, სპეციალურ საგანმანათლებლო, სპორტულ თუ სხვა ღონისძიებებში ჩართვა. აღნიშული მუხლის თანახმად, სკოლა-პანსიონში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ყველაზე ბოლოს, ანუ მას შემდეგ, რაც „გადამისამართების სხვა ღონისძიებების გამოყენება არ იქნება საკმარისი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისათვის...“ (48-ე მუხლის მე-11 პუნქტი). იურისტები შენიშვნას გამოთქვამენ სწორედ ამ დეფინიციის („სხვა ღონისძიებების გატარება“) მიმართ. „განმარტება „სხვა ღონისძიებების გამოყენება“, ზოგადია და აუცილებლად სჭირდება კონკრეტიკა“, – ამბობს თათული თოდეუა.

გარდა ამისა, მას სხვა შენიშვნებიც აქვს. კერძოდ, ბუნდოვანია, როგორ რეჟიმში და რამდენი ხნით მოუქმევს ბავშვს სკოლა-პანსიონში ყოფნა, უცნობია, როგორი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი იქნება სკოლა-პანსიონებში, შეიზღუდება თუ არა ბავშვის თავისუფლება. ასევე გაუგებარია მრავალი მნიშვნელოვანი გარემობა, მაგალი-

თად, რის საფუძველზე მიიღებს მულტიდისციპლინური ჯგუფი გადაწყვეტილებას ბავშვის სკოლა-პანსიონში ყოფის ვადის გაზრდის თაობაზე, როგორი კვალიფიკაციის ადმინისტრირებით დაკომპლექტდება მულტიდისციპლინური ჯგუფი... „ჩვენ გვესმის, რომ ყველაფრის კანონის დონეზე განერა ვერ მოხერხდება, მაგრამ მიგვაჩინა, რომ კანონქემდებარე აქტებით უნდა დარეგულირდეს და ნათელი გახდეს კანონის ბუნდოვანი მხარეები“, – ამბობს თოდა.

აღნიშნული საქანონმდებლო ცვლილების შეფასება „ლიბერალმა“ პედაგოგებსა და ფსიქოლოგებს სთხოვა. ზოგი მათგანი ცვლილებას უარყოფითად აფასებს. ხოლო ისინი, ვინც კრიტიკულ მოსაზრებას არ გამოთქვამენ, აღნიშნავენ, რომ გადამისამართება უკიდურესი ზომა უნდა იყოს და მას ნინ უნდა უძღვოდეს პრობლემის მოგვარების მრავალი მცდელობა.

ფსიქოლოგი ქეთი კობალაძე, რომელსაც რთული ქცევის ბავშვებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, კანონპროექტს სკეპტიკურად უყურებს. „სად აპირებენ ამ ბავშვების წაყვანას, სამტრედის სკოლა-პანსიონში, სადაც ისედაც საკმარისზე მეტი ბავშვა? რთული ქცევის მქონე ბავშვებს, თუ ის არ ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს, სკოლში უნდა შეუქმნა სწორი, ზრუნვაზე ორიენტირებული გარემო. ასე უფრო შეიცვლება მისი ქცევა, ვიდრე მისი იმ სკოლაში გადაყვანით, სადაც ათობით სხვა რთული ბავშვია და ისიც არ ვიცით, რა საგანმანათლებლო პროგრამები იქმნება მათთვის, ვინ იზრუნებს ამ ბავშვებზე? თუ ყველა ამ კითხვას პასუხი არ გაეცა და არ დაინახეთ, როგორ ხედავენ პროექტის ავტორები მთელ ამ პროცესს, ვერ შევაფასებთ, რა შედეგი შეიძლება მივიღოთ ბავშვის სკოლა-პანსიონში გადაყვანით“, – აღნიშნავს ქეთი კობალაძე.

მისი თქმით, ხშირად თავადაც დასდგომია თავდებში იმ მოზარდს, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მიზანი კი ის იყო,

რომ ისინი სასჯელალსრულების დაწესებულების ნაცვლად, სამტრედის სკოლა-პანსიონში მოხვედრილიყვნენ. „მაგრამ ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუკი ბავშვისთვის ეს გზა უპირობოდ უკეთესი იყო“, – აღნიშნავს ფსიქოლოგი.

არ არის გამორიცხული, რომ სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ახალი სკოლა-პანსიონები გახსნას. ქეთი კობალაძე მიიჩნევს, რომ ამ მხრივ ფულის ხარჯვას სჯობს, ეს

■ კანონპროექტის დღეს

არსებული რედაქციის

მიხედვით, გადამისამართდება

არა მხოლოდ ის ბავშვი,

რომელიც ჩადის

სისხლის სამართლის

დანაშაულს, არამედ, ის

არასრულწლოვანიც, „რომლის

ქცევა აშკარა საფრთხეს

უქმნის არასრულწლოვნის

განვითარებას, საკუთარი,

ან სხვა ადამიანის

უსაფრთხოებას,

კეთილდღეობას, ან

მართლწესრიგს და ვლინდება

არანაკლებ 6 თვის მანძილზე“.

ვერ მოახერხებს, რადგან ეს ძალიან დიდი შრომაა“, – მიაჩინა 66-ე საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორს, ლია გიგაურს, რომელიც დირექტორის თანამდებობაზე 4 წლის განმავლობაში მუშაობდა. „როცა 66-ე სკოლაში მივედი, ვიცოდი, რომ ეს სხვა სკოლებიდან ე.ნ. „გამოგდებული“ ბავშვების სკოლად ითვლებოდა. იქ არამარტო დევიაციური ქცევის ბავშვები სწავლობდნენ, მათ ქცევებში აშკარად შეინიშნებოდა კრიმინალის ნიშნებიც, საქმის გარჩევა, შეხლა-შემოხლა, პოლიციის ჩარევა – ყოველდღიური ამბავი იყო. წელიწადნახეროის განმავლობაში რეალურ შედეგს ვერ მივაღწიეთ, თუმცა ფსიქოლოგთან ერთად ვსახავდით სტრატეგიას, სხვადასხვა რეგულაციებს ვაწესებდით... შედეგი მხოლოდ მას შემდეგ მივიღეთ, რაც ინდივიდუალურად, დისტანციურად დავიწყეთ ამ ბავშვებთან მუშაობა“, – ამბობს სკოლის ყოფილი დირექტორი.

გიგაურს მაგალითად მოჰყავს თავდებით გამოშებული ერთ-ერთი მოსწავლის ამბავი. „სკოლაში დაბრუნებული თავიდან ისეთი მოვიდა, ლამის კედელთან მიგაყენა ცველა, მაგრამ ბოლოს ურთიერთობა მოვაგვარეთ. მასსოვს, ერთ-ერთ კარნავალზე, რომელიც სკოლაში მოვაწყეთ, მოსვლა ვთხოვე. რა თქმაუნდა, ბავშვი, რომელსაც სკოლაში თავი კრიმინალური ქცევით მოჰყონდა და სკოლის საზოგადოებაც მას ასეთ როლს ანიჭებდა, უარზე იყო, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიდა. არ დამავიწყდება ის დღე: ისე მოილინა, ისე ჩაერთო სხვადასხვა აქტივობებში, ბოლოს, სალამოს პრინციპი კი გახდა. ეს სკოლის სხვა წევრებისთვისაც მოულოდნელი იყო. არ სჯეროდათ, რომ თავად რამაზი (მოგონილია) მივიდა კარნავალზე. ნელ-ნელა სკოლაში ამ ბავშვის როლი შეიცვალა“.

გიგაურის თქმით, სწორედ იმ გარემოებამ, რომ მოზარდი დარჩა ჩვეულებრივ სკოლაში, დადებითი შედეგი მოიტანა. „თავის დროზე სხვა მისნაირი რთული ქცევის მქონე ბავშვთან რომ გაგვეშვა, არ ვიცი, რა შედეგი გვექ-

წებოდა დღეს“, – აღნიშნა ლია გიგაურმა „ლიპერალთან“ საუბრისას. იგი დარწმუნებულია, რომ რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობა სკოლის საქმეა და ასეთ ბავშვებს ხშირად არასწორი პედაგოგიური მიდგომის გამო, უფრო ურთულდებათ ქცევა. მისი თქმით, ხშირად, პედაგოგს ჰყონია, რომ ბავშვის რთული ქცევა მისი საქმე არ არის: აშინებს დირექტორით, უშვებს კლასიდან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი სკოლიდან გაძევების საკითხს აყენებს... „ასეთ შემთხვევებში, პედაგოგებს მზრუნველობითი დამოკიდებულების გამოჩენა მართებთ და არა მენტორულის, არც ბავშვების დირექტორით დაშინებაა კარგი საქციელი“, – ამბობს ლია გიგაური და აღნიშნავს, რომ ბავშვთან ინდივიდუალური საუბარი, მოსმენა, მზრუნველი დამოკიდებულება, მის ცნობიერების ფორმირებაზე დადებით გავლენას ახდენს.

მისა აზრით, აქცენტი პედაგოგთა გადამზადებაზე უნდა გაეკთდეს. „ბავშვის ფიქრ-ფიზიკურ თავისებურებებზე და მიდგომებზე პედაგოგებს მეტი ცოდნა უნდა მივცეთ, ისინი აბარებენ გამოცდებს, გადინან სხვადასხვა თეორიას, მაგრამ ამ მიდგომების გამოყენებას სკოლაში ვერ ახერხებენ“.

ამირან ჯოლოგუა ერთი წელია, თბილისის პირველი საჯარო სკოლის დირექტორია, იქამდე, ის მე-60 საჯარო სკოლის დირექტორი იყო. სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. „26 წელია, სკოლაში ვარ, ბავშვი, რომელიც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს გარშემომყოფათვის, არ შემხვედრია, არიან ბავშვები, რომლებსაც დისციპლინური გადაცდომები აქვთ.“

ამირან ჯოლოგუა ამბობს, რომ სპეციალურად, დევიანტური ქცევის ბავშვებისთვის სკოლა-პანსიონების არსებობა დადებით შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოილებს, თუ სწორედ დაიგეგმება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესი. „ასეთ გარემოში წასვლა, ბავშვისთვის იქნება შანსი, შეიცვალოს ქცევა, შექმნას ახალი მოდელი და რეზისტრირებული გახდეს პრობლემების მიმართ, რომელთაგან

დისტანციურა დაეხმარება პრობლემის აღმოჩენასა და მათთან გამკლავების ხერხების მოძიებაში“, – ამბობს იგი. ამასთანავე, მას მიაჩნია, რომ ბავშვის პანსიონში გადამისამართება, სკოლისთვის მილიონმეტობეთ შანსი უნდა იყოს. იქამდე სკოლამ უნდა ამონუროს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, უნდა დაასაბუთოს, რა გააკეთა ამ ბავშვის ქცევის კორექციის მიზნით და მხოლოდ ამის შემდეგ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე,

■ ამირან ჯოლოგუას აზრით,

პედაგოგს უნდა ჰქონდეს

პეთილგანწყობა და მაღალი

მგრძნობელობა ასეთი პრობლემის

მექნე ბავშვის მიმართ, სკოლა

კი, შედეგის დადგომამდე, უნდა

ეპრძოლოს ბავშვში აგრესის

გამომწვევ მიზეზებს. „სკოლა

მათთვის კომფორტულ გარემოსთან უნდა ასოცირდებოდეს, უნდა

ჰქონდეთ მშობლიურობის

განცდა. როცა ბავშვი სკოლას

და მასწავლებელს მოძალადედ

მიიჩნევს, იქამდება პროტესტის

გრძნობა. მნიშვნელოვანია, რომ

სკოლაში ბავშვზე სერიოზული

აკრძალვები არ ვრცელდებოდეს“.

შეიძლება მისი სკოლა-პანსიონში გადამისამართება.

ამირან ჯოლოგუას აზრით, პედაგოგს უნდა ჰქონდეს კეთილგანწყობა და მაღალი მგრძნობელობა ასეთი პრობლემის მქონე ბავშვის მიმართ, სკოლა კი, შედეგის დადგომამდე, უნდა ეპრძოლოს ბავშვში აგრესის გამომწვევ მიზეზებს. „სკოლა მათთვის კომფორტულ გარემოსთან უნდა ასოცირდებოდეს, უნდა ჰქონდეთ მშობლიურობის განცდა. როცა ბავშვი სკოლას და მასწავლებელს დანერგვა განათლების სისტემას ძვირი უჯდება, რეფერალური სისტემა შეიძლება განიხილოთ არა რომელც თავიდან მოშორების, არამედ ძალისხმევათა გაერთიანების სისტემა, როცა პრობლემის გადაჭრის მიზნით, რამდენიმე უწყება ძალებს აერთიანებს“, – აღნიშნავს გიორგი გახელაძე. ის, ასევე, მიიჩნევს, რომ შეიძლებოდა, ეს ინიციატივა განვითარების საფუძველი სულაც არ გაშენდარიყო, რომ არა შეში და ამ პროცესების მართვის არც ისე ცხადი პერსპექტივა. **ც**

ბელს მოძალადედ მიიჩნევს, იქადება პროტესტის გრძნობა. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში ბავშვზე სერიოზული აკრძალვები არ ვრცელდებოდეს“, – დასძენს ის.

„ასეთ ბავშვებში აგრესის მიზეზი მათ მიმართ მშობლების, პედაგოგების, სკოლის სხვა წევრების დამკითხულებაა. მნიშვნელოვანია, ვისთან კონტაქტობს, რა მდგომარეობა აქვს ოჯახში – ხშირად ასეთი ბავშვები არასრული ოჯახებიდან არიან, ამიტომ, ასეთ დროს, უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება მშობლელთან თანამშრომლობა“.

ამირან ჯოლოგუას თქმით, არის შემთხვევები, როცა სკოლა, ბავშვის ქცევის შესაცვლელად, იძულებული ხდება, მისი სხვა სკოლაში გაშვების გადაწყვეტილება მიიღოს. „მშობელს ვუხსინი, რომ პედაგოგიური გარემოს გამოცვლა შეცვლის მისი შვილის ქცევას. გააჩნია, რა ინვეგს პრობლემას: თუ ეს დაკავშირებულია კლასელთან, გამოსავალი კლასიდან კლასში გადაყვანაა, მაგრამ რომორც წესი, კლასიდან კლასში გადაყვანისასა, თუ დარღვეული ქცევა სხვა კლასშიც მისდევს, სასურველია, ბავშვმა სკოლა გამოიცვალოს“.

განათლების ექსპერტის, გიორგი გახელაძის აზრით, მულტიდისციპლინური ჯგუფის დახმარება იმ სკოლებს დასჭირდებათ, რომელთაც არა აქვთ რთული ქცევის მქონე ბავშვების რეგულირების შიდა რესურსი. „ასეთი ბავშვების მოვლას კვალიფიციური ადამიანური რესურსი სჭირდება, მაგრამ რადგან სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვა განათლების სისტემას ძვირი უჯდება, რეფერალური სისტემა შეიძლება განიხილოთ არა რომელც თავიდან მოშორების, არამედ ძალისხმევათა გაერთიანების სისტემა, როცა პრობლემის გადაჭრის მიზნით, რამდენიმე უწყება ძალებს აერთიანებს“, – აღნიშნავს გიორგი გახელაძე. ის, ასევე, მიიჩნევს, რომ შეიძლებოდა, ეს ინიციატივა განვითარების საფუძველი სულაც არ გაშენდარიყო, რომ არა შეში და ამ პროცესების მართვის არც ისე ცხადი პერსპექტივა. **ც**



საკათავის მართვისა და მომსახურების მიმაბი სტანდარტები

„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულ ათასობით კლიენტს შორის მხოლოდ რამდენიმემ შეძლო კომპანიისთვის სასამართლო პროცესი მოეგო, მათ შორისაა ვალერი ზარდიაშვილის ოჯახი, რომლის სასარგებლოდაც ერთი წლის წინ სასამართლომ „ცენტრ პოინტ სიტის“ თითქმის 160 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. თუმცა, ზარდიაშვილებმა სასამართლოსვე „დამსახურებით“ კუთვნილი თანხა დღემდე ვერ დაიბრუნეს და, საეჭვოა, მომავალში მაინც დაიბრუნონ.

გივი მგელაძე, „სტუდია მონიტორი“

ვალერი ზარდიაშვილი მეულესთან ერთად 6 წელი შოტლანდიაში ცხოვრობდა და მუშაობდა, იქ დაგროვებული თანხით 2006-2009 წლებში „ცენტრ პოინტ სიტის-გან“ (რომლის 100%-იან წილს მაია რჩეულიშვილი ფლობს) ორი ფართი: ერთი საცხოვრებლი ბინა და ერთიც კომერციული ფართი შეიძინა. უძრავი ქონება ხომარაულის 29 ნომერში, ელიავას ბაზრობის მასლობლად მდებარეობდა, სადაც „ცენტრ

პოინტის“ ინფორმაციით, „ცენტრ პოინტ სიტი“, იგვე „ქალაქი ქალაქში“ უნდა აშენებულიყო. პროექტის თანახმად, „ცენტრ პოინტ სიტის“ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსი და კომერციული დანიშნულების კომპუნი უნდა აემზენდინათ. ამ ტერიტორიაზე დღემდე მხოლოდ 1 კორპუსის შენებლობა დასრულდა.

რადგან ვალერი ზარდიაშვილი საქართველოში არ იყო, კომპანიასთან ხელ-

შეკრულება დედამისმა ნუნუ ჯავახიშვილმა გააფორმა. ვალერიმ კომპანიას ჯამში 128 ათასი აშშ დოლარი გადაუხადა, ხელშეკრულების თანახმად კომპანიას მისთვის ორივე ფართი 2009 წელს უნდა ჩაებარებინა.

2009 წელს საქართველოში დაბრუნებულმა ზარდიაშვილმა ნახა, რომ კორპუსი, სადაც ბინა ჰქონდა შეძენილი, სანახევროდ იყო აშენებული. მე-



„ცენტრ-პოინტის“ დაუსრულებელი მშენებლობა

ორე კორპუსი კი, სადაც კომერციული ფართი იყიდა, საერთოდ არ აშენებულა, მხოლოდ საძირკველი იყო ჩაყრილი.

„მშენებლობა შეჩერებული იყო და ვერ მასასუხობდნენ, როდის დაინტერესენ და დაასრულებდნენ, ამიტომ მივმართე სასამართლოს და ჩემს მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოვითხოვე. ჩემი მოთხოვნა რომ დამეზღვია, მოვძებნე „ცენტრ პოინტ სითის“ სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ორი ბინა და სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბინების დაყადაღება მოვთხოვე. სასამართლომ მოთხოვნა დამიკამყოფილა და კომპანიას აღნიშნული ქონება დაუყადალა. საქმის სასამართლოში განხილვის დროს მშვიდად ვიყავი, რადგანაც ჯამში თითქმის 200 კვ.მ. ფართის უძრავი ქონება დავუყადაღე „ცენტრ პოინტს“, თუ საქმეს მოვიგებდი და კომპანია ფულს მაინც არ დამიბრუნებდა, მაშინ კომპანიის დაყადაღებული ქონების საშუალებით ჩემ მიერ გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნებას მაინც შევძლებდი“, – იხსენებს ვალერი ზარდიაშვილი.

■ **თანხის გადახდის ერთნლიანი გადავადება უსამართლოდ მიაჩნიათ იურისტებს. „სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ასეთი რამ მხარემ შუამდგომლობით უნდა მოითხოვოს, „ცენტრ პოინტ სითის“ შუამდგომლობა თანხის გადავადებაზე არ დაუყენებია, ამიტომაც, როდესაც მოსამართლემ კომპანიას თანხის გადახდა საკუთარი ინიციატივით ერთი წლით გადაუდო, კანონი დაარღვია“, – ამპონს ზარდიაშვილის ადვოკატი ბექა ბადრიშვილი.**

შეღავთი „ცენტრ პოინტს“ – მოსამართლის პირალი ინიციატივა

ზარდიაშვილს კომპანიისთვის თანხის გადახდის ყველა დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნდა. მან სასამართლოს „ცენტრ პოინტ სითის“ მიერ გაცემული ცნობაც წარუდგინა, რაც ადასტურებდა, რომ მას ორივე ფართის საფასური ნინასწარ და სრულად ჰქონდა გადახდილი.

საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, „ცენტრ პოინტ სითის“ ვალერი ზარდიაშვილის თვის 128 ათასი დოლარი და, ამასთანავე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა და-

ეკისრა. ყველაფერი, ჯამში, 160 ათას დოლარამდე გამოდიოდა.

მოქალაქე ზარდიაშვილის სასარგებლოდ მიღებული ამ გადაწყვეტილებით მოსამართლე არ დაკმაყოფილებულა, მან საკუთარი ინიციატივით, ისე, რომ არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია, „ცენტრ პოინტ სითის“ ზარდიაშვილისთვის ფულის გადახდა გადაუვადა.

მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით თანხის გადახდის ერთნლიანი გადავადება უსამართლოდ მიაჩნიათ იურისტებს. „სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ასეთი რამ მხარემ შუამდგომლობით უნდა მოითხოვოს, „ცენტრ პოინტ სითის“

ზურნალისტური გამოძიება

შეუძლებობა თანხის გადავადებაზე არ დაუყენებია, ამიტომაც, როდესაც მოსამართლემ კომპანიას თანხის გადახდა საკუთარი ინიციატივით ერთი წლით გადაუდო, კანონი დაარღვია“, – ამბობს ზარდიაშვილის ადვოკატი ბექა ბადრიშვილი.

„კანონი ასეთი გადაწყვეტილების საკუთარი ინიციატივით მიღების უფლებას მოსამართლეს არ აძლევდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლეს კომპანიისათვის დაკისრებული თანხის მხოლოდ სამი თვით გადავადება შეეძლო, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მხარე იშუამდგომლებდა და ამის აუცილებლობასაც დასაბუთებდა“, – ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ბექა დოჭვირი.

საკუთარი ინიციატივით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში მოსამართლე წერს, რომ ვინაიდან კომპანიას კიდევ ბევრი კრედიტორი ჰყავს, ითვალისწინებს მის ფინანსურ მდგომარეობას და გადახდას ამიტომაც უვადებს. ამ დასაბუთებაში ნახსენები არც არის მოქალაქე ვალერი ზარდიაშვილის კანონიერი ინტერესების დაცვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეთილსინდისიერ შემსყიდვებულზე მოსამართლეს არ უზრუნია.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიად, მოსამართლე შორენა ჯანხოთელმა „ცენტრ პოინტ სითის“ კუთხით და ზარდიაშვილის სასარგებლოდ დაყადალებული თრი ფართი ისევ დაყადალებული დატოვა. „მართალია, გაუგდარი და უსამართლო იყო თანხის გადახდის გადავადება, მაგრამ ჩენ ეს გადაწყვეტილება არ გავისაჩივრებია, ის ორი ბინა დაყადალებული დარჩა და თუ კომპანია თანხის გადახდაზე ურს იტყოდა, თანხას ბინების გაყიდვით ამოვილებით“, – ამბობს ზარდიაშვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილება არც „ცენტრ პოინტ სითის“ გაუსაჩივრებია, 2011 წლის 5 იანვარს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და დროის ათვლა დაიწყო. კომპანიამ ზარდიაშვილს თანხა ორ თვეში – 2012 წლის 5 იანვარს უნდა გადაუხადოს.

“ცენტრ-პოინტ”

- ▶ ცენტრ პოინტ ჯგუფში შემავალი ფირმების ქონებების აბსოლუტური უმრავლესობა დაყადალებული, ან იპოთეკით დატვირთულია. ეს გარემოება საჭიროს ხდის პატიოსანი მყიდვების მიერ გაღებული თანხის უკან დაპრუნებას იმ შემთხვევაშიც კა, თუ სასამართლო კომპანიას მთ სასარგებლოდ თანხის გადახდას დაკისრებს.
- ▶ „ცენტრ პოინტ ჯგუფ“ 1999 წელს დაუქმნდა და რამდენიმე წელში საშენებლო ბაზირის მესამედს ფლობდა, შენებლობების პიქს კი 2005-07 წლებში მიაღწია. მაშინდელ სარეკლამო კლიპებს თუ დაუკავშირდა, „ცენტრ პოინტი“ აშენდა „ყველაზე, ყველაზე იაფად და ყველაზე კარგად“. თუმცა ის, რომ კომპანიას პრობლემები პქრნდა, 2008 წლიდან კარგად გამოიწნდა.
- ▶ „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ 6 ათასზე მეტი კლიენტი დაზარალებულია – ნანილს ბინის საჯასური წინასწარ და სარულად აქვს გადახდილი, მათი სახლები კი კვლავაც დაუსრულებელია. დაზარალებული კლიენტების ბინების ნანილი აშენებულია და დასრულება სჭირდება, ნანილი სანახვროდაა აშენებული. არის ობიექტები, რომელთა შენებლობა ჯერ არც დაწყობულა.
- ▶ 2010 წლის სექტემბრიდან „ცენტრ პოინტ“ ჯგუფში შემავალი ოცდათამდე ფირმა კომპანია „დექსუსმა“ გადაისარა და მას შემდეგ კლიენტებთან ურთიერთობას „დექსუსი“ ახორციელებს.

კანონიერი ვადა უკვე ერთი წლის გასული იყო. სწორედ ამიტომ კომპანიის მიმართვა პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიხილა, ეს გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადის გასვლის მოტივითვე, ძალში დატოვა სასაპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამაც. გადაწყვეტილება 2011 წლის პირველი ნოემბერს იქნა მიღებული.

დღეუმენტაციით ირკვევა, რომ „ცენტრ პოინტ სითიმ“ სასაპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ 27 ოქტომბერს, კიდევ ერთი განცხადება შეიტანა საქალაქო სასამართლოში. მოთხოვნა იგივე იყო – ზარდიაშვილის სასარგებლოდ დაყადალებულ ბინებზე ყადაღის მოხსნა, თუმცა, ამჯერად მოთხოვნა კომპანიის იურისტებმა სხვანაირად დასაბუთებს.

მათ მიერ შეტანილ განცხადებაში ყადაღის მოხსნის თხოვნა შემდეგნაირად იყო დასაბუთებული – ზარდიაშვილის სასარგებლოდ დაყადალებული „ცენტრ პოინტ სითიმ“ ორი ფართი, თითქოს, ჯერ კიდევ ყადაღის დადებამდე 2008-2009 წლებში სხვა მყიდვებზე გაუსხვისებია, ამდენად, ყადაღის მოხსნა ბინის მფლობელების ინტერესში შედიოდა.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შორენა ჯანხოთელმა „ცენტრ პოინტ სითიმ“ მოთხოვნა დასაბუთებულად მიზნია და ზარდიაშვილის სასარგებლოდ დაყადალებულ უძრავ ქონებას ყადაღა მოხსნა.

რამდენად კანონიერია მოსამართლის გადაწყვეტილება? ჩვენ მიერ გამოკითხული არაერთი იურისტის თქმით, კანონის თანახმად, საჯარო რეესტრის ჩანაწერი უტყუარია, ვიდრე მას სასამართლო არ გააუმებს. 2010 წლის 14 დეკემბერს, როდესაც სასამართლომ ორ ბინას ზარდიაშვილის სასარგებლოდ ყადაღა დაადარ, რეესტრის ამონანერის მიხედვით, ორივე ფართი „ცენტრ პოინტ სითიმ“ ეკუთვნოდა. სხვათა შორის, რეესტრის თანახმად, აღნიშნული ფართები დღესაც „ცენტრ პოინტ სითიმ“ საკუთრებაა. არანაირი კანონიერ უტყუარი მტკიცებულება, რომ ეს ფართები სხვა მოქალაქეებს ეკუთვნის, არ არსებობს.

სამოქალაქო სამართლის სპეციალისტების თქმით, მოსამართლისათვის უპირატე-

შურნალისტური გამოძიება

სი ძალის მტკიცებულება სწორედ რეესტრის ჩანაწერი უნდა ყოფილიყო და – არა „ცენტრ პონტ სითის“ წარმომადგენლის განცხადება.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებამ ვალერი ზარდიაშვილს კუთვნილი თანხის ამოღების შანსები შეუმცირა, თუ კომპანია „დექსუსი“ (რომელიც „ცენტრ პონტის“ ფირმებს მართავს) 2011 წლის 5 იანვარს მისათვის თანხის გადახდაზე უარს იტყვის, ზარდიაშვილს აღარ ექნება მექანიზმი, რომლითაც კუთვნილ თანხას მიიღებს. ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ მოსამართლემ ქონებას, რომლითაც ზარდიაშვილისადმი კომპანიის ვალი იყო უზრუნველყოლი, ყადაღა მოხსნა.

„ეჭვი მაქვს ამ ქონებას, როგორც სხვა ფართებს, „დექსუსი“ იპოთეკით დატვირთავს და მე მას ვეღარ გავყიდ და ჩემს ფულს ვეღარ ამოვიღებ. არ ვიცი რა გავაკეთო, უკვე ვეღარ ეხვდები, როგორ უნდა დავიბრუნო ჩემ მიერ გადახდილი ფული“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას ვალერი ზარდიაშვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებას აბსურდულს უწოდებს ზარდიაშვილის ადვოკატი: „ეს გადაწყვეტილება იმის ნათელი მაგალითია, რომ „ცენტრ პონტისადმი“ ქართული სასამართლო გამორჩეულად ლმობიერია, ამ კომპანიას სასამართლოში გარკვეული პრივილეგიები აქვს, მათ შემთხვევაში სასამართლო ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, როგორიც პრაქტიკუში, არათუ, მე არ მქონია, არამედ სხვისგანაც კი არ გმიგონია.“

ამ გადაწყვეტილებით ეჭვის ქვეშ დგება თანხის ამოღება. არავინ იცის, ვიპოვით თუ არა მათ საკუთრებაში არსებულ სხვა თავისუფალ, დაუყადაღებელ ქონებას, რომლის საშუალებითაც შევძლებთ, ვაიძულოთ კომპანია, რომ ზარდიაშვილის კუთვნილი თანხა დააბრუნოს. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიმართა, აბსურდა ის დასაბუთება, რომ, თითქოს, აღნიშნული უძრავი ქონება დაყადაღებამდე იყო განკარგული. საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, ორივე ფართი დაყადაღებამდე და დღესაც „ცენტრ პონტ სითის“

საკუთრებაა“, – ამბობს ადვოკატი ბექა ბადრიშვილი.

„ყადაღა არ უნდა მოეხსნა მოსამართლეს, ვინაიდა ეს ქონება „ცენტრ პონტ სითის“ საკუთრება იყო და თავის დროზე სამართლებრივად სწორად იყო დაყადაღებული. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, უკანონო და სუბიექტურია. აშკარაა, რომ სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტილი სუბიექტური იყო“, – ამბობს „საიას“ იურისტი ბექა დოჭვირი.


ზარდიაშვილმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, საკითხის საბოლოო ბეჭდს სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილი.

წვენ კიდევ ერთ დაზარალებულს ვესაუბრეთ, რომლის სასარგებლობაც სასამართლომ „ცენტრ პონტს“ თანხის გადახდა დააკისრა. ეს შემთხვევაც წინას იდენტურია, რადგან მევალის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად მოსამართლემ, კომპანიის ინტერესების გათვალისწინების მოტივით, თანხის გადახდა აქაც ერთი წლით გადაავადა. დაზარალებულმა მედიასთან ამ ეტაპზე სუბარი არ ისურვა.

Radio Commersant
FM 95.5

ბიზნესის პირსონელური რადიო

Commersant.ge



ფოტორეაპორტაჟი

ასანის ხიბი

ნინო კუპატაძე



ფოტორეპორტაჟი



ადამიანები იბადებიან, იზრდებიან, ყალიბდებიან, სურვილისამებრ წარმართავენ ცხოვრებას, მაგრამ ასაკს ვერავინ გაექცევა. თემქის მოხუცთა პანსიონატში განსაკუთრებული მოხუცები არიან, რომლებიც იქ სხვადასხვა მიზეზით მოხვდნენ – ზოგი თავისი სურვილით მიდის, რათა შვილებს, შვილიშვილებს ცხოვრება გაუადვილოს და თვითონაც უკეთ იგრძნოს თავი. არიან მოხუცები, რომლებიც ერთი ან ორი თვით იყვნენ აქ დატოვებულები, ნათესავების ქვეყნიდან გასვლის ან სხვა მიზეზთა გამო, მაგრამ მერე დაპრუნებაზე უარი უთქვამთ. მოხუცთა პანსიონატში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებიც ცხოვრობენ: 68 წლის ბავლე ბულალაური გამოყენებითი ხელოვნებით არის გა-



ფოტორეპორტაჟი



ტაცებული და ძალიან საინტერესო ნაქსოვებიც აქვს. ასევე, გხევდებიან მხატვრული კითხვის ოსტატები, მაგალითად, 95 წლის ქალბატონი მედეა ქუთათელაძე, მას ძალიან მძიმე ისტორია აქვს – ადრეულ ასაკში დაუხვრიტეს მამა, ხოლო დედა გადაუსახლეს. საკმაოდ მძიმე ცხოვრების შემდეგ კი პანსიონატში აღმოჩნდა. აქვე ცხოვრობს თვითნასწავლი მხატვარი შოთა ბიძინაშვილი, რომელიც მხატვრობის გარდა, აკეთებს სიუჟეტებს პენოპლასტისგან. თუმცა ყველაზე საინტერესო ამბავი 88 წლის შოთა ბიძინაშვილის ცხოვრებაში ახლახან მოხდა: თემქის პანსიონატში გაიცნო 75 წლის ქალბატონი რიმა ოკომციანი, რომელზეც იქორნინა. □





კომენტარი

ოცენბაზებისასი

შოთა იათაშვილი
პოეტი



იყო მეოცე საუკუნეში ერთი მოქანდაკე, რომლის გვარი ითარგმნებოდა, როგორც „ძველი ქალაქი“, მაგრამ იგი სწორედ იმის-თვის იყო დაბადებული და მონოდებული, რომ ძველი ქალაქები განეხალებინა, მათ ასე თუ ისე მოძველებულ ესთეტიკაში რაღაც აპსოლუტურად განსხვავებული შეეტანა, დაენგრია ქალაქის არქიტექტურაში ძეგლის კონცეფციის ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. ეს მოქანდაკე ნარმოშობით შვედი იყო, მაგრამ ამერიკული კონცეპტუალური ხელოვნებისა და პოპ-არტის მიმართულებას მიეკუთვნებოდა მსგავსად რობერტ რაუშენ-ბერგისა, ენდი უორკოლისა, ჯასპერ ჯონსისა თუ როი ლიჩტენშტენისა.

ეს „ძველი ქალაქი“ კლას ოლდენბურგი იყო — გიგანტომანით შეპყრობილი ხელოვანი, რომელიც ყოფით ნივთებს მასშტაბებში ასკურ თუ ათასჯერ ზრდიდა, საჭიროებისამებრ იერს უცვლიდა, სხვადასხვა ქალაქებში შესაფერის ადგილს უქებიდა და ქანდაკებად (შეიძლება ითქვას — ინსტალაციებად) დგამდა. უფრო სწორად, იყო კი არა, ახლაც ცოცხალია, 1929 წელს დაბადებული ხელოვანი ახლა 82 წლისაა. ოლდენბურგი 1976 წლიდან მოყოლებული, ბევრ თავის ნამუშევარს თავის მეუღლესთან, ჰოლანდიელ სკულპტორ ქუიზი ვან ბრუ-გენთან ერთად ქმნიდა, ვიდრე ქუიზი არ გარდაიცვალა (2009-ში).

მის (თუ მათ) ნამუშევართა შორისაა უზარმაზარი კიბილის პასტა, უზარმაზარი კიბილის ჯაგრისი, უზარმაზარი პომადა, უზარმაზარი ნემსი, უზარმაზარი ქინძისთავი, უზარმაზარი სარქისი სარქი, უზარმაზარი კოვზი ზედ ბლის ერთი კუნძულით, უზარმაზარი ონჯანი ზედ მიერთებული შლანგით, უზარმაზარი ვოლანი, უზარმაზარი ბინკული და ა.შ. მაგრამ ამ ყველაფერს თავისი კონცეტრუსტი ჰქონდა.

მაგალითად, ტეხასის პრერიებში მან უზარმაზარი ნალი დადგა და იგი უკა-

ნასკნელ ცხენს მოუძღვნა; გაითვალისწინა რა ქალაქ მოუნსტერის საომარი ისტორია (ქალაქის კედლიდან ასილებები მეტრში დგას ზარბაზანი) და ქალაქელების განსაკუთრებული სიყვარული საპარაკო ბურთებისადმი, ოლდენბურგმა დიდი მწვანე მოლი ბილიარდის მაგიდად აქცა და მასზე სამი უზარმაზარი ბილიარდის ბურთი „დადო“, ყუმბარებსაც რომ ჰგავდა და საპარაკო ბურთებსაც; კოლონისთვის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი იყო, დამახასიათებელია ტაძრების კონუსისებური შეილები, თანაც ამ ქალაქში ძალინ პოპულარულია სანაყინები. ამიტომ ოლდენბურგმა ქალაქის სავაჭრო ცენტრის სახურავს ამოყინავებული ფორმით დაადგა კონუსის ფორმის უზარმაზარი ნაყინი, რომელიც ამავე დროს „სიუხვის რეის“ ასაციაციას ქმნიდა;

ოლდენბურგის შთაგონების წყარო მხოლოდ ყოფითი ნივთები არ ყოფილია. მაგალითად, ვენეციაში, კორერის მუზეუმიდან, რომელიც სან-მარკოს მოედანზეა, მან უზარმაზარი ლომის კუდი გადმოკიდა. მოედნის მეორე მხარეს დგას ლომის ცნობილი ქანდაკება და ეს ნამუშევარი ბადებდა წარმოდგენას, რომ ლომის მუზეუმში გადაინაცვლა და მას იქიდან კუდი აქეს გადმოშვერილო.

ოპაიოს შტატის ქალაქ კლივენდას მან უზარმაზარი შტატის ბეჭედი დაუმზადა, რომელზეც სიტყვა „FREE“ იყო ამოტვიფრული, ანუ შეიძლება ითქვას, რომ მან ამერიკაში საკუთარი „თავისუფლების ქანდაკება“ დადგა.

ერთი სიტყვით, ოლდენბურგი დიდოსტატი იყო იმისა, რომ ეს ჰიპერბილიზებული ნივთები ზუსტად ჩაენერა არსებულ გარემოში. ყოველივე ეს 50-60-იან წლებში დაიწყო, პოპ-არტისა და ჰიპერრეალიზმის (იმავე ფოტორეალიზმის) სახით. პოპ-არტი აქტიურად იყენებდა ყოფით ნივთებს, ხოლო

ჰიპერრეალისტი მხატვრები ფოტოგრაფიული ეფექტით ხატავდნენ სუპერმარკეტიდან გამოსულ ბადურებიან მოქალაქეებს, ქუჩებს ახალი მოდელის მანქანებით, კაფე-ბარებს მოსადილე კლიენტებით და ა.შ. დღეს უკვე საულოტო ნამუშევრებია უორპოლის „კემპშელის“ კონსერვის ქილები და „კოკა-კოლას“ მწვანე ბოთლები, ჰიპერრეალისტ ჩარლზ ბელის მიერ დახატული სალეჭი რეზინების სერია, რაუშენბერგის ტილოები, სადაც მასალად აქტოურად გამოიყენებოდა ნაგავი. ეს ესთეტიკა მომხმარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებამ და რეკლამის აგრესიულმა შემოსვლამ განაპირობა.

ოლდენბურგიც ერთ-ერთი ის გამორჩეული ხელოვანია, რომელიც მზად დაუხვდა ამ პროცესებს. როდესაც დაწყო სამყაროს წალევა ყოფითი ნივთების რეკლამით, მან ეს ყოფითი ნივთები რეკლამის ესთეტიკიდან ამოგადო, ერთგვარი პოეტურობა შესძინა მათ და სხვადასხვა ქალაქის მნიშვნელოვან, ამოსაცნობ არტ-ობიექტებად აქცა.

ალბათ მიმხვდრი უკვე მიხვდებოდა, თუ რამ გამახსენა ოლდენბურგისა და ძმათა მისთა შემოქმედება. ცხადა, კვერცხებიან-მა შლოპანცმა და გიგანტურმა მუტანტმა ველოსიპედმა. ასეა, ჩვენ სულ ვაგვიანებთ. რაც დასავლეთში თავის სათემელს ბოლომდე იტყვის და დროს მოქამს ხოლმე, მერე იწყებს აქ შემოსვლას და ამოქმედებას. თანაც სუროგატული ფორმებით. აბა, ვინ არიან ის ფრანგი სკულპტორები, კვერცხებს, შლოპანცებს და ველოსიპედებს რომ გვიდიდებენ და ეშმაკმა უწყის, მომავალში კიდევ რას არ გაგვიდიდებენ, თუ არა Oldenburg&Co-ს პლაგატები? ეგ კი არადა, რაუშენბერგის 1998 წელს ბერლინში აქეს დადგმული „მოძრავი ველოსიპედები“. ვერტიკალურად ჩარჭობილი ორი ერთმანეთის პარალელური ველოსიპედიდან ერთს ზეცისენ აულია გზა, მეორეს კი მინის გულისაკენ. ეს ურთიერთსაპირისპირ მიმარ-



ცერტენ ლაურეად

თულებით მიმავალი ორი ველოსიპედი რომ გაამთლიანო და პორიზონტალურ მდგომარეობაში გადაიყანო, სხვას რას მიიღებ, თუ არა იმას, რასაც ახლა „ვარდების მოედანზე“ დაგამენ?

ერთი სიტყვით, ყოველივე ეს არახალია, ძველია, თუმცა კი, მოსახლეობის აბოლუტური უმრავლესობისთვის შოვისმომგერელი და საშინლად გამაღიზიანებელია. და ეს გასაგებია, ვინაიდან მათვის სკულპტურა ერთმნიშვნელოვნად ცხენზე შემოსკუპებულ მეფესთან ან პოეტთან ასოცირდებოდა, ანდა ზურაბ წერეთლის ამაზრზენ ექსპრიმენტებთან. ხოლო საზოგადოების ის ვინრო ფენა, რომელიც თანამედროვე ხელოვნებაში კარგად ერკვევა, ხვდეა, რომ ეს ერთგვარი „სუენდ ჰენდა“, რაშიც ის დიდი ფული იფლანგება, რომელიც ძალიან სჭირდება ხალხსაც, ქალაქსაც და თანამედროვე ქართულ ხელოვნებასაც...

თავისთავად, ქალაქის დამყაყებული იერის შეცვლა, მასში თანამედროვე ელემენტების შემოტანა აუცილებელია და ამაში მხოლოდ პოზიტურს ვხედავ, მაგრამ თუ ეს სურვილი არსებობს, რატომ ვუკვეთავთ ასეთ ნამუშევრებს გაურკვეველ უცხო-

ელ ხელოვანებს და არა ქართველებს, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ქართული ხელოვნება რახანია, საქმაოდ საინტერესოდ ვითარდება და ჩვენ ამ მიმართულების არა-ერთი დიდოსტატიც გვყავს. თანაც, მათ ხომ უკეთ იციან ჩვენი ქალაქების შინაგანი თუ გარეგანი ბუნება, უკეთ იციან ისტორიული თუ კულტუროლოგური კონტექსტები. ვკადოთ და ასეთი ტიპის სკულპტურები დაგადგმენიოთ მაშუა ჯავარიძეს, ოლეგ ტიმჩენკოს, ნიკო ცეცხლაძეს, თემო ჯავახშვილს... უფრო ახალგაზრდებს...

აგრე, თამარ კვესიტაქე ხომ დადგა ბათუმში „ქალი და კაცი“ და გორშიც უნდა დადგმულიყო კიდევ ერთი მისი კომპოზიცია, მაგრამ საზოგადოებრივმა აზრმა ჩაშალა ეგ პროექტით – შეიძლება ოპონენტები გამომედავონ. კი, ასეა, მაგრამ ეგც ქართული ამოჩემებაა, საბჭოური პერიოდიდან რომ გვჭირს, ათლეულების განმავლობაში ორი-სამი კაცის ხელში რომ იყო მთელი ეს საფერო. ნუთუ მართლა ორი კაცი იყო მაშინ ნიჭიერი და საქმის მცოდნე? არ მეჯვრება რაღაც... პოდა, მოვიშოროთ ეს ჭირი, ერთი ერთმა გააკეთოს, მეორე — მეორემ, მესამე — მესამემ, თუ ასეა, მართლა ვაქ-

■ თუ მაინცდამაინც გიგანტომანია სჭირს ამ ჩვენს პრეზიდენტს, სწორად შერჩეულ ჩვენს ქართველ მხატვრებს ვუთხრათ და იქნებ მათ უფრო საინტერესო რაღაცები გაგვიდიდონ და უფრო ზუსტად შეარჩიონ მათი დასადგმელი ადგილები.

ციოთ თანამედროვე ხელოვნების ნამდვილ ექსპერიმენტულ ველად ეს ქვეყნა და ისევ ქართველების საშუალებით. ასე აჯობებს ნამდვილად.

თუ მაინცდამაინც გიგანტომანია სჭირს ამ ჩვენს პრეზიდენტს და ქვენის ლოდენ-ბურგიზაცია აქვს დასახული, სწორად შერჩეულ ჩვენს ქართველ მხატვრებს ვუთხრათ და იქნებ მათ უფრო საინტერესოდ და უფრო საინტერესო რაღაცები გაგვიდიდონ და უფრო ზუსტად შეარჩიონ მათი დასადგმელი ადგილები. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, უარესად არ გააკუთხები ამას და ჰონორარებიც მათ დარჩებათ, აქ ჩამოისხმება ის კვერცხები თუ დამზადდება ველოსიპედები...

ერთი სიტყვით, კაცმა, გვარად „ქელი ქალაქი“, ჯერ კიდევ რამდენი ხნის ნინ თავისი მეთოდით განაახლა ძველი ქალაქები და რავა ასეა, ახალ (და თან გიგანტურ) ველოსიპედებს ნუ ვიგონებთ, რამე სხვა გზას ვენიოთ, ოლონდ კვლავ ცხენზე შემოსკუპებული მეფეებისკენ და „მიმინოს“ პერსონაჟებისკენ ნუ მივბრუნდებით, მართლა გავაცოცხლოთ თანამედროვე ხელოვნებით საქართველოს ქალაქები! ■

ქალაქი, მოხატი, ჩანარე

კახა თოლორდავა
უურნალისტი



ლეიტურგიკაცია ფოტოების მცდელობისას

გამოდის, რომ ეს ჩემი, ქალაქში მოხატიალე კაცის, პირველი პასუხი იქნება სხვის სტატიაზე, ან, თუ გნებავთ, განსხვავებული აზრი, რომელიც ამ დილით გამიჩნდა, როდესაც უურნალ „ტაბულაში“ ბატონი მიშა თავხელიძის სტატიას სახელწოდებით „სიგარეტი, გაზეთი, ყავა“ ვკითხულობდი ქალაქის

ერთ-ერთ არტ-სალონში, სანამ სალონის თანამშრომლები ჩემს მიერ იქ მიტანილ ფოტოებს ჩარჩოებში სვამდნენ. სამი წელი მაიც იქნება, რაც იმ სალონში დავდივარ. ამ ხნის განმავლობაში, უკვე კარგად მოვახერხეთ ერთმანეთის გაცნობა და ის არტ-სალონი ჩემთვის უკვე ქალაქის ისეთი ფსიქოგეოგრაფიული

ლოკაციაა, სადაც ყოველი მისვლისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იმაში, რომ ყველა კარგი ქალაქი იქაური მცხოვრებლებს მრავალფეროვანი ჩვენი ს შემნახველი და წამახალისებელი ორგანიზმია. მხოლოდ ასეთი ნებაყოფლობითი ლოიალობის მეშვეობით იძენენ და ინარჩუნებენ ისინი მხოლოდ


THE TBLISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

12th თბილისის
საერთაშორისო
კინოფესიურალი

THE TBLISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

06 - 11. 12. 2011

კ/თ ამირანი



ქალაქში მოხატიალე კაცის ჩანაცერები

მათთვის დამახასიათებელ, განუმეორებელ სახეს. წებისმიერი დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ქალაქის მესვეურებს კარგად უნდა ესმოდეთ ერთი მნიშვნელოვანი რამ - ქალაქური ცხოვრების დინამიკის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად გადადგმული ნაბიჯები უფექტოა, თუ ის მხედველობაში არ იღებს მ ო კ ა ლ ა ქ ე ე ბ ი ს ყოველდღიური ცხოვრების რიტმის და ვერ ახერხებს ა ხ ა ლ ი, ამ რიტმის შესაბამისი, ინიციატივების გენერირებას. გამოდის, რომ მოქალაქების ჩვევების შედეგად გაჩენილი რიტმული სტაბილურობა ურბანული დინამიკის ისეთივე მნიშვნელოვანი ნანილია, როგორც სვინგი ჯაზში. ეს მე არ მომიგონია.

თბილისელებმა, ალბათ, უკვე შეამჩნიეს ქალაქის ქუჩებიდან გამქრალი ურნალ-გაზეთების ჯიხურები და ბატონი მიშა თაგხელიძის სტატიაც სწორედ ამ საკითხს ეხება. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ქალაქის ქუჩებში განთავსებული სხვადასხვა ზომის, ფერის და დანიშნულების ჯიხურები „უნიფიცირებული დიზაინის მქონე 1000 ჯიხურით“ შეიცვლება და მათი მფლობელებისთვის მოიხსენება ყველანაირი შეზღუდვა, ანუ როგორც ბატონი მიშა აღნიშნავს, აუქციონის წესით შეძენილი ჯიხურების ახალი მფლობელებისთვის მნიშვნელობა არ ექნება, თუ რას გაყიდიან ისინი, – „გნებავთ გაზეთები, გნებავთ ხაჭაპური, ან სულაც – ორივე ერთად“.

თავიდანვე ვიტყვი და დავეთანხმები ბატონ მიშას იმაში, რომ მერიის ამ გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ ვუკავშირებ ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი პრესის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობას. ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ყურით მოთრეული რამაა, მაგრამ ისევე, როგორც წიგნებით გარემოვაჭრების შემთხვევაში, აქაც ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები დიდად არ უგდებენ ყურს საკუთარი ქალაქის მაჯისცემას და ამის გამო თბილისელებს ხშირად ტლანქცვლების გარეულობის ნანილისათვის და გამოიყენების შემთხვევაში არ იმატობა უნიფიცირებული დიზაინის მქონე 1000 ჯიხურით“ შეიცვლება და მათი მფლობელებისთვის მოიხსენება ყველანაირი შეზღუდვა, ანუ როგორც ბატონი მიშა აღნიშნავს, აუქციონის წესით შეძენილი ჯიხურების ახალი მფლობელებისთვის მნიშვნელობა მნიშვნელობაში არ უნდა დარჩეს, რადგანაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ, ვთქვათ, ჩემს უბანში ჩადგმული ახალი ჯიხურის მფლობელებმა ურნალ-გაზეთების გაყიდვა არასარფიან საქმედ მიჩნიონ და ამიტომაც ყოველი ახალი ჯიხურიდან ხაჭაპურის ან შაურმის სუნი გამოიყოდეს. მე კი, როგორც ბატონი მიშა მთავაზობს, აფთიაქში მომინიოს ჩემთვის საჭირო ურნალის ან გაზეთის ყიდვა („ვალიდოლი და „ლიბერალი“, თუ შეიძლება!“).

სიგარეტი და ინტერნეტი ყოველდღიური თბილისური დილის კომფორტითა და შემეცნებით დატვირთვის აუცილებელი ელემენტებია, მოსახლეობის გარეული ნანილისათვის ეს ელემენტები შეიძლება ჩაი, დილის მოცონი და ურნალ-გაზეთები იყოს, ვარიანტი საკმაოდ ბევრია და მათ შორის შესაძლებელია ურნალ-გაზეთების ჯიხურებიც ხშირად ფიგურირებდეს. სწორედ ამიტომაც ნებისმიერი ხერიანი ქალაქის მესვეურები აუცილებლად უნდა იღებდნენ ამას მხედველობაში.

რა თქმა უნდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშავს იმას, რომ მიამიტურად ვითხოვ ქალაქის იმ სახით „გაყინვას,“ რა სახითაც ის ჩემთვის მაქსიმალური კომფორტის მომნიჭებელია. დღეს ეს შეუძლებლად მიმაჩნია, მაგრამ ერთია „გაყინვა“ და სხვაა „მორგება.“ ყოველ-დღიური ქალაქური მარშრუტებიდან კომფორტული, მოქალაქეების ჩვეული რიტმის განმსაზღვრელი ელემენტების უხეში, არააუცილებელი, დაუჯიქრებელი ამოგდება პროტესტის გამომწვევი შეიძლება აღმოჩნდეს. მოქალაქეების მხრიდან ასეთი პროტესტი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, რადგანაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ, ვთქვათ, ჩემს უბანში ჩადგმული ახალი ჯიხურის მფლობელებმა ურნალ-გაზეთების გაყიდვა არასარფიან საქმედ მიჩნიონ და ამიტომაც ყოველი ახალი ჯიხურიდან ხაჭაპურის ან შაურმის სუნი გამოიყოდეს. მე კი, როგორც ბატონი მიშა მთავაზობს, აფთიაქში მომინიოს ჩემთვის საჭირო ურნალის ან გაზეთის ყიდვა („ვალიდოლი და „ლიბერალი“, თუ შეიძლება!“).

სხვათა შორის, აფთიაქში ურნალ-გაზეთების ყიდვის იდეა უცხოა არა ევროპული თუ ამერიკული ქალაქებისთვის, მაგრამ როგორც წესი, ასეთ ადგილებში არჩევანი ხშირად შეზღუდულია და ბეჭდვითი პროდუქციის სერიოზული მომხმარებლები ყოველდღიური მარშრუტის ფარგლებში მოქცეულ „სერიოზულ“ ჯიხურებს ამჯგბინებენ, სადაც არჩევანი ბევრად უფრო დიდია. ასე იყო ევროპის თუ ამერიკის ყველა იმ ქალაქში, სადაც მე

მომიწია თუნდაც მცირე ხნით გაჩერება. გარნმუნებთ, რომ ყველა იმ ქალაქში ჩასვლისას რამდენიმე დღის შემდეგ აუცილებლად უმეგობრდებოდი ურნალ-გაზეთების გამყიდველებს და დღემდე მახსოვს ზოგიერთ მათგანთან ჩვენი დილის საუბრები.

მოკლედ, გინდ დაიკერეთ, გინდ არა, მაგრამ თბილისში დღემდე ცხოვრობენ ადამიანები, ვისთვისაც დილაობით ურნალ-გაზეთების ყიდვა ქალაქური რ ი ტ უ ა ლ ა ი ს მნიშვნელოვანი ნანილია და ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, ჩვევები ყოველთვის განაპირობებს მოქალაქეების მხრიდან ქალაქის აღქმის სისავსეს. „კახა, „არქითექტურალ დაიჯეს“ მივიღეთ!“ – მახარებდა ხოლმე „ჩემი“ ჯიხურის გამყიდველი გოგონა ლიკა, – „რა საინტერესო ურნალია; მეც დავინტერესდი არქიტექტურით, ხომ იცი! „ფორინ ეფეაზ“ რომ შეგვიკვეთე, ალბათ ზეგ მივიღებთ.“ დღეს იმ ადგილას, სადაც ლიკას ჯიხური იდგა, ა რ ა ფ ე რ ი დაგას და ბუნებრივია, როგორც მოქალაქეს, მაქეს უფლება, ვიკითხო, – სადაცა ჩემი ჯიხური? რა ბედი ეწია ლიკას? – და ცოტათი გული დამწყდეს იმაზე, რომ ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში თბილისმა სახე იცვალა. ეს გამოუსწორებელი ტრაგედია არაა, მაგრამ პირადად ჩემთვის ქალაქში ცხოვრების რიტმი რიგავ, ლამის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც დაირღვა. ეს დისკომფორტული მდგომარეობა ალბათ ცოტასანს გასტანს, მერე კი მოხდება ისე, რომ ან სხვა ურნალ-გაზეთების ჯიხურს გადავაწყდები ან ხაჭაპურს მივერადები, გააჩინოვან სამართლების შემთხვევაში არ უნდა დარჩეს, რადგანაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ, ვთქვათ, ჩემს უბანში ჩადგმული ახალი ჯიხურის მფლობელებმა ურნალ-გაზეთების გაყიდვა არასარფიან საქმედ მიჩნიონ და ამიტომაც ყოველი ახალი ჯიხურიდან ხაჭაპურის ან შაურმის სუნი გამოიყოდეს. მე კი, როგორც ბატონი მიშა მთავაზობს, აფთიაქში მომინიოს ჩემთვის საჭირო ურნალის ან გაზეთის ყიდვა („ვალიდოლი და „ლიბერალი“, თუ შეიძლება!“).


სხვათა შორის, აფთიაქში ურნალ-გაზეთების კიოსკების თემას რომ თავი დავანებოთ, ნაგიბ მაცფუზზი მთელი ცხოვრება ერთსა და იმავე ყავახანაში დადიოდად დილაობით. სწორედ იქ ყოფილისას იქმნებოდები არჩევანის შემთხვევაში არ უნდა დარჩეს, რადგანაც შეიძლება მივერადები, გააჩინოვან სამართლების შემთხვევაში არ უნდა დარჩეს, რადგანაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ, ვთქვათ, ჩემს უბანში ჩადგმული ახალი ჯიხურის მფლობელებმა ურნალ-გაზეთების გაყიდვა არასარფიან საქმედ მიჩნიონ და ამიტომაც ყოველი ახალი ჯიხურიდან ხაჭაპურის ან შაურმის სუნი გამოიყოდეს. მე კი, როგორც ბატონი მიშა მთავაზობს, აფთიაქში მომინიოს ჩემთვის საჭირო ურნალის ან გაზეთის ყიდვა („ვალიდოლი და „ლიბერალი“, თუ შეიძლება!“).

Fujitsu ჩეუმენდაციას უწევს Windows® 7.

Fujitsu LIFEBOOK

ძლიერი და გონივრული

შესრულება



ყოველთვის მზადყოფნაში



Fujitsu LIFEBOOK- ის AH სერია გთავაზობთ ეკეგანებული და დახვენილი ღიაზონებას, ნამოღენილია: პრინციპი, გლუკო, ასევე სხვადასხვა ფექტო შესხერებით. ეს HD მაღალი გაჩრევაღობის პრინციპისაც ფასითოფობაციანი 16:9 ექსანი, ხომელის კომბინირებული Intel® HD გჩაფიცა სისუმასთან ან მძღვანელი ღიაზონებული კომფირული კონფიდენციალური მართვით და ასაკერებებით გამოიყენებას შეგძლი, ნებისმიერი სისტემის სამუშაოების შესახებისას.

LIFEBOOK

Intel® Core™ vPro™ მეოქანიკური თაობის პრინციპით აღჭუჟილი Lifebook - გაამოიტებს თქვენს ყოველი მოვალეობას.

FUJITSU LIFEBOOK AH531/GFO ტექნიკური მახასიათებლები:

- მეოქანიკური თაობის პრინციპით Intel® Core™ i5 vPro™
- ნამდვილი Windows® 7 Professional
- 39.6 სმ. (15.6 ღიაზონები) ღიაზონაციის, მაღალი გაჩრევაღობის 16:9 პრინციპისაც ექსანი LED ტექნიკური კონფიდენციალური მართვით.
- NVIDIA® GeForce® GT525M 1gb VRAM ღიაზონებული გჩაფიცა და Optimus კონფიდენციალური
- Blu-ray Disc™ drive (ასავაღებები), HD-Audio, 1.3 მ. ვებ კამერა და მედიაღილებისთვის განკუთვნილი ციფრული მოქმედობა.
- ახალი ფერწერი, მაგალითად Alytime USB Charge, საშუალებას მოგვერმთ ღამესურთ USB პორტით აუმჯობეს თქვენი სხვადასხვა მოწყობილები მაშინაც კი, ხოდესაც ნოებული გამოიჩინოთ.



Tel.: 251 01 11
www.alta.ge

Celeron, Celeron Inside, Core Inside, Intel, Intel Logo, Intel Atom, Intel Atom Inside, Intel Core, Intel Inside, Intel Inside Logo, Intel vPro, Itanium, Itanium Inside, Pentium, Pentium Inside, vPro Inside, Xeon, and Xeon Inside ნამტაღებები არეული კომპიუტერის საკაშაშო ნიმუშებს, ნამთებებს ამჟირებს შესრულებულ მატარებას დანართ სხვა კუთხებში.

FUJITSU



WWW.LIBERALI.GE
